პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—43.

კვირა, 11 ივლისი 1926 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 157 (1702)

დ ღ ი უ რ ი

- ოსმალეთ - საბჭოთა კავშირს შორის მოხდა პარიზის შეთანხმების სარატიფიკაციო სიგელის გაცვლა-გამოცვლა.
- სპარსეთის ჯარებში დაიწყო მღელვარება.
- პორტუგალიაში მოხდა ახალი სამხედრო გადატრიალება.
- გერმანიაში ხდება მთელი რიგი წარმოებების შემოკლება და დახურვა.
- საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მოწოდებით მიმართა ინგლისის მემაღაროეთა ალმა სკოლს.

სამეურნეო პერსპექტივები 1926–27 წლისათვის

მკითხველი უკვე იცნობს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებას ჩვენი ეხლანდელი მდგომარეობისა და იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელნიც უნდა იქნას მიღებული 1925-26 წლის სამეურნეო გეგმის მთლიანად განხორციელებისათვის. ამ დადგენილებასთა ერთად გამოქვეყნდა საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომისიის დირექტივა მომავალი სამეურნეო წლისათვის საკონტროლო ციფრების შედგენის შესახებ. ამ დირექტივას საფუძვლად უდევს ერთი მხრივ სამეურნეო კონიუნქტურის შეფასება, რომელიც მოცემულია ხსენებულ დადგენილებაში, და მეორე მხრივ უკანასკნელში გათვალისწინებულ ღონისძიებათა გატარება. თავის თავად ცხადია, საგეგმო კომისიის დირექტივაში აღნიშნულ ზოგიერთ საკონტროლო ციფრებს საორიენტაციო და წინასწარი ხასიათი აქვთ, საჭირო შეიქნება მათში შესწორებათა შეტანა, როცა საბოლოოდ გამოირკვევა მიმდინარე წლის სამეურნეო შედეგები: ერთი მხრივ, მოსავლის რაოდენობა—მეორე მხრივ.

მაგრამ საგეგმო კომისიის ამ წინასწარ, ზოგადი ხასიათის დირექტივებს უაღრესი ღირებულება აქვთ, რამდენადაც მასში მოცემულია ჩვენი უახლოესი სამეურნეო განვითარების პერსპექტივები და მიმართულება, რაც სახელმძღვანელოდ უნდა მიიღონ ყველა უწყებებმა და ორგანიზაციებმა.

რა მთავარი ნიშნები იქნება მომავალი წლის სახალხო მეურნეობის დამახასიათებელი და რაზე უნდა გადავიტანოთ ყურადღების ცენტრი სამეურნეო გეგმების შედგენის დროს?

მიმდინარე სამეურნეო წელი სამართლიანად ითვლება აღორძინების პერიოდის უკანასკნელ წლად. ამ წელში საერთოდ მივაღწევთ ომის წინანდელ დონეს როგორც მრეწველობაში, ისე სასოფლო მეურნეობაში და თითქმის მთლიანად ამოვწურავთ ძველი ძირითადი კაპიტალის ნიადაგზე განვითარების შესაძლებლობას. აქედან ჩვენი სამეურნეო ზრდა მომავალში უფრო ნელი ტემპით მოხდება, ვინემ ამას დღემდე აქვს ადგილი. შარშან წარმოება გადიდდა 60 პროცენტით, წრეულს მოსალოდნელია მისი ზრდა 35-40 პროცენტით. მერმისისათვის, როცა ეხლანდელი ძირითადი კაპიტალი მთელი ასი პროცენტით იქნება გამოყენებული, ასეთი სიჩქარე შეუძლებელია.

1926-27 წლისათვის მრეწველობის განვითარების ტემპს საკონტროლო ციფრები განსაზღვრავენ 15 პროცენტით, რაც ორჯერ უფრო მეტია, ვინემ ომის წინანდელ წლების ტემპი. აი რით აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენი მრეწველობა ომის წინანდელ დროსთან შედარებით გაიზრდება უფრო მეტად, ვინემ ორჯერ? ამის საიდუმლოება უნდა ვეძიოთ საბჭოთა წყობილების ეკონომიურ სისტემაში, რომელსაც ახასიათებს უაღრესი გეგმიანობა და ორგანიზაცია. მცირე მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტსაც, რომ აღორძინების პროცესი მრეწველობის ზოგიერთ დარგებში დამთავრდება მომავალ წელში, და ეს გავლენას იქონიებს წარმოების ზრდის სისწრაფეზე. ამიტომაცაა, რომ საგეგმო კომისიის დირექტივა აყენებს ძველ ტეხნიკურ შესაძლებლობათა მაქსიმალურ გამოყენების ამოცანას, რამდენადაც ის კიდევ არ არის აქა-იქ განხორციელებული.

მაგრამ წარმოების საჭირო მასშტაბით გაფართოებისათვის, რა თქმა უნდა ეს საკმარისი არ არის. მთავარი მნიშვნელობა აქვს ძველი საფაბრიკო - საქარხნო მოწყობილობის განახლებას და ახალი ფაბრიკა-ქარხნების აგებას. ამისათვის დიდძალი საშუალებებია საჭირო. უცხოეთიდან კრედიტების მიღების იმედზე ჩვენ საწარმოო გეგმებს ვერ ავაშენებთ. საშუალებები უნდა გამოინახოს ქვეყნის შიგნით. დაგროვება თვით წარმოებაში, სახალხო შემოსავლის სწორი განაწილება, სახელმწიფო ბიუჯეტით მნიშვნელოვანი თანხების გაღება მრეწველობისათვის—ასეთია ამოცანა. საკონტროლო ციფრები მრეწველობაში (ელექტროფიკაციის გამოკლებით) დასაბანდებელ თანხას მომავალი წლისთვის განსაზღვრავენ 800 მილიონი მანეთის რაოდენობით. საგრძნობი თანხაა, რომლის მიზანშეწონილად მოხმარა დიდად წასწევს წინ წარმოების გაფართოების და მრეწველობის რეკონსტრუქციის (გარდაქმნის) საქმეს.

ჩვენი ლოზუნგია ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მისი განთავისუფლება კაპიტალისტურ მსოფლიოს ეკონომიურ დამოკიდებულებისაგან? ეს კი შეიძლება მძიმე მრეწველობის განვითარებით. ამიტომ მრეწველობისათვის გადასადებ კაპიტალების ყველაზე უფრო მეტი წილი მძიმე ინდუსტრიას უნდა მოხმარდეს (საამშენებლო მასალები, სათბობი, ლითონის მრეწველობა, მანქანათა მშენებლობა). ამავე დროს ჩვენ განვიცდით საქონლის სიმშილს, რომლის ასაცილებლად საჭიროა საკმაო თანხების გაღება სამრეწველო პროდუქციის გადიდებისათვის.

მეტად საყურადღებოა საგეგმო კომისიის დირექტივის ის ნაწილიც, რომელიც სასოფლო მეურნეობას ეხება. უნდა იქნეს მუშაობა გაგრძელებული სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა გასატარებლად სოფლის მეურნეობის საფუძვლიანი რაციონალიზაციისათვის (მორწყვა, ჭაობების ამოშრობა, მიწადმოწყობა და სხ.). უნდა გავაძლიეროთ იმ სამრეწველო ნედლეულის წარმოება, რომლის ნაკლებობას განვიცდით და რომელიც ეხლა მეტ წილად უცხოეთიდან შემოგვაქვს. უნდა შეუწყოთ ხელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტის საქმეს. სოფელს უნდა მივაწოდოთ ახალი სამეურნეო იარაღები და მანქანები.

კერძოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ახალ მოსავლის საკითხს. საკონტროლო ციფრები მთავარ პურეულის რაოდენობას ვარაუდობენ 4 მილიარდ ფუთს, რაც საშუალო შემოსავალს უდრის. საჭიროა სასოფლო - სამეურნეო პროდუქტებზე ფასების ისე მოწესრიგება, რომ შესაძლებელი გახდეს მათი მოგებით გაზიდვა უცხოეთში. ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სავაჭრო აპარატის მოწესრიგებას, რათა გლეხობამ შედარებით იაფ ფასებში მიიღოს სამრეწველო საქონელი.

საგეგმო კომისიის დირექტივა ეხება აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის საკითხს. 1926-27 წ. ბიუჯეტი ნავარაუდევია 4 მილიარდი 600 მილიონი მანეთის რაოდენობით. ჩვენ ამას წინედ უკვე გვქონდა ლაპარაკი ბიუჯეტის შედგენაზე. ეხლაც საჭიროდ მიგვაჩნია განვიმეოროთ, რომ აუცილებელია ადმინისტრატიულ ხარჯების შემცირება და რაც შეიძლება მეტი თანხების გადადება საწარმოო საჭიროებაზე.

ეხლა ყველა უწყება ჩაბმულია 1926-27 წლისათვის მეურნეობის გეგმის შედგენაში. საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივ საგეგმო კომისიის დირექტივა, რომელიც დამტკიცებულია სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, იძლევა ამ მუშაობისათვის ძირითად საფუძვლებს და სახელმძღვანელო აზრებს, რომელთა ნიადაგზე უნდა იქნეს მომავალი წლის მშენებლობის პროგრამა გამომუშავებული.

ძირითადი აზრი ამ დირექტივისა ის არის, რომ მომავალი წლიდან დგება ახალი ხანა ჩვენს მშენებლობაში, როცა ჩვენ უკან ვტოვებთ აღორძინების პერიოდს, წინ უსწრებთ ომის წინანდელ დონეს, როცა ფართოდ იშლება სახალხო მეურნეობის ორგანიული განვითარება, მისი გაახალისება, ახალ ტეხნიკურ საფუძვლებზე. ამ პერიოდის დაწყებას ჩვენ უნდა შევხვდეთ სათანადოთ მომზადებული, როგორც იდეურად და ორგანიზაციულად, ისე მატერიალურად.

კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ ბრძოლისათვის

ინგლისის და საბჭოთა კავშირის მემაღაროების წარმომადგენელთა კონფერენციის მოწოდება

ინგლისის მემაღაროები იბრძვიან მსოფლიო მუშათა კლასის ინტერესებისათვის

კაპიტალიზმის შეტევას საერთაშორისო ხასიათი აქვს

ყველა ქვეყნის მუშებს

ბერლინი, 10 ივლისი. ინგლისის სამთამადნო მუშების ფედერაციის და საბჭოთა კავშირის სამთამადნო მუშების პროფკავშირის წარმომადგენლების კონფერენციამ მიიღო შემდეგი მოწოდება მთელი ქვეყნის მუშებისადმი ინგლისის სამთამადნო მუშების ბრძოლისათვის მხარის დაჭერის შესახებ:

„დიადმა გაფიცვამ ინგლისის სამთამადნო მუშები ისტორიულ მოწინავე სადარაჯოზე დააყენა. **ინგლისის სამთამადნო მუშები იბრძვიან არა მარტო საკუთარ ინტერესებისათვის, არამედ მთელი ევროპის და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისათვის.**

კაპიტალიზმს უკვე აღარ ძალუძს მის წინაშე ამართულ დაბრკოლებების დაძლევა. ის ცდილობს თავი დააღწიოს კრიზისს მუშათა კლასის ხარჯზე. კაპიტალიზმმა თავი დაანება ყალბ, პირფერ და კომპრომისულ ფრაზებს და გადავიდა აშკარა შეტევაზე. მისი პირდაპირი და სავსებით შეგნებული მიზანია—ყველა მუშების გათანასწორება ყველაზე უფრო მცირე ხელფასის მქონე კატეგორიებთან. ამ მიზნის განხორციელება ევროპის მუშათა კლასს ჩინელი ბოგანოების დონემდე დაიყვანდა და უძლურებისა და დეგრადაციის გზაზე დააყენებდა პროლეტარიატის მთელ თაობას. **ამ პირობებში აუცილებელი ხდება მუშათა კლასის დარაზმული გამოსვლა კაპიტალიზმის იერიშების წინააღმდეგ. ამ წინააღმდეგობის ორგანიზაციაზე და ამ ბრძოლის შედეგზე დამოკიდებულია მთელი მუშათა კლასის და მთელი კაცობრიობის მომავალი.**

თვით ბურჟუაზიამ ეს ეკონომიური ბრძოლა პოლიტიკურათ გადააქცია. ის მობილიზაციას უწევს ყველა რესურსებს, მთელს აპარატს, კაპიტალისტურ სახელმწიფოს მთელს ძლიერებას და ყოველივე ამას მიმართავს მუშათა კლასის წინააღმდეგ. ეკონომიური ბრძოლა აუცილებლათ იქცევა პოლიტიკურ ბრძოლათ; სხვაგვარათ არც შეიძლება მოხდეს ჩვენს დროში.

ინგლისის სამთამადნო მუშებისთვის აქტიური და ენერგიული დახმარების გაწევა ყველა მუშების უწმინდეს მოვალეობათ იქცა. ინგლისის მუშათა კლასმა, რომელიც ერთსულოვნათ გამოვიდა ინგლისის სამთამადნო მუშების დასაცავათ და გამოაცხადა საყოველთაო გაფიცვა, დაუმტკიცა ინგლისის კაპიტალიზმს, რომ ვერავითარი ხელოვნური ჯებირები ვერ დაარღვევს მის კლასიურ მთლიანობას და, რომ სამთამადნო მუშების ბრძოლას ის საკუთარ ბრძოლათ, საკუთარ სამკვდრო-სასიცოცხლო საქმეთ სთვლის.

იმ მომენტში, როცა მუშათა მასები მზად იყვნენ ბრძოლისათვის, გენერალურმა საბჭომ შესწყვიტა საყოველთაო გაფიცვა და განმარტოებული დასტოვა მაღაროს მუშები ბრძოლის ველზე.

მაგრამ ამის შემდეგ სამთამადნო მუშების მილიონიანი არმია შეუდრეკლათ განაგრძობს ბრძოლას. მისი სიმტკიცე უდიდეს კლასიურ დამსახურების მაგალითს წარმოადგენს და აღფრთოვანებას იწვევს მთელი ქვეყნის მუშებში. ვინც ეხლა საბოტაჟს უცხადებს და სავსებით მხარს არ უჭერს ინგლისის სამთამადნო მუშების ბრძოლას ის არ არის მუშათა კლასის ნდობის ღირსი.

კაპიტალიზმის შემოტევას არა ნაციონალური, არამედ ინტერნაციონალური ხასიათი აქვს. კიდევ უფრო ინტერნაციონალური ხასიათი უნდა ჰქონდეს მუშების დახმარებას. დღეს იერიშები მიმართულია საერთაშორისო პროლეტარიატის უძლიერესი რაზმის—ინგლისის სამთამადნო მუშების წინააღმდეგ. ხვალ კაპიტალიზმი გაილაშქრებს სხვა დარგის და სხვა ქვეყნების მუშების წინააღმდეგ. რიგების შემჭიდროება ინგლისის სამთამადნო მუშების მოწინავე ავანგარდის დასახმარებლათ, არამც თუ აუცილებელია, არამედ ყოფნა არყოფნის საკითხია არ მარტო სამთამადნო მუშებისათვის, არმედ მთელი ქვეყნის ყველა დარგის მუშებისათვის.

ინგლისის მუშების დიადი ბრძოლის დროს საერთაშორისო ბურჟუაზიამ დაამტკიცა, რომ მას ესმის თავისი ინტერესების მთლიანობა ინგლისის მწარმოებლების ინტერესებთან. ბურჟუაზიის საერთაშორისო სოლიდარობამ გაბედულება და წინააღმდეგობის ენერგია შემატა ინგლისის მწარმოებლებს. მთელი ქვეყნის ბურჟუაზიამ ზეიმით აღნიშნა საყოველთაო გაფიცვის შეწყვეტა, როგორც საკუთარი გამარჯვება. **საერთაშორისო პროლეტარიატი უღალატებს საკუთარ ინტერესებს და საბედისწეროთ დაასუსტებს თავის თავს მომავალ გადამწყვეტ ბრძოლაში. თუ ბურჟუაზიის ამ კლასიურ მთლიანობას არ დაუპირდაპირებს თავისი რაზმების კიდევ უფრო მეტ მთლიანობას, შემჭიდროებას და ნამდვილ სოლიდარობას.**

მხოლოდ ამ გზით შევსძლებთ გათამამებული კაპიტალის იერიშებისათვის საკადრისი პასუხის გაცემას. მხოლოდ ამ საშუალებით შეიძლება ბრძოლა შოვინისტური წასისიანებისა,სამხედრო ინტრიგებისა და მუქარის წინააღმდეგ.

აძლევენ რა წარმოებულ ბრძოლას უდიდეს მნიშვნელობას, ინგლისის და საბჭოთა კავშირის სამთამადნო მუშები მოუწოდებენ მთელი ქვეყნის მუშებს და განსაკუთრებით ყველა სამთამადნო მუშებს მოიკრიბონ მთელი თავისი ძალღონე ინგლისის მემაღაროებისათვის დაუყოვნებლივი და ნამდვილი დახმარების გასაწევათ. სამთამადნო მუშების დიადი ბრძოლისათვის საჭიროა დაუყოვნებლივ ფულადი დახმარება.

შვარცი, აკულოვი,
რიჩარდსონი კუკი.

საეჭვოთ მიაჩნიათ

ლონდონი, 9 ივლისი. მთავრობის წრეებში ფიქრობენ, რომ 8 საათის სამუშაო დღის კანონპროექტის მიღება ერთბაშათ ვერ მოახდენს საბოლოო ეფექტს, თუმცა უკვე დამთავრებულია მზადება იმ მემაღაროების უკან მისაღებათ, რომელნიც დასთანხმდებიან მაღაროს მეპატრონეების მიერ წამოყენებულ პირობებზე. **საპარლამენტო წრეებში საეჭვოდ მიაჩნიათ ახლო მომავალში მოლაპარაკების განახლება კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ.** ფიქრობენ, რომ გაივლის კიდევ 2 კვირა, სანამ მოხდებოდეს მნიშვნელოვანი გარდატეხა.

მუშათა სოლიდარობა

პრაღა, 9 ივლისი. **პროფკავშირთა მემარცხენე გაერთიანება ყველა სანახშირო რაიონებში აწყობს მასიურ მიტინგებს ინგლისის გაფიცულ მუშებისათვის დახმარების გაგზავნის და მთლიანი ფრონტის განხორციელების სასარგებლოთ.** მიტინგებზე სიტყვებით გამოდიან ჩეხო-სლოვაკიის, საფრანგეთის და გერმანიის მუშების წარმომადგენლები.

უფრო მტკიცეთ

ლონდონი, 10 ივლისი. იორკშირის მემაღაროებიდან ბევრი დაუბრუნდა სამუშაოს და დასთანხმდა რვა საათის სამუშაო დღეს.

მაგრამ დანარჩენ რაიონებში გაფიცვა კიდევ უფრო მტკიცედ გრძელდება. მემაღაროები იხილავენ საკითხს მაღაროების მცველების სამუშაოდან მოხსნის შესახებ.

ყალბი ცნობები

ლონდონი, 9 ივლისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, **ინგლისს-რუსეთის საპარლამენტო კომიტეტმა, რომელიც შესდგება სხვადასხვა პროფკავშირების და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან, ჩემბერლენს მიმართა წერილით, რომელშიაც აღნიშნავს,** "რომ ინგლისის სავაჭრო პალატის ცნობებს, რომლის თანახმად ინგლისის ექსპორტი საბჭოთა კავშირში უმნიშვნელოა, **აბათილებს საბჭოთა სავაჭრო დელეგაციის მიერ გამოქვეყნებული ცნობები.**

კომიტეტის აზრით, აშკარაა, რომ სავაჭრო ხელშეკრულება ორივე მხარესათვის ხელსაყრელია.

„ფორვერტს"-ის წერილი

ბერლინი, 9 ივლისი, „ფორვერტსი" სასტიკათ ილაშქრებს ინგლისის სამთამადნო მუშების და კუკის წინააღმდეგ.

„უაზრობაა—აცხადებს სოციალ-დემოკრატიის ორგანო, რომ გერმანიის მუშათა ორგანიზაციებს დავსწამოთ შტრეიკბრეხერობა, მაშინ, როცა თვით ინგლისში ქვა-ნახშირის გადატანა შეუჩერებლად სწარმოებს".

მენშევიკების მორიგი ღალატი

ბერლინი, 9 ივლისი. გერმანიის სამთამადნო მუშების კავშირის თავმჯდომარემ გუზემანმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა:

„არ შეესაბამება სიმართლეს ცნობები გერმანიის სამთამადნო და ტრანსპორტის მუშების კავშირთა კონფერენციის შესახებ ინგლისში ნახშირის გაგზავნის შეწყვეტის მიზნით. ეს საკითხი ირჩეოდა ადგილებზე, მაგრამ შედეგი ჯერ გამოურკვეველია. სამთამადნო მუშათა გაფართოებულ პლენუმს არ აქვს საშუალება მიიღოს რაიმე პრაქტიკული გადაწყვეტილებები ინგლისის სამთამადნო მუშებისათვის დახმარების გაწევის შესახებ. მატერიალურ დახმარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან გერმანიის სამთამადნო მუშები უარს ამბობენ გაიღონ თავის მცირე სამუშაო ხელფასიდან თუ გინდ მინიმალური თანხა.

ტშხძჯ—ტშხძჯ— ტშხძჯ— — — —

მენშევიკური ემიგრაციის დაშლა

ეს, ერთი კვირაა საბჭოთა პრესაში ისტამბება ემიგრანტ-მენშევიკების მიწერ-მოწერა, მათი ურთიერთ შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა და კამათი.

ჩვენ გვსურს მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ზოგიერთ მომენტებზე. მენშევიკი ემიგრანტები ახალ გზას ეძებენ. სურთ სამშობლოში დაბრუნება და პირობებზეც ლაპარაკობენ.

აი მაგალითად, **გ. ერაძე,** თურმე ასე ჰსჯელობს: „თუ სახლში დაბრუნება შესაძლებელი იქნება, განცხადებაზე ხელის მოწერით, რომ ესა და ეს გამოდის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციიდან და სხვა არაფერს მოგვთხოვენ და გარდა ამისა, ჩვენც თუ ისე არ მოგვეპყრობიან, როგორც მოეპყრენ უკვე დაბრუნებულებს, ასეთ შემთხვევაში ჩვენ არ უნდა ვიყოთ შინ დაბრუნების წინააღმდეგი"-ო და სხვა.

მე უნდა განვაცხადო კატეგორიულად, რომ იმ ამხ. მუშებს (და ასეთი ემიგრაციაში დღეს ორიოდე ათეული მოიპოვება), რომელთაც სურთ სამშობლოში დაბრუნება, სრულიათ თავისუფლად შეუძლიანთ დაბრუნდნენ და არავითარ პირობას მათგან არავინ არ მოითხოვს, გარდა ერთი პირობისა—დაბრუნებული საქართველოში ყოფილი ემიგრანტი მუშები გულწრფელად უნდა დადგნენ საბჭოთა პლატფორმაზე. მათ, რასაკვირველია, ყოფნა არ შეუძლიანთ იმ პარტიაში, იმ ორგანიზაციაში, რომელმაც უდიდესი პროვოკაცია მოუწყო როგორც ქართველ მუშებს, ისე მთელ ქართველ ერს. (იმ პარტიაში, უკეთ რომ ვსთქვათ ჯგუფებში, ვინაიდან, **ნ. რამიშვილს კ. წერეთელს, გ. ერაძეს** და მრავალ სხვებს თავთავიანთი ჯგუფები ყავთ და ესეც უტყუარი ნიშანია პარტიის კატასტროფიულად დაშლისა).

და მართლაც, რაშია საქმე? ასე მძიმეა დაბრუნების პირობა? მე ვამტკიცებ ეს სიმძიმე სრულებით არ არსებობს. მაგალითად, ჩემთან ერთად დაბრუნდა ემიგრანტებიდან რამოდენიმე ამხანაგები: ვ. იმნაძე, როყვას ქალი, ამხ. ს. გლახოიანი, ს. გოგინაშვილი და სხვები და მათ არავითარი ფართო საზოგადოებრივი დეკლარაცია არ გაუკეთებიათ გარდა იმისა, რომ განუცხადეს პარიზის სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციას: გავამოვდივართ პარტიიდან და მივდივართ საქართველოში, და ეს ამხანაგები დღეს აქ, საქართველოში უკვე ჩაებენ საზოგადო საქმიანობაში გულწრფელად და პატიოსნათ თანამშრომლობენ მშრომელ საქართველოს საკეთილდღეოთ.

ჩვენ გვაქვს რამოდენიმე ემიგრანტების წერილები, ისინი გვთხოვენ დავეხმაროთ მათ, რომ დააღწიონ თავი ნ. რამიშვილს და დაღუპვის კარზე მიმდგარ ემიგრაციას. ამ ამხანაგების სახელს და გვარს ჩვენ **არ ვაცხადებთ,** რადგან კარგათ გვესმის მათი მდგომარეობა, ვინაიდან **ნ. რამიშვილის და საფრანგეთის ფაშისტების ტერორის მსხვერპლი გახდებიან ისინიც.**

და ამიტომაც, მათი ვინაობა კონსპირაციის ქვეშ ინახება. დე, აქ საქართველოში სთქვან მათ თავიანთი რევოლიუციონური სიტყვა.

მხოლოდ მინდა შევჩერდე გ. ერაძეზედ. ეს, ის პირია, რომელსაც კარგათ იცნობენ საქართველოს მუშები, და ამისათვის მასზე შეჩერება ღირს.

რატომ სურს მას გარდაიქცეს უბრალო მეშჩანინათ, რისთვის სჩადის პოლიტიკურ თვითმკვლელობას? ნუ თუ ევროპაში ყოფნის დროს ის ვერ დარწმუნდა იმაში, რომ „დემოკრატიული სოციალიზმის" „ბრძოლის" მეთოდები მუშათა კლასისათვის მიუღებელია? ნუ თუ მან, როგორც მუშამ, ვერ გაუკეთა ანალიზი იმ მდგომარეობას, რომ პარლამენტარული დემოკრატია თანამედროვე ისტორიულ მომენტში უკვე გაკოტრდა? ეხლა ვინ იცავს ამ ფორმალურ დემოკრატიას? აილეთ თვით მმართველი წრეები; როგორ შეხვდენ ისინი პოლონეთში პილსუდცკის გადატრიალებას? გადატრიალების მეორე დღესვე, თვით პილსუდცი და მისი მთავრობა იცნეს, მათ ლეგალობა მიანიჭეს. საერთაშორისო უფლებების სუბიექტათ გახადეს.

გაიხსენოს ერაძემ აგრეთვე იტალიის ფაშისტური გადატრიალება და იქ, მუსოლინის დიქტატურა. ევროპის ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ—მუსოლინის რეჟიმი ხომ იცნო. და დღეს, კლასთა ბრძოლა აჩქარებული ტემპით სწარმოებს რაზმავს თუ არა მსოფლიო ბურჟუაზია სამხედრო ტერორისტულ რაზმებს, კრიტიკულ მომენტებში გამოსაყვანათ და სახელმწიფო აპარატის დასაპყრობათ?

გადაავლეთ თვალი ინგლისის, გერმანიის და მრავალ სხვათა გაბატონებულ კლასების სამზადისებს.

დღეს კიდევ თუ ითმენს პარლამენტარულ დემოკრატიას ბურჟუაზია—ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ პარლამენტარიზმით ის კარგათ ახერხებს თავის ბატონობის დაცვას.

პილსუდცკი პოლონეთში და მუსოლინი იტალიაში ორთავენი „დემოკრატიულ" კონსტიტუციის ნიადაგზე სდგანან, მაგრამ პარლამენტი ორთავესთვის ის ფოკუსია, რომლის საშუალებითაც ისინი თავიანთ კლასის ძალაუფლებას ატარებენ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში. მეორეს მხრით, დამისახელოს გ. ერაძემ, თუ გინდ ერთი ფაქტი, მეორე ინტერნაციონალის „მოღვაწეობა-პრაქტიკიდან", სადაც მტკიცდებოდეს ამ ორგანიზაციის რევოლიუციონური საქმიანობა?

ვინ უძღვება დღეს ევროპაში მუშათა მასებს გაფიცვების დროს?

ვინ გამოდის პარლამენტებში რევოლიუციონური დეკლარაციებით და ქუჩებში კი დემონსტრაციებით, მანიფესტაციებით?

ვინ არის ის ძალა, რომელიც ებრძვის ევროპის რეაქციას-ფაშიზმს? რომელი პოლიტიკური პარტიაა ის, რომელიც ასეთი გააფთრებით იბრძვის იმპერიალისტური მტაცებლური კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ (მაროკოს ომი, ჩინეთის „დამშვიდება" და სხვა). **აი ეს პარტია გახლავთ კომუნისტური პარტია.** აი ამ პოლიტიკურმა ორგანიზაციამ ხელთ იგდო დასავლეთის პროლეტარიატის აქტიური ნაწილის ხელმძღვანელობა. მართალია, ის (კომუნისტური პარტია) ორგანიზაციულად არ არის კიდევ ევროპის მუშათა მასსებში გეგემონი, მართალია ისიც, რომ მას უხდება ბრძოლა, როგორც ბურჟუაზიული პარტიების, ისე უფრო რეფორმისტ-სოციალისტების წინააღმდეგ. მართალია ისიც, რომ ამ ბრძოლაში კომუნიზმს ერთ ფრონტით ებრძვის კაპიტალისტები და რეფორმისტების ინტერნაციონალი. მაგრამ, ყვითელ-შავი ბლოკის ბრძოლა ხომ განწირულია ისტორიის განაჩენით და მომავალი ბრწყინვალე გამარჯვება ხომ რევოლიუციონურ პროლეტარიატს და მის სისხლ და ხორცს—კომუნისტურ პარტიას დარჩება?

იმ დროს, როდესაც მთელი მსოფლიო ორ ბანაკათ არის დაყოფილი, და ამ ორ ბანაკ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა, როდესაც ბურჟუაზიის ბანაკს აშკარათ მიემხრო საერთაშორისო და ქართული მენშევიზმი, გ. ერაძეს რას ეუბნება მისი მუშური სოციალისტური ინსტიქტი და სინდისი?

გადახედოს მან მის ამხანაგებს, ქართველ მუშებს, თავიდან მოიშოროს ემიგრანტის სათვალები, რომელიც აბრმავებს მის მხედველობას, შეხედოს მან პირდაპირ დღევანდელ საქართველოს— შეიცნოს მისი რეალობა და დარწმუნდება, იმაში, რომ მისი, და მისი ჯგუფის ემიგრანტ მუშების ადგილი არ არის [illegible] აქ, ჩვენთან, საქართველოში სიცოცხლე, მუშაობა და გამარჯვება.

სხვა გზა გ. ერაძეს და მის ჯგუფს არ დარჩენიათ. რამიშვილის პარტიას ის ვეღარ აღადგენს. აი სწორი გზა ერაძის და მისი ჯგუფისა. აი მათი მომავალი კურსი და გეზი. დარჩენა რამიშვილთან, მისი დამსხვრეული ავანტიურისტული ჯგუფების კიდევ შეკოწიწება „ჭკუის სწავლება" ნ. რამიშვილისათვის. ოპოზიციონურობის თამაშობა პარიზის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში, სულ უნაყოფო ოფლის ღვრა-სიზიფის უნაყოფო მუშაობაა.

მსოფლიო რევოლიუციონური ისტორიის განაჩენით მსოფლიო მენშევიზმი და მისი უკანონო შვილი ქართული მენშევიზმი (უკანონო შვილი იმტომ, რომ მეორე ნტერნაციონალი და მისი ლიდერები მას არ სწყალობენ) განწირულია, ის გასულ თაობას ეკუთვნის, მათთან ერთად სარევოლიუციო მუზეუმის სამკაულია. ის ფაქტი, რო დასავლეთ ევროპაში კიდევ საგრძნობელი მუშების მასსები მენშევიკებს მისდევენ, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ეს პარტია მუშათა ავანგარდია, ვინაიდან დღეს ევროპაში და ამერიკაში არიან მუშათა ჯგუფები, რომლებიც „ამშვენებენ" ფაშისტებს, კათოლიკების, კლერიკალების და ქრისტიანული სოციალისტების და ამერიკაში კი ლიბერალების ორგანიზაციებს.

რასაკვირველია, ეს მუშათა ჯგუფები შემცდარია. ისინი, ჩამოცილებულია კლასიურ ნიადაგს და მოკლებული თვით შეგნებას, მუშათა კლასის მტრების ბანაკში იმყოფებიან. დაახლოებით ასეთივე პირობებშია ის მუშები, რომლებიც მენშევიკურ ორგანიზაციებში მოთავსებულან.

კიდევ უარესი მდგომარეობაა აქ, ვინაიდან, ფაშისტების, კათოლიკების მუშური ორგანიზაციის დაშლა ადვილია, რევოლიუციონური იდეა და პრაქტიკა კომუნისტური პარტიისა ამ მუშებს „დაიპყრობს".

რაც შეეხება იმ მუშებს, რომლებიც მენშევიკების იდეურ მსხვერპლით შეიქმნენ, ე. ი. არიან მენშევიკური იდეოლოგიის გავლენის ქვეშ, მათთან დამოკიდებულება და მათი კომუნისტურათ დამუშავება შედარებით უფრო ძნელია.

რაშია საქმე, იკითხავს მკითხველი? როგორ, მენშევიკებზე ახლო ფაშისტები სდგას? ეს, ასეც არის და არც არის ასე; საქმე იმაშია, რომ ფაშიზმი ნიღაბ ახდილი, პირწავარდნილი, გაშიშვლებული, ცოფმორეული რეაქციაა. მენშევიზმი კი დემოკრატიული-მეშჩანური, წვრილბურჟუაზიული უმარულ შეთხუპნილი იდეოლოგიაა, რომელსაც რევოლიუციონური ისტორია აქვს, მაგრამ თანამედროვე მოძრაობას, ის ვერ უძღვება, რადგან მისი როლი ისტორიულად უკვე გათამაშებულია.

თუ მას მასები მისდევენ, კიდევ—ეს ძველი წარსული ტრადიციით, ინერციული მოძრაობის კანონით. და იმდენათ, რამდენად, მუშათა მასსებს ის ძველი ტრადიცია ფსიხიკაში და იდეიაში მაგრად აქვთ ჩამჯდარი, მათი იდეური დაპყრობაც შედარებით ნელი პროცესით იწარმოებს.

მაგრამ რევოლიუციას თავის რკინის ლოღიკა აქვს, ეს ლოღიკა კი ამსხვრევს ყოველდღიურათ ძველ იდეოლოგიას და ავტორიტეტებს და აი ჩვენც ვხედავთ, რომ კომუნისტური პარტია მუშათა მასსებს აბსოლოტიურათ თავის იდეურ ორბიტაში იზიდავს.

ქართველ ემიგრანტ მუშებმა, და ერაძემ ამას უნდა გაუწიონ ანგარიში, ეს მოვლენა სერიოზული ანალიზით გაარკვიონ, აქედან ლოღიკური დასკვნის გაკეთება უბრალო საქმეა: **წინ წასვლა, მომაკვდავის დამარხვა და ახალი სიცოცხლით აღსავსე ორგანიზაციის, კომუნისტური ორგანიზაციის რიგებში გამაგრება და მისი ხელმძღვანელობით ბრძოლა.**

ალფესი ხელაძე.

დეპუტატთა პალატამ მოიწონა კაიოს პროგრამა

გამოქვეყნდა ფინანსების „გაჯანსაღების" დაწვრილებითი გეგმა

ბირჟას უცხოეთის კრედიტების იმედი აქვს

კაიო ვალების საკითხის მოსაგვარებლად ლონდონში მიდის

კაიოს პასუხი

პარიზი, 9 ივლისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, სოციალისტების ბელადის ბლიუმის საპასუხოთ დეპუტატთა პალატაში კაიომ განაცხადა:

„მთავრობას სურს კი არ მოშალოს, არამედ გააუმჯობესოს არსებული საგადასახადო სისტემა. სოციალისტების მიერ წარმოდგენილი ღონისძიება—საკითხის გადაწყვეტა შინაური სესხის კონსოლიდაციის საშუალებით (ე. ი. საკანონმდებლო წესით სახაზინო მოკლევადიანი ბანკების გრძელვადიან ბანკებად გამოცხადება) ხალხს დაუკარგავდა ნდობას მთავრობისადმი.

არსებობს საკითხის გადაწყვეტის ორი საშუალება: **ერთი ექსპერტების პროექტის განხორციელება, მეორე—კონსოლიდაცია.** მთავრობა გაატარებს ფრანკის რევალორიზაციას (ღირებულების აღდგენა), მაგრამ დიდი საფრთხით და ნაწილ-ნაწილად. გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო სახაზინო ბილეთების ღირებულების 15 პროცენტით შემცირებას, განუხორციელებელია; არ შეიძლება გლეხობას მოვთხოვოთ მათ ხელში დაგროვილი საკრედიტო ბილეთები, ხოლო რანტიებს სახელმწიფო ხაზინის ფულები, რადგან მათ უკვე გადახდათ მნიშვნელოვანი გადასახადი. კაპიტალის დაბეგვრაც განუხორციელებელია, დავალიანების ზრდისა და ნაციონალური კაპიტალის შეუფარდებლობის გამო. კაპიტალზე შეწერილი გადასახადი სხვადასხვა ქვეყნებში გადაიქცა უკვე კაპიტალისა და შემოსავლის ზეგადასახადათ. ამას მოითხოვენ სოციალისტები და ამავე დროს არსებულ გადასახადს სთვლიან ძალიან დიდათ.

დე, პალატამ სთქვას თავისი სიტყვა ამ საკითხის შესახებ. პრაქტიკული ხასიათი აქვს ბლიუმის საბუთების მხოლოდ იმ ნაწილს, სადაც იგი ექსპერტების პროექტს დაუესის გეგმას აღარებს. მაგრამ ეს შესაძლებელია გერმანიაში და არა საფრანგეთში. თუ გერმანიამ ნახა თავის ვალდებულებათა გამსაღებელნი, ეს იმიტომ, რომ ამ ვალდებულებათა ქაღალდების გამსაღებლობა მოქალაქეებმა იცოდენ, რომ გერმანიას აიძულებდენ გარედან უზრუნველეყო ეს ვალდებულებანი.

საფრანგეთს ინგლისის მსგავსად დასჭირდება უცხოეთის სესხი. მაგრამ მე განზრახვა არა მაქვს ჩვენი ვალების მოწესრიგების საკითხი დაუკავშირო ამ კრედიტების მიღებას.

ვალების მოწესრიგება აუცილებელია იმ მიზნით, რომ საფრანგეთმა სავსებით აღადგინოს თავისი კრედიტი. პალატამ უნდა ამორჩიოს ან ექსპერტების პროექტი ან სოციალისტების, ხოლო შემდეგ საჭირო იქნება მოქმედება.

ვალების საკითხი

პარიზი, 9 ივლისი. საფრანგეთის პრესა ამტკიცებს, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შორის მიღწეულია შეთანხმება საფრანგეთის ვალის საკითხის მოწესრიგების შესახებ. საფრანგეთის დავალიანება ინგლისისადმი აღწევს 623 მილ. გირ. სტერლინგს. საბოლოო შეთანხმებისათვის საჭიროა მხოლოდ კაიოს გამგზავრება ლონდონში.

იუწყებიან, რომ შეთანხმება ჰგულისხმობს ფაქტიურ მორატორიუმს პირველ ხანებისათვის. შეთანხმება ჰგულისხმობს აგრეთვე გადასახადის შეჩერებას ფრანკის დაცემის შემთხვევაში და **საფრანგეთის მიერ ინგლისის ვალების გასტუმრებას უკავშირებს გერმანიის სარეპარაციო გადასახადებს.**

ნდობის გამოცხადება

ბერლინი, 10 ივლისი. დეპუტატთა **პალატამ 269 ხმით 247-ის წინააღმდეგ ნდობა გამოუცხადა ბრიანის კაბინეტს.**

კაიო ლონდონში მიდის

პარიზი, 10 ივლისი. რადგან დეპუტატთა პალატამ ნდობა გამოუცხადა ბრიანის კაბინეტს, **განხორციელდა კაიოს ინგლისში გამგზავრების განზრახვა.**

ლონდონში ადგილი არ ჰქონია ოფიციალურ განცხადებას უკანასკნელად მომხდარ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შესახებ ორივე მთავრობის წარმომადგენლებს შორის იმ გადაუჭრელ საკითხების გარშემო, რომელნიც დაკავშირებული არიან ვალების საკითხის მოწესრიგებასთან.

შარშან საფრანგეთის მთავრობამ პრინციპიალურად მიიღო ციფრი—12½ მილ. გირ. სტერლინგი, რომელიც წლიური გადასახადის ჯამია. პარიზიდან მიღებული ცნობით, ეს ციფრი დადასტურებულ იქნა ამას წინად დადებულ შეთანხმებით. პირველ წლებში გადასახადების რაოდენობა რამოდენიმეთ ნაკლები იქნება, ვინემ შემდეგში. საკითხი ამ პროგრესიულ გადასახადების ჯამის შესახებ მომავალში უნდა გადაიჭრას ისევე, როგორიც საფრანგეთის მოთხოვნილებაა გარანტიების შესახებ, რაც ერთგვარ ცვლილებებს საჭიროებს. იმ შემთხვევაში, თუ გერმანია არ გადაიხდის თავის რეპარაციებს, საფრანგეთი ვერ შესძლებს თავის ვალდებულებათა შესრულებას ინგლისის წინაშე.

კაიოს კომბინაციები

პარიზი 10 ივლისი. ფრანკის გადახურდავების გაუმჯობესებას ლონდონში ნაწილობრივ ხსნიან ცნობების მიღებით, რომ მიღწეულია შეთანხმება ინგლისთან სამხედრო ვალის მოსაწესრიგებლად.

იტყობინებიან, რომ შეთანხმებამ უნდა მოაგვაროს ყოველივე წვრილმანები.

„ფინანსიური ქირურგი"

დღეს დილით კაიომ დეპუტატთა პალატის ფინანსიურ კომისიაში შეიტანა კანონპროექტი, რომელიც მთავრობას უფლებას აძლევს ყოველთვის მიიღოს ზომები ბიუჯეტის წონასწორობაში მოსაყვანად, ფულის ტრიალის სტაბილიზაციისათვის და სხვ. **კანონპროექტს თან ახლავს განზრახულ ღონისძიებათა ნუსხა. ბიუჯეტის დარგში კანონპროექტის ძალით შეცვლილი უნდა იქნეს გადასახადები შემოსავალზე, ბრუნვაზე, შემცირებული უნდა იქნეს გადასახადი მოძრავ ქონების გადაცემაზე, უნდა გაუქმდეს საკუპონო წივნაკები და საერთოდ უნდა გამარტივდეს საგადასახადო სისტემა.** ხაზინის საკითხის მოსაწესრიგებლად კაიო მოითხოვს, რომ მას უფლება მიეცეს ისეთი სალაროს შექმნის, რომელიც უხელმძღვანელებს ნაციონალურ თავდაცვის ბონებს და სხვ., ექსპერტთა კომისიის რეკომენდაციის თანახმად. კაიო ფრანკის სტაბილიზაციისათვის ზომებს ექსპერტთა კომისიის მოხსენებას უთანხმებს.

მოკავშირეთა ვალების მოსაწესრიგებლათ წარმოდგენილი იქნება განსაკუთრებული პროექტი, შეთანხმებული ვაშინგტონის ხელშეკრულებასთან, რომელიც უკვე შეტანილია დეპუტატთა პალატაში. ახალი პროექტი იწონებს ინგლისის მთავრობასთან დადებულ ხელშეკრულებას.

შეზღუდვა მუშებისათვის

პარიზი, 9 ივლისი, დეპუტატების პალატამ მიიღო კანონპროექტი, რომლის ძალით უცხოელ მუშებს საფრანგეთში ჩასვლის შემდეგ პირველ წლის განმავლობაში უფლება აქვთ იმუშაონ მხოლოდ შრომის იმ დარგში, რომელიც მათს სპეციალობას წარმოადგენს.

მოსავლიანობა

პარიზი, 9 ივლისი. **საფრანგეთში პურის ნათესების მოსავალი საშუალოზე ნაკლებია.** მიმდინარე წლის მოსავალი წარსულ წლისაზე 60 მილ. ფუთით ნაკლები იქნება.

ამის გამო პური თანდათან ძვირდება.

გერმანიის კომპარტიაში

ბერლინი, 9 ივლისი. **გერმანიის კომპარტიის ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ რუტ ფიშერს აუკრძალა ცეკას წევრის ფუნქციების შესრულება პარტიის ყრილობის მოწვევამდე.** საკონტროლო კომისიამ დამთავრებულად სცნო ცეკას კამათი კომინტერნის აღმასკომის ღია წერილის გამო და წინადადება მისცა ოპოზიციას შესწყვიტოს მუშაობა ყოველგვარ ფრაქციულ ჯგუფების შესაქმნელად, განსაკუთრებით კავშირი გასწყვიტოს პარტიიდან გამორიცხულ კორშის ჯგუფთან; ის პირი, რომელიც ამ ჯგუფთან კავშირს დაიჭერს, დაუყოვნებლივ გამორიცხული იქნება პარტიიდან.

მღელვარება სპარსეთის ჯარში

თეირანი, 9 ივლისი. მეშედიდან იტყობინებიან, რომ ხორასანში დაბანაკებულ ჯარებში მომხდარ მღელვარებით გამოწვეული პანიკა მეშედში და კუჩანში შენელდა.

მღელვარება დაიწყო ჯამაგირის დაგვიანების ნიადაგზე. აჯანყებულები შირვანის მახლობლათ არიან დაბანაკებული. **7 ივლისს აჯანყებულ გარნიზონისაკენ გაფრინდენ ჰაეროპლანები,** რომელთაც დავალებული აქვთ გადაჰყარონ აჯანყებულებს შორის ფურცლები შაჰის ბრძანებით, რომელშიაც იგი მათ ამნისტიას ჰპირდება, თუ დაუყოვნებლივ შესწყვეტენ აჯანყებას.

კუჩანის გუბერნატორათ დაინიშნა შაჯა-ელ-დოულეს შვილი (შაჯა-ელ-დოულე „ილხანი" ე. ი. ხორასანის ფაქტიური მემკვიდრეობითი გუბერნატორი). სპარსეთის ზოგიერთ წრეებში ამ დანიშვნას ფეოდალიზმისთვის დათმობათ სთვლიან.

პრესაში აქამდე არაფერი არ დაწერილა სალმასის ამბების შესახებ. იყო მხოლოდ ერთი ცნობა, რომ სალმასში დაიწყო აჯანყება (სალმასი მდებარეობს სპარსეთის აზერბეიჯანში, ურმიის ტბის რაიონში). სალმასის ამბების გამო გადადგა ჩრდილოეთ დასავლეთის დივიზიის მთავარ სარდალი ემირ ლაშქარი და ჟანდარმერიის უფროსი ახმედ-აღა-ხანი.

საბჭოთა პრესა

ხელმძღვანელ მუშაკების სწორი გამოყენება

წარმოების რაციონალიზაციისა და მრეწველობის განვითარებისათვის, როგორც ვიცით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომზადებულ ტეხნიკურ ძალების საკმაო კადრის ყოლას. ამ მხრივ ჩვენ ეხლაც განვიცდით ნაკლებობას, რაც შემდეგში, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პროცესის გაფართოებასთან ერთად, უფრო საგრძნობი გახდება.

ჩვენი ტეხნიკური კადრები არა მარტო მცირერიცხოვანია, არამედ ისინი მეტ წილად მოისუსტობენ თვისობრივადაც. ამ ნაკლის დაძლევა, სხვათა შორის, შეიძლება ტეხნიკური ძალების რაციონალური გამოყენების გზით. ამ დარგში მდგომარეობა ვერ არის სასურველი

ჩვენ გვესაჭიროება წარმოების ისეთი ხელმძღვანელები, რომელიც ორგანიულად არიან მძღვანელები, რომელნიც ორგანიულად არიან დუღლებული, რომელნიც ცხოვრობენ მისი სიცოცხლით და უშუალოდ არიან გაცნობილი წარმოების ყველა ელემენტს. ამის მიღწევა ერთბაშად შეუძლებელია, ამისათვის საჭიროა, რომ ტეხნიკური ძალები ხანგრძლივად მუშაობდენ განსაზღვრულ წარმოებაში. ჩვენში კი წარმოების ხელმძღვანელ და ტეხნიკურ შემადგენლობის ხშირი ცვალებადობა თითქმის ჩვეულებრივ მოვლენადაა გადაქცეული.

„ასეთი ცვალებადობა,—სწერს „ტორგოვო-პრომიშლენნაია გაზეტა", — ნიშნავს ქარხნისათვის გეგმაშეწონილ და სისტემატიურ ხელმძღვანელობის წართმევას და მის გადაქცევას ყოველნაირ ექსპერიმენტების ობიექტად. თუ რევოლიუციის მომყოლ პირველ წლებში ხელმძღვანელთა ხშირი ცვლა გასაგები იყო, ეხლა გადაჭრით უნდა წამოვაყენოთ ხელმძღვანელ პერსონალის სტაბილიზაციის ლოზუნგი. ცვალებადობას კიდევ ერთი მეტად უარყოფითი მოვლენა სდევს თან— „ყველაფრის ცოდნა", ზერელობა. დღეს ესა თუ ის მუშაკი ხელმძღვანელობს ტყავეულის წარმოებებს, ერთი თვის შემდეგ ის ხდება ქაღალდის ფაბრიკის დირექტორი, კიდევ ერთი თვის შემდეგ ლითონის სინდიკატის ტეხნიკურ კანტორის გამგე. ასეთი მდგომარეობა ერთნაირად დაუშვებელია როგორც სპეციალისტების მიმართ, ისე მოწინავე მუშების მიმართ, რომელნიც მრეწველობის ხელმძღვანელობისათვის არიან მოწოდებული. დილეტანტობის დრომ განვლო, საჭიროა სპეციალიზაციას მივყოთ ხელი. სამწუხაროთ, ჩვენ არ შეგვიძლია დაუშვათ ვიწრო სპეციალიზაციის ფუფუნება (ამისათვის ჩვენ მუშაკების საკმაო კადრი არა გვყავს, მაგრამ უფრო ფართე სპეციალიზაცია, თუნდაც მრეწველობის ამა თუ იმ დარგის მასშტაბით, შესაძლებელია და უნდა გატარდეს".

ხელმძღვანელთა შემადგენლობის ხშირი ცვალებადობა—ეს არა მარტო მრეწველობის სენია, არამედ ის დამახასიათებელია საბჭოთა აპარატისა, კოოპერაციისა და სხვ. ორგანიზაციებისათვისაც. ამით ფერხდება წარმოება-დაწესებულებათა ნორმალური მუშაობა, ხელმძღვანელ კადრების კვალიფიკაცია არ ვითარდება, სუსტდება მათი პასუხისმგებლობის გრძნობაც. მუშაკების ხშირ გადაყვანა - გადმოყვანას ბოლო უნდა მოეღოს, თუ ეს აუცილებლობით არ არის გამოწვეული.

ინგლისელები ჩინეთში

ლონდონი, 9 ივლისი. კონსერვატიულ „დეილი ექსპრესის" ცნობით, კანტონის მახლობლად **ინგლისის ჯარებსა და გაფიცულ ჩინელთა შორის მოხდა შეტაკება.** შეტაკების დროს მოკლულ იქნა 26 ჩინელი. საგაფიცვო კომიტეტმა კანტონის მთავრობას მიმართა საჩივარით ინგლისის ჰონკონგის ხელისუფლების წინააღმდეგ.

კრიზისი გერმანიის მრეწველობაში

ბერლინი, 9 ივლისი. **გერმანიის ყოველი კუთხიდან იტყობინებიან, რომ გერმანიის მრეწველობის „რაციონალიზაციის" პროცესთან დაკავშირებით გრძელდება მუშა - მოსამსახურეების დათხოვნა.**

ვოლფის კონცერნმა აშერსლებენში დახურა მანქანების საამშენებლო ქარხანა და დაითხოვა 1000 მუშა და მოსამსახურე. მწარმოებელთა კავშირმა ნიურნბერგში 14,000 მოსამსახურეს, 2,500 ტეხნიკოსს და 3,500 ხელოსანს გამოუცხადა, რომ ისინი სამსახურიდან დათხოვნილი არიან. კრუპის ფირმას მახლობელ თვეების განმავლობაში განზრახულიაქვს 1000 მუშის დათხოვნა. შპანდაუში ავტომობილების ქარხნებს განზრახული აქვთ 15 ივლისიდან 1300 მუშის და მოსამსახურის დათხოვნა.

ბერლინში უმუშევართა რიცხვი 270,731 კაცს აღწევს, რაც 7-ჯერ აღემატება იმ რაოდენობას, რომელიც შარშან იყო.

მრავალ შემთხვევაში მუშების და მოსამსახურეების დათხოვნას მიმართავენ იმ მიზნით, რომ დაითანხმონ ისინი სამუშაო ხელფასის შემცირებაზე.

საბჭოთა კავშირი და ოსმალეთი

სტამბოლი, 10 ივლისი. მოგვყავს ტექსტი ოქმისა, რომელსაც ხელს აწერენ ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრი **ტევფიკ-რუშდი-ბეი** და საბჭოთა კავშირის სრულ - უფლებიანი წარმომადგენელი **სურიცი:**

„ქვემორე ხელის მომწერლებმა, სათანადო რწმუნებით აღჭურვილებმა, ერთი მეორეს გადავეცით ესე სარატიფიკაციოდ ს. ს. რ. კავშირის და ოსმალეთის რესპუბლიკის ხელშეკრულება, რომელიც დადებული და ხელმოწერილი იქნა 1925 წელს 17 დეკემბერს პარიზში და რატიფიკაცია ექნა ს.ს.რ.კ. ცაკის მიერ 8 იანვარს 1926 წელს და ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრების მიერ 1926 წელს 11 თებერვალს. მისი აღმატებულება — ოსმალეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი — ტევფიკ-რუშდი-ბეი აცხადებს, რომ მას აქვს რწმუნება ოსმალეთის მთავრობისაგან დაადასტუროს ამ მთავრობის სახელით, რომ პარიზის ზემოხსენებული ხელშეკრულების დროს ოსმალეთის მთავრობას, რომელიც ერთგულია ურთიერთ შეთანხმებით, — მოსკოვის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებით დაწესებულ პრინციპების, არ ქონია არავითარი საერთაშორისო ვალდებულება, რომელიც ეწინააღმდეგებოდეს პარიზის ხელშეკრულებას.

ამ პრინციპებით აღფრთოვანებული იგი,—იმავე ოსმალეთის მთავრობის სახელით აცხადებს, რომ მთავრობას თავის თავზე არ მიუღია არავითარი ასეთი ვალდებულება 1925 წლის 17 დეკემბრიდან უკანასკნელ დრომდე. და არც მიიღებს ასეთ ვალდებულებებს სანამ ძალაში რჩება პარიზის ზემოხსენებული ხელშეკრულება.

იმავე დროს ოსმალეთის მთავრობა გამოსთქვამს რწმენას, რომ მეგობრული და მოკიდებულება ოსმალეთის რესპუბლიკისა და ს. ს. რ. კავშირის შორის შემდგომისათვის კვლავ გაგრძელდება და განმტკიცდება.

ამას თან მოჰყვა ამხ. სურიცის ანალოგიური განცხადება.

ოქმი ასე თავდება:

„დასამტკიცებლად ამისა ქვემორე ხელისმომწერლებმა შეადგინეს ეს ოქმი. შედგენილი იქნა სტამბოლში ორ-ცალად 29 ივნისს 1926 წ.

„პამპულაი იკაზმება თოფითა და ჯინჯილითა"...

ბერლინი. პილსუდსკის გაზეთი „პოლსკა ზბროინა" მოითხოვს პოლონეთის საზღვრების გაფართოებას ოდერამდე (გერმანია) და ძლიერი არმიის შექმნას პოლონეთის საზღვრების დასაცავად. „ყოველი პოლონელი—სწერს გაზეთი—უნდა იყოს სალდათი. ყოველი პოლონელი ქალი უნდა შედიოდეს ნაციონალურ თავდაცვის სათადარიგო ჯარში. თითო სახლი პოლონეთში უნდა შეიქნეს ციხე-სიმაგრედ".

(დეპეშებიდან)



საბჭოთა დაკვეთები გერმანიაში

ბერლინი, 9 ივლისი. დიუსელდორფში პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანების პრეზიდიუმის მეოთხე სესიაზე სიტყვა წარმოსთქვა სახალხო მეურნეობის მინისტრმა კურციუსმა.

უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მინისტრმა განაცხადა:

„ორი კვირის წინად გერმანიის ბანკებსა და საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობას შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება საბჭოთა კავშირის დაკვეთებისათვის ფინანსების მიწოდების პირობების შესახებ. ეს შეთანხმება მნიშვნელოვანად ამსუბუქებს შემდეგი დაკვეთების მიღებას. აქამდის სამრეწველო წრეების კომისიებიდან საბჭოთა კავშირის დაკვეთების კრედიტის უზრუნველსაყოფად დაახლოებით შემოვიდა განცხადებები 350 მილ. მარკისა. განცხადებების დიდი ნაწილი უკვე დაკმაყოფილებულია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სავაჭრო გარიგებათა რიცხვი თანდათან გაიზრდება".

9 საათის სამუშაო დღე იტალიაში

რომი, 9 ივლისი. მთავრობის მიერ 9 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ დეკრეტის გამოცემის გამო, იტალიის შრომის კონფედერაციამ (რეფორმისტულმა) გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია, რომ სამუშაო ხელფასი იტალიაში 1921 წლის დონეზეა, **ხოლო ცხოვრება 1921 წლის შემდეგ 30 პროცენტით გაძვირდა. იმ დროს წარმოებების მოგება არაჩვეულებრივათ გაიზარდა. მწარმოებლებს უკვე აღარ აკმაყოფილებს ნორმალური მოგება.**

თუ მუშებისაგან მოითხოვენ მსხვერპლს, მსხვერპლი უნდა გაიღონ აგრეთვე მწარმოებლებმაც. უნდა გადასინჯულ იქნეს წარმოებების ანგარიშწარმოება და ხარჯები, რომელნიც ძლიერ გადაჭარბებულია. საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ დეკრეტი ეწინააღმდეგება ვაშინგტონის კონფერენციის დადგენილებას 8 საათის სამუშაო დღის შესახებ, რადგან იტალია შეუერთდა ამ დადგენილებას.

გარდა ამისა, დეკრეტს გამოიყენებენ უცხოეთის სახელმწიფოები, ვინაიდან, თუ იტალიას არ ყოფნის სამუშაო 9 საათის სამუშაო დღისათვის, მაშინ ზედმეტია იტალიელების ემიგრაცია (მხედველობაშია ამერიკის შეერთებული შტატები, რომელნიც ყოველწლიურად უშვებენ თავის ტერიტორიაზე უცხოელების განსაზღვრულ რაოდენობას).

აღნიშნავენ რა, რომ არსებული რეჟიმის დროს მას არ შეუძლია ხელი შეუშალოს დეკრეტის გატარებას, ფედერაცია წინადადებას აძლევს მუშებს დასთანხმდენ სამუშაო დღის გადიდებაზე მხოლოდ შრომის იმ დარგებში, რომლებშიც არ არის უმუშევრები და იმ შემთხვევებში, როცა ეს აუცილებელია წარმოების ინტერესებისათვის.

პანების კონსტიტუცია

მთავრობა მოითხოვს

ვარშავა, 10 ივლისი. პარასკევს სეიმის კონსტიტუციის გამომუშავებულ კომისიაში იუსტიციის მინისტრმა ზაკოვსკიმ მთავრობის სახელით მოითხოვა, რომ კონსტიტუციას საფუძვლად დაედოს მთავრობის პროექტი და არა პარტიებიდან წარმოდგენილი პროექტები. მთავრობა არ დაიცავს პროექტის ყველა პუნქტების დატოვებას.

კამათი სეიმში

ვარშავა, 9 ივლისი. კონსტიტუციის შეცვლის გარშემო გამართულ კამათის დროს სიტყვა წარმოსთქვა უკრაინელმა **გრუცკიმ**, რომელმაც განაცხადა:

„თქვენ ვერ გიხსნით კონსტიტუციის და საარჩევნო კანონის ვერავითარი შეცვლა. მთავრობის მიერ უკრაინელებისა და ბელორუსებისათვის მიცემულ დაპირებებს არავითარი რეალური მნიშვნელობა არა აქვთ. პოლონეთის უკრაინელები და ბელორუსები მისწრაფვიან თავის ერთან გაერთიანებისაკენ. პოლონეთს იხსნის მხოლოდ საზღვრების შეცვლა. ამ საქმეში ჩვენ მას სიამოვნებით დავეხმარებით".

შილინსკის საქმე

ვარშავა, 9 ივლისი. კომუნისტი შილინსკი, რომელმაც მოჰკლა პროვოკატორი ვიტკოვსკი, გადაეცა ჩვეულებრივ სასამართლოს. მას მოელის 15 წლის ციხე.

სესხს დაეძებენ

ვარშავა, 9 ივლისი. ზოგიერთი გაზეთების ცნობით, **ვარშავაში ამერიკის ბანკების კონსორციუმთან სწარმოებს მოლაპარაკება პოლონეთისათვის 50 მილ. დოლარის სესხის მიცემის შესახებ.**

დოლარის კურსი დღევანდელ ბაზარზე—9 ზლოტი 20 გროში.

ურთიერთობა გერმანიასთან

ვარშავა, 10 ივლისი. უცხოეთის პრესის წარმომადგენლებთან საუბარის დროს ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა კვიატკოვსკიმ განაცხადა, რომ პოლონეთ-გერმანიის მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ კომპრომისს უნდა ემყარებოდეს. მას სურს, რომ ეს მეორე მხარემაც შეიძლოს. კვიატკოვსკიმ განაცხადა, რომ მთავრობა ეცდება გაადვილოს პოლონეთის გზით ტრანსპორტი საბჭოთა კავშირში, რომელთანაც პოლონეთი თანდათან ანვითარებს საქონლის გაცვლა-გამოცვლას.

ახალი სამხედრო გადატრიალება პორტუგალიაში

გენერლების ოთურმა

პარიზი, 10 ივლისი. ლისაბონიდან მიღებულ ცნობებით, **პორტუგალიის ჯარი წინააღმდეგია გენერალ დაკოსტასი**, რომელსაც სამი უკანასკნელი კვირის განმავლობაში ეჭირა პრემიერის თანამდებობა. **ჯარი მოითხოვს მის გადადგომას.**

გავრცელებული ხმების თანახმად, შედგენილ იქნება კომიტეტი სამი გენერალისა და ორი ადმირალისაგან. კომიტეტს დაეკისრება მთავრობის შედგენა. მთავრობაში შევლენ სამოქალაქო პირებიც.

ახალი გენერალი

ბერლინი, 10 ივლისი. ლისაბონიდან მიღებული ცნობებით, **პორტუგალიაში ახალი გადატრიალება მოხდა. დაკოსტას** მთავრობა დაეცა. ახალ პრემიერად და სამხედრო მინისტრად არჩეულია გენერალი კამარა.

რკინისგზელთა გაფიცვა ამერიკაში

ლონდონი, 9 ივლისი. ნიუ-იორკიდან მიღებული ცნობით, **დღეს მოხდა პირველი ინციდენტი მიწის ქვეშა რკინისგზების მოსამსახურეების გაფიცვის განმავლობაში.** ათი ვაგონიდან შემდგარი ცარიელი მატარებელი, რომელიც შტრეიკბრეხერ ვატმანს მიჰყავდა, ნიუ-იორკის საფინანსო რაიონის ცენტრში ლიანდაგს ასცდა და ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი გადავიდა მეორე მატარებელზე, რომელშიც 10 მგზავრი იყო. დარაჯებმა მოახერხეს მეორე მატარებელში ჩაკეტილ მგზავრების გადარჩენა.

სხვადასხვა

— **ხოლერა.** ხოლერის ეპიდემია გავრცელდა ინდოეთში, ფილიპინში, ინდო-ჩინეთში და სიამში. მარტო ინდოეთში აღრიცხულია 64.253 დაავადმყოფების შემთხვევა. აქედან სიკვდილით დამთავრებულა—43.556 შემთხვევა.

— **აფიორა.** ოსლოდან მოსული ცნობით, სტორტინგის (პარლამენტის) კომისია მოითხოვს პასუხისგებაში მიცემას ყოფილ პრემიერის აბრამ ბერგის და სხვა მინისტრების, რომელთაც სტორტინგის სათანადო რატიფიკაციის გარეშე ნორვეგიულ კომერციულ ბანკს ავანსად მისცეს 25 მილიონი კრონი.

— **შეტაკება ფაშისტებსა და კომუნისტებს შორის.** სლოვაკიაში მოხდა შეტაკება ფაშისტებს და კომუნისტებს შორის. ამ შეტაკებამ ხანგრძლივი ბრძოლის ხასიათი მიიღო. დაიჭრა 100 კაცი. მოკლულ იქნა ერთი კომუნისტი.

— **საიდის აჯანყებაში მონაწილეობისათვის.** დიაბეკირში დამოუკიდებლობის ტრიბუნალმა სიკვდილი მიუსაჯა 13 კაცს, რომელნიც მონაწილეობდენ შეიხ საიდის აჯანყებაში.

— **ჟაკ სადულის გამორიცხვის გამო.** ეხება რა ჟაკ სადულის გამორიცხვას ვექილთა წოდებიდან „ჰუმანიტე" სწერს: „პარიზის ვექილთა საბჭომ ფაშისტების აგიტაციის გავლენით გამორიცხა სადული მექილთა წოდებიდან იმ მოწოდების გამო, რომელიც სადულმა დასწერა მოსკოვში, ე. ი. ჯერ კიდევ ვექილის უფლებებში აღდგენამდე.

უკანასკნელი ცნობები

სპარსეთის სამხედრო მინისტრი ბაქოში

ბაქო, 10 ივლისი. ბაქოში ჩამოვიდა სპარსეთის მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, რომელსაც ეხლანდელ მთავრობაში სამხედრო მინისტრის თანამდებობა უჭირავს, მირზა გონსონ-ხანი-ფურუგი.

მოსკოვი-თეირანი

ბაქო, 10 ივლისი. დღეს ღამით მოსკოვიდან თეირანისაკენ გაფრინდება მფრინავი მოისეენკო. ბაქოში მას ხვალ სადამოთ მოელიან.

ასე იოლად არ წავა

ვარშავა, 9 ივლისი. გაზეთები უარყოფენ ცნობას პილსუდსკის სამხედრო მინისტრის თანამდებობიდან წასვლას და მის მაგიერ გენერალ რიდზ-სმიგლის დანიშვნის შესახებ.

აბდ-ელ-ქერიმის ბედი

პარიზი, 9 ივლისი. როგორც იუწყებიან, აბდ-ელ-ქერიმი არ გაიგზავნება კუნძულ მადაგასკარზე, რადგან იქ მოსახლეობა მუსულმანურია. განზრახულია მისი გავლენა ბურბონების კუნძულზე.

ბრიანი და ვანდერველდე

პარიზი, 10 ივლისი. ვანდერველდესა და ბრიანს ჰქონდათ თათბირი ყველა საკითხებზე, რომლებიც ერთა ლიგას შეეხებიან.

კაიო მიემგზავრება

პარიზი, 10 ივლისი. კაიო მიემგზავრება ლონდონში ვალების საკითხის მოსაწესრიგებლად.

გაფიცვა გრძელდება

ნიუ-იორკი, 9 ივლისი. მეტროპოლიტენის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვა გრძელდება.

საკასა და ვანცეტის საქმე

ნიუ-იორკი, 9 ივლისი. მასსაჩუზეტის შტატის ხელისუფლებამ, სადაც რევოლიუციონერებს საკასა და ვანცეტის სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, მიიღო გერმანიის პროფმოძრაობის ცნობილ ხელმძღვანელებისა და რეიხსტაგის დეპუტატებისაგან მოთხოვნილება, საკასა და ვანცეტის საქმის გადასინჯვის შესახებ. მიმართვას ხელს აწერს აგრეთვე რეიხსტაგის პრეზიდენტი ლებე.

რა ხდება უცხოეთში

მსოფლიო კრიზისის გეოგრაფია

მენშევიკები და ბურჟუაზიული ეკონომისტები ამტკიცებენ, რომ კაპიტალიზმი განიკურნა იმ ჭრილობებისგან, რომელიც მას მიაყენა მსოფლიო ომმა და ოქტომბრის რევოლიუციამ. ამიტომ ინტერესმოკლებული არ იქნება ცალკე ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის გაცნობა იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად საფუძვლიანია ეს მტკიცება.

ინგლისი. ხანმოკლე საყოველთაო გაფიცვის შედეგები ჯერაც არ არის აღმოფხვრილი. 1.200.000 მაღაროს მუშის გაფიცვა ძველის შეუდრეკელობით გრძელდება. სამთამადნო მუშების გაფიცვა გავლენას ახდენს მრეწველობის სხვა დარგებზეც. უმუშევართა რიცხვი (გაფიცულ სამთა-მადნო მუშების გამოკლებით) ორ მილიონამდე აღწევს. მანქანების სააღმშენებლო და ბინების სააღმშენებლო მრეწველობა კრიზისს განიცდის. ლიბერალურ პარტიაში ბრძოლაა ასკვითსა და ლლოიდ-ჯორჯის მომხრეებს შორის. ახალშენებთან დამოკიდებულება გამწვავებულია.

ეგვიპტე. ნაციონალისტების (ზაგლულფაშას პარტიის) არაჩვეულებრივი გამარჯვება არჩევნებში. გამარჯვებული პარტია მოითხოვს ეგვიპტისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას. მოლაპარაკება ზაგლულ-ფაშასა და ინგლისის უმაღლეს კომისარს შორის ეგვიპტეში უშედეგოთ დამთავრდა. მოსალოდნელია ინგლის-ეგვიპტის ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავება.

ინდოეთი. სვარაჯისტებმა (ზომიერი ნაციონალისტები) უარი სთქვეს თანამშრომლობაზე ინგლისის ხელისუფლებასთან. მოსალოდნელია ახალი არჩევნები. ნაციონალური ბრძოლის შესასუსტებლად ინგლისელები შუღლს სთესენ (სარწმუნოებრივ ნიადაგზე) ინდუსებსა და მუსლიმანებს შორის. არჩევნებში სვარაჯისტების გამარჯვება უზრუნველყოფილია. სვარაჯისტები, თუმცა ინგლისთან შეთანხმების მომხრე არიან, მაგრამ მასების ზეგავლენით იძულებული შეიქნებიან ინგლისის მიმართ მტკიცე პოლიტიკა აწარმოონ.

სამხრეთ-აფრიკა. პარლამენტში შეტანილია კანონ-პროექტი სამხრეთ-აფრიკის სახელმწიფო დროშის შესახებ. ახალი დროშა წმინდა ეროვნულია.

ეს ერთის შეხედვით უმნიშვნელო ფაქტი, ახალშენების ინგლისისაგან ჩამოშორების, ინგლისის კოლონიალური იმპერიის რღვევის მაჩვენებელია.

საფრანგეთი. ფინანსიური კრიზისი გრძელდება. ინგლისი და ამერიკა მოითხოვს ფინანსიური კაპიტალის დიქტატურის შემოღებას ინგლის-ამერიკის ბანკირების კონტროლის ქვეშ. თუმცა აბდ-ელ-ქერიმი დანებდა ფრანგებს, მაგრამ პარტიზანული ბრძოლა რიფების ოლქში ისევ გრძელდება. სირიაში მდგომარეობა გამწვავებულია. სირიის „ნაციონალური" მთავრობის შედგენის შემდეგ დამასკში კვლავ იფეთქა აჯანყებამ და ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილი ყუმბარებით იქნა დანგრეული. ძლიერდება ფაშიზმი. საფრანგეთის კომპარტიის გავლენა სოფლისა და ქალაქის მშრომელ მასსებზე დღითი დღე იზრდება. მემარცხენე ბლოკი საბოლოოთ გაკოტრდა. მთავრობის სისტემატიური კრიზისების დროს უფრო ხშირ-ხშირათ ლაპარაკობენ მთავრობის შედგენაზე მემარჯვენეების მონაწილეობით.

ბელგია. ფინანსიური კრიზისი. ბელგიის ფინანსიურმა კაპიტალმა ინგლისელ და ამერიკელ ბანკირების საშუალებით ჩამოაგდო ვანდერველდეს მთავრობა, რომელიც არ დასთანხმდა ბანკირების მოთხოვნილებათა უცვლელად გატარებაზე. ახალი მთავრობა ფინანსიური კაპიტალის ტყვეობაშია. ინგლის-ამერიკის ფინანსიური კაპიტალი იმუშავებს ბელგიის ეკონომიური „გაჯანსაღების" გეგმას.

პორტუგალია. ეკონომიური კრიზისი. სამხედრო დიქტატურის დამყარება. მუშები ემზადებიან სამხედრო დიქტატურის დასამხობათ.

იტალია. ფაშიზმი პოლიტიკურად გაძლიერდა, მაგრამ იტალიური ლირა უარეს მდგომარეობაში იმყოფება, ვიდრე ფრანგული ფრანკი. უმუშევრობა საშიშ ხასიათს იღებს, ეკონომიური კრიზისი ღრმავდება, რაც აიძულებს ფაშიზმს კოლონიალურ პოლიტიკაში უფრო გაბედულ იმპერიალისტურ გზას დაადგეს.

გერმანიაში. ორი მილიონი უმუშევარი. გერმანიის მრეწველობა საბრუნავ თანხების ნაკლებობას განიცდის და ამიტომ მას დიდ მეტოქეობას უწევს ამერიკის მრეწველობა, რომელსაც საკმაო თანხები მოეპოება და შეუძლია საქონელი ნისიათ გასცეს ხანგრძლივი ვადით. 20 ივნისის პლებისციტის შემდეგ კლასთა ბრძოლა კიდევ უფრო მწვავდება. ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის საკითხი კვლავ დიდ შფოთა-შემოხლას იწვევს პოლიტიკურ წრეებში.

ნორვეგია. 40.000 მუშა ქუჩაში გამოჰყარეს. ბურჟუაზია შეტევაზე გადავიდა. სახელმწიფოს სათავეში მემარჯვენე მთავრობა ჩაუდგა.

შვეცია. სოციალ-დემოკრატიული მთავრობა დაამხეს. შედგა ბურჟუაზიული ბლოკი. დაიწყო შეტევა შრომის ხელფასისა და სამუშაო დღის წინააღმდეგ.

რუმინეთი. ვალიუტა ეცემა. გენ. ავერესკუმ არჩევნებში ტერორით გაიმარჯვა. ინგლის-ამერიკის ბანკირები თავის დიქტატურას რუმინეთზეც ავრცელებენ.

სამხრეთ-სლავია. მთავრობის მუდმივი კრიზისი. კოალიციონური მთავრობის გადადგომას დღე-დღეზე მოელიან.

საბერძნეთი. გენ. პანგალოსის სამხედრო დიქტატურა.

ესპანეთი, გენ. პრიმო-დე-რივერას ფაშისტური დიქტატურა.

უნგრეთი. ღრმა ეკონომიური კრიზისი. ძლიერდება მუშათა მოძრაობა.

ავსტრია. უმუშევრობა, ეკონომიური კრიზისი.

ჩეხო-სლოვაკია. ჩეხის პარტიების კოალიციის დაშლა. ფაშიზმის ზრდა. ეკონომიური კრიზისი.

პოლონეთი. პილსუდსკის დიქტატურა. ღრმა ეკონომიური კრიზისი. სამოქალაქო ომის აჩრდილი.

ჩინეთი. საერთო-ნაციონალური მთავრობა არ შემდგარა. გომინდანის გავლენა იზრდება. კანტონის რევოლიუციონურ მთავრობას მორჩილება გამოუცხადა რამდენიმე ახალმა პროვინციამ.

იაპონია. დანიშნულია ახალი არჩევნები რომელშიც 14 მილიონი ამომრჩეველი მიიღებს მონაწილეობას (წინათ 3 მილიონი). შემუშავებულია მთელი მრეწველობის მილიტარიზაციის (გასამხედროების) გეგმა. კორეა იბრძვის დამოუკიდებლობისათვის.

შეერთებული შტატები. ახლოვდება ეკონომიური კრიზისი. საავტომობილო, სააღმშენებლო და ლითონის მრეწველობა უკვე განიცდიან კრიზისის ამ მოახლოებას. ფასები ეცემა, დაკვეთები შემცირდა, შინაური ბაზარი გაივსო საქონლით.

ასეთია მოკლეთ ეკონომიური კრიზისის გეოგრაფია. რასაკვირველია, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ არსებობს მხოლოდ ტენდენცია კრიზისისაკენ. შეერთებული შტატების კაპიტალს კიდევ ბევრი რეზერვი მოეპოება. ამერიკის ფინანსიური კაპიტალი შეეცდება, რომ აღადგინოს მსოფლიო კაპიტალიზმის წონასწორობა. ამ მხრივ დამახასიათებელია ნიუ-იორკის ბანკირების მიერ ევროპის „გასაჯანსაღებლათ" შედგენილი გეგმები.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ხარჯების შესამცირებლათ

მოსკოვი, 10 ივლისი. საბჭოთა რუსეთის ინსპ. სახ. კომისარიატმა მოახდინა იმ ხარჯების რაოდენობის გამოკვლევა, რომელიც სახელმწიფო მრეწველობის, ვაჭრობის და კოოპერაციის ორგანოებს გაუღიათ არა პირდაპირი დანიშნულებისათვის.

საბჭოთა რუსეთის სახ. კომ. საბჭო თავის დადგენილებაში აღნიშნავს, რომ ხელისუფლების ორგანოები ადგილებზე სხვადასხვა წარმოებებს აიძულებენ გაიღონ თანხები შემოწირულების სახით შეფობისათვის, დღესასწაულის მოწყობისათვის და სხვა დანიშნულებისათვის.

საბჭოთა რუსეთის სახ. კომ. საბჭომ დაადგინა კატეგორიულად აეკრძალოს საკანონმდებლო წესით გაუთვალისწინებელი თანხების გაღება ისეთი საჭიროებისათვის, რომელსაც პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს სახელმწიფო მრეწველობის და ვაჭრობის კოოპერატიულ საქმიანობასთან.

აქციზი ღვინოზე

მოსკოვი, 9 ივლისი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა დააწესოს საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ფარგლებში 40 გრადუსიანი პურის არაყზე დამატებითი აქციზი 3 მან. 20 კაპეიკის რაოდენობით თვითეულ ვედროზე. კონიაკსა და არაყის ნაწარმოებზე, მათი სიმაგრის მიუხედავათ, წესდება ძირითადი დამატებითი აქციზის გარდა, არაყის ნაწარმოებზე 12 მანეთი, ხოლო კონიაკზე 4 მან. 80 კაპ. ყოველ ვედროზე.

საბჭოთა აპარატის გამარტივებისათვის

მოსკოვი, 10 ივლისი. საქმიან კლუბში მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა **ძერჟინსკის,** და ს. მ. უ. ს. პასუხისმგებელ თანამშრომელთა შორის ს. მ. უ. საბჭოს აპარატის გამარტივებისა და რაციონალიზაციის შესახებ.

ამხ. ძერჟინსკიმ აღნიშნა, რომ ქვეყნის **ინდუსტრიალიზაცია და საქონლის კრიზისის აღმოფხვრის ამოცანები მოითხოვენ ს. მ. უ. საბჭოს აპარატის მუშაობის სიმარტივეს და გარკვეულობას.** თქვენ მოვალე ხართ რევოლიუციონური გამბედაობით გამოამჟღავნოთ ჩვენი აპარატის ნაკლულევანებანი მათი მოსპობის მიზნით. კერძოთ მთელი სიმწვავით სდგას საკითხი აპარატის განყოფილებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის შესახებ. არსებული სისტემის დროს ეს პასუხისმგებლობა ხშირად ბიუროკრატიული ხასიათის არის და ხშირად უპასუხისმგებლობას უახლოვდება. ამიტომ საჭიროა ცენტრალიზაცია ქმნილი პასუხისმგებლობა,—აპარატის სათავეში მდგარ პირთა პასუხისმგებლობა შეიცვალოს—პასუხისმგებელ ამხანაგთა პასუხისმგებლობით. საჭიროა გარკვევით განისაზღვროს, ვინ, რისთვის და როგორ აგებს პასუხს. საჭიროა მინიმუმამდე შემცირდეს ურიცხვი კომისიები და თათბირები, რომელთაც ამჟამად ხშირად ადგილი აქვს ჩვენს აპარატში. დაუსრულებელ მიწერ-მოწერის ნაცვლად საჭიროა შემოღებულ იქნეს ცოცხალი ურთიერთობა და პირადი საქმიანი კავშირი მუშაკებს შორის.

ეს სავალდებულოა ს. მ. უ. საბჭოს მხრივ ტრესტების მიმართ, და ტრესტების მხრივ ქარხნების მიმართ.

ამხ. ძერჟინსკის სიტყვამ გამოიწვია გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა; რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ს. მ. უ. საბჭოს ბევრმა პასუხისმგებელმა ამხანაგებმა, რომელთაც აღნიშნეს, რომ **ამხ. ძერჟინსკის მიერ წამოყენებული საკითხები აუცილებლად დროის შესაფერი და აქტუალური არიან.**

საბოლოო სიტყვაში ამხ. ძერჟინსკიმ აღნიშნა ასეთი საუბრების დიდი მნიშვნელობა და გამოსთქვა რწმენა, რომ გაერთიანებული ნებისყოფით და შეთანხმებული მუშაობით მოსახერხებელი გახდება აპარატის განმტკიცება და მოქნილობის და გარკვეულობის შეტანა.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

გადასახადის აკრეფა

ერევანი, 10 ივლისი. ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცნობით პირველ ივლისამდე მთელ სომხეთში შეიკრიფა 826.724 მანეთი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, ანუ 88,6%-ი.

კოკისპირული წვიმა

ერევანი, 10 ივლისი. დელიჟანის, კარაკლისის და ლორე-ბამბაკის მაზრებიდან იტყობინებიან, რომ იქ გადაიარა კოკისპირულმა წვიმამ, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა ნათესებს და ბოსტნებს.

პარკის მოსავალი

ერევანი, 10 ივლისი. აბრეშუმის პარკის კარგი მოსავლის გამო „არგიუხკოოპი" საჩქაროდ შეუდგა ზანგეზურის, იჯევანის და მეგრინის მაზრებში არსებულ აბრეშუმის დამრთველ ქარხნების გაფართოებას.

მიწისძვრა

ერევანი, 9 ივლისი. გუშინ საღამოს, 5 საათზე და 20 წუთზე ერევანში საკმაოდ ძლიერი მიწისძვრა მოხდა, რომელიც 15 წამს გაგრძელდა.

მემარჯვენე საშიშროება ჩვენს პარტიაში

(„პრავდა"-ს სარედაქციო წერილი)

ამ ცოტა ხნის წინად „პრავდა"-ში მოთავსებული იყო ცნობა მცირერიცხოვან ჯგუფის ეგრეთ წოდებულ „ბაქოს ოპოზიციის" მოღვაწეების შესახებ. ამ ჯგუფს იდეურად ხელმძღვანელობდენ ყოფილ „მუშათა ოპოზიციის" საკმაოდ ცნობილი „ბელადები" მედვედიევი და შლიაპნიკოვი: ამხ. მედვედიევი განასაზღვრავდა ბაქოს ჯგუფის პოლიტიკურ სახეს, აძლევდა მას დირექტივებს, იდეურად ასულდგმულებდა მის მუშაობას, რომელიც მთლიანად მიმართული იყო ჩვენი პარტიის და მისი ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ.

ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ განიხილა რა საკითხი ბაქოს ჯგუფის, მოქმედების შესახებ, დაადგინა შეემსუბუქოს სასტიკი განაჩენი, რომელიც ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებმა გამოუტანეს ჯგუფის წევრებს—უბრალო მუშებს იმ იმედით, რომ ეს ამხანაგები მომავალში აღიარებენ თავის ნებით თუ უნებლიე პოლიტიკურ შეცდომებს და გამოასწორებენ მათ.

ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მიერ ამ საქმის გარჩევის დროს დიდ როლს თამაშობდა ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტი. ეს დოკუმენტია მედვედიევის ვრცელი წერილი ბაქოს ჯგუფის წევრების მიმართ. წერილი გაგზავნილია 1924 წლის თარიღით. ის უშუალოდ ეხება იმ საკითხებს და დავას, რომელიც წამოიჭრა ჩვენს პარტიაში სექტემბრის და სექტემბრის შემდგომი დისკუსიის განმავლობაში. მაგრამ, ეხლანდელ დროისთვის ეს წერილი არამც თუ არ არის მოძველებული, არამედ პირიქით, ღებულობს პოლიტიკურ სიახლეს. მედვედიევის წერილი „ბროშურა" სავსებით ურცხვად ფენს ნათელს საკითხს. ზოგიერთ ოპოზიციურ ჯგუფების გადაშენების შესახებ, საკითხს მათ მენშევიზმში „შეზრდის" შესახებ. მედვედიევის წერილის შინაარსი არის გააფთრებული კრიტიკა იმ პრინციპიალურ პოლიტიკურ კურსის, რომელსაც ატარებს ჩვენი პარტია. მედვედიევი ჩვენი პოლიტიკის ამა თუ იმ ცალკე მხარეს, ამა თუ იმ კერძო მომენტებს კი არ აყენებს ეჭვის ქვეშ, არამედ თავს ესხმის პარტიის პოლიტიკას მთლიანად, ძირს უთხრის მის საფუძვლებს და პირდაპირ იმიჯნება მათგან. მედვედიევი თვითონ აცხადებს, რომ ის ილაშქრებს პარტიის არსებული პოლიტიკის, საშინაო პოლიტიკის, პარტიულ, სამეურნეო, კომინტერნის და სხვა ყოველგვარ პოლიტიკის საფუძვლების წინააღმდეგ.

ჩვენ დავინახავთ შემდეგში, თუ რა მიაჩნია მედვედიევს ჩვენი პოლიტიკის „საფუძვლების" ავთვისებიან „წყლულებად" და „სნეულებად". ჯერ ვიკითხოთ, რაში ხედავს მედვედიევი ხსნას და რაში მდგომარეობს მისი საკუთარი კონტრპლატფორმის შინაარსი.

მოკლეთ მედვედიევის „პროგრამა" ასეთია: დამოუკიდებელ კომუნისტურ მოძრაობის ლიკვიდაცია დასავლეთში, ლიკვიდაცია პროფინტერნის, ლიკვიდაცია საბჭოთა სახელმწიფო მრეწველობის დამოუკიდებლობისა უკანასკნელის საკონცესიო კაპიტალის განდევნის გზით.

როგორ ეს, იკითხავს, ალბად, განცვიფრებული მკითხველი. ეს ხომ აბსოლიუტურად გაუგებარია, ამ წინადადების ირგვლივ ას ვერსზე ნამდვილი 100%-იანი მენშევიზმის სუნი უდის. მედვედიევი ხომ „მუშური ოპოზიციის" წარმომადგენელია. მედვედიევი ხომ „მარცხნიდან" შეიძლება მხოლოდ უკიდურეს „მემარცხენეობას" იჩენდეს. მედვედიევი ხომ შლიაპნიკოვის უახლოესი თანამებრძოლია და მარჯვენა ხელია, ხოლო შლიაპნიკოვს ხომ „კლასიური შეგნებული" ზე-რადიკალიზმის „შარავანდედი" მოსავს. მედვედიევი ხომ თვითონვე ხაზგასმით აღნიშნავს თავის წერილში, რომ მხოლოდ ის არღვევს „ჩვენს საერთო" (შლიაპნიკოვთან) დებულებას. ხომ „საერთოდ აღიარებულია" შლიაპნიკოვის და მედვედიევის ჯგუფი უკიდურეს მემარცხენე ჯგუფად ჩვენს პარტიაში, ჯგუფად, რომელიც ცდილობს ბოლშევიზმზე „უფრო მარცხნით" დგომას. ნამდვილად კი ბავშვიც კი გაიგებს, რომ მედვედიევის პლატფორმა, რომელიც მოყვანილია „ბაქოელ ამხანაგებისადმი" გაგზავნილ წერილში, იოტის ოდენა „მემარცხენეობას" არ შეიცავს, რომ პირიქით, ცინიკურ-გაშიშვლებულ ფორმით მასში წამოყენებულია წმინდა წყლის მენშევიკური, უაღრესად მემარჯვენე მოთხოვნილებანი.

როგორ უნდა მომხდარიყო, რომ „მემარცხენე" ფრაზის გმირებმა ერთბაშად დაიწყეს გამეორება (დამახინჯებულია) „სოციალისტური ვესტნიკ"-ის, თვალს უჭყეტენ სოციალ-გამყიდველებს და გულდაწყვეტით ფიქრობენ კონცესიონურ ვარიაგებზე. მემარცხენე მედვედიევი ჯადოსნური „აზრთა მსვლელობით" მოვიდა „მემარჯვენე" მენშევიზმამდე. როგორ მოხდა, რომ ჩვენი პარტიის რიგებში წვრილ-ბურჟუაზიული მემარჯვენე საფრთხე წარმოშვა შლიაპნიკოვის და მედვედიევის „მუშურ-ოპოზიციონურმა" იდეოლოგიამ. რომ ავხსნათ ეს მოვლენა და დავინახოთ, რომ ეს შემთხვევითი კი არ არის, არამედ სავსებით ისტორიულად დასაბუთებულია, პირველ ყოვლისა უნდა მივმართოთ უშუალოდ ახალ „სიმბოლოს სარწმუნოებისას", საჭიროა მედვედიევის წერილიდან დაწვრილებით მოვიყვანოთ ადგილები.

პირველი. მედვედიევის „სამეურნეო კურსი".

რატომ არ იღებს მედვედიევი იმ სამეურნეო კურსს, რომელსაც ჩვენი პარტია ატარებს. იგი მას არ იღებს მიტომ, რომ მასში (კურსი), მისი აზრით, მსხვილი სახელმწიფო მრეწველობის ყველა დარგებს არსებითად ეძლევა წვრილი გლეხური მეურნეობის დამატების როლი.

„როდესაც ეცა სახელმწიფო მრეწველობის შესახებ აცხადებს, რომ გლეხური ბაზარი—ეს არის საზღვარი, რომლის იქით ვერ წავა მრეწველობა; როცა იგი სწორედ ამ თვალსაზრისით სწყვეტს მრეწველობის ყველა საკითხებს, ჩვენ სრულიად ბუნებრივად ვხედავთ ასეთ პოლიტიკაში საფრთხეს, რომელიც მოელის მსხვილ სახელმწიფო მრეწველობას და თვით მუშათა კლასის არსებობას".

— აი პარტიის ეკონომიური პოლიტიკის მთავარი ხასიათი ჩვენი ბატონების უახლოეს პერიოდისათვის. ჩვენი აზრით, ეს პოლიტიკა შეიცავს უდიდეს საფრთხეს, მუშათა კლასის და მსხვილი სახელმწიფო მრეწველობის მომავალ განვითარებისათვის.

ჩვენი პარტიის სამეურნეო პოლიტიკა შეიცავს უდიდეს საფრთხეს მუშათა კლასის ინტერესებისათვის. უფრო მეტი—იგი საშიშროების ქვეშ აყენებს თვით მუშათა კლასის არსებობას. ამ პოლიტიკის შედეგი ის არის, რომ იგი ცდილობს შეუთანხმოს სახელმწიფო მსხვილ მრეწველობის ინტერესები წვრილი გლეხური მეურნეობის ინტერესებს, ანუ მედვედიევის უფრო ეფექტიანი გამოთქმით,—მსხვილი მრეწველობა ხდება წვრილი გლეხური მეურნეობის დამატება. რატომ არის მედვედიევი შლიაპნიკოვის პლატფორმის სტატუტიდან გამორიცხული ლენინის ზრუნვა ქალაქის და სოფლის სამეურნეო შეკავშირების შესახებ. რატომ არის მედვედიევის მიერ აღკრძალული მსხვილი სახელმწიფო მრეწველობის შეგუება სოფლის მეურნეობის საჭიროებასთან.

მედვედიევის პასუხი ნათელი და მარტივია. მსხვილი მრეწველობის განვითარების, გლეხურ მეურნეობის განვითარებასთან, შეთანხმება, მედვედიევის აზრით, უაზრობაა,—იმიტომ, რომ წვრილ-გლეხურ მეურნეობას არა აქვს განვითარების არავითარი პერსპექტივები. წვრილ გლეხური წარმოება აუცილებლად უნდა დაიშალოს და დაიღუპოს.

— ჩვენ ვფიქრობთ,—გამოცხადებულია ოპოზიციონურ პლატფორმაში,—ახალი ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში გლეხური წვრილი და უწვრილესი მეურნეობა საერთაშორისო ბაზართან დაკავშირებით, დასაღუპად არის განწირული.

„ყოველგვარი ცდები მის გადასარჩენად, მის დასახმარებლად, შესაკავებლად და წარმოიდგინეთ განსავითარებლად, — არის რეაქციონური, „უტოპიური ცდები".

„განადგურების გზაზე დამდგარ გლეხთა მასსების ასეთ მდგომარეობიდან გამოყვანა შეუძლია მხოლოდ განვითარების და ზრდის პროცესში მყოფ სახელმწიფო მრეწველობას, სადაც ამ მასსებს საშუალება მიეცემათ გამოიყენონ თავისი მუშა ხელი და ძალღონე".

„სოფლის მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი კი, შემოხსენებული მასსის გამოკლებით, არის სოფლის გლეხურ - კულაკური ბურჟუაზია, რომელიც ძველი ფორმაციის ბურჟუაზიაზე არა ნაკლებ არის ჩვენდამი მტრულად განწყობილი".

ასეთია მედვედიევის უიმედოთ სასტიკი განაჩენი სოფლის მოსახლეობაზე. სოფლის მოსახლეობის მთელი ეს მასა კულაკურ-ბურჟუაზიულ ზედა ფენების გამოკლებით აუცილებლად უნდა დაიშალოს, უნდა ამოვარდეს თავის სამეურნეო კალაპოტიდან და გადიქცეს განუსაზღვრელ სამრეწველო „სამარქაფო არმიად". მხოლოდ მსხვილი სახელმწიფო მრეწველობის ასპარეზზე და იქ გამოიყენოს თავისი მუშა-ხელი და ძალღონე. რაკი ეს ასეა, რასაკვირველია, სისულელეა ზრუნვა საყოველთაოდ განწირულ საშუალო შეძლების გლეხობასთან კავშირის დამყარებაზე, სისულელეა მათთან სამეურნეო კონტაქტის დაჭერა სისულელეა ზრუნვა გლეხური მეურნეობის განსავითარებლად, სისულელეა მისი სოციალისტურ კალაპოტში შეყვანა კოოპერაციის საშუალებით, სისულელეა ფასების და კრედიტების სათანადო ეკონომიური პოლიტიკის წარმოება. ყველაფერი ეს მედვედიევის აზრით, რეაქციონურ-უტოპიური ფუჭრობაა, რომელიც „ემუქრება თვით მუშათა კლასის არსებობას".

აუცილებელი გადატეხის პროცესში მყოფ მილიონიან მასსების გლეხურ მეურნეობის ასეთ მდგომარეობიდან გამოყვანა, მედვედიევის აზრით. შესაძლებელია მხოლოდ ერთი გზით:

„მსხვილი სახელმწიფო მრეწველობის მაქსიმალურად სწრაფი განვითარებით, სახელმწიფო მრეწველობის გაფართოება უნდა წავიდეს ისეთი ტემპით, რომ შესაძლებელი გახდეს სოფლელი მოსახლეობის იმ ნაწილის მასში დახაქმება, რომელიც ასე საბედისწეროდ ნადგურდება".

მაგრამ სად გამოინახოს ის აუარებელი თანხები, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ქალაქის მრეწველობის ასეთი საზღაპროდ სწრაფი ტემპით განვითარება.

აქ ჩვენ მივადექით მედვედიევის პლატფორმის ძირითად დედა-აზრს სიტყვა დაუთმოთ ისევ თვით მედვედიევს. პირველ ყოვლისა, მედვედიევი განმარტავს იმას, თუ საიდან არ შეიძლება ამოღებულ იქნას ეს აუარებელი საშუალებანი მრეწველობის განსავითარებლად.

„ფიქრი იმაზე, რომ ჩვენ შევსძლებთ გადასახადის გზით კაპიტალის საკმაო რაოდენობის შეგროვებას ჩამქრალი მრეწველობის გასაფართოებლად, უნაყოფო ილიუზიით თავის მოტყუებას ნიშნავს".

„ფიქრი იმაზე, რომ ჩვენ შევსძლებთ ამ კაპიტალის მასის „შაურებით" დაგროვებას, მხოლოდ უფრო ხანგრძლივად, ეს ნიშნავს წინანდელი ილიუზიისადმი წვრილ-ბურჟუაზიული ეპიგონების ილიუზიის დამატებას".

შეუძლებელია აუცილებელი „კაპიტალის მასის" შეგროვება გადასახადის გზით და შეუძლებელია მისი „შაურებიდან" შექმნა. რა შეიძლება და რა უნდა გაკეთდეს? საერთაშორისო კაპიტალისადმი თაყვანის ცემას უნდა შევუდგეთ,—გვიპასუხებს მედვედიევი და შლიაპნიკოვი.

„ჩვენ მოვითხოვთ, ამბობს დოკუმენტი, რომ მთავრობამ ენერგიული ნაბიჯები გადადგას ამ საკითხის მოსაპოებლად საგარეო და შინაური სახელმწიფო სესხის მიღებისა და კონცესიების დაშვების გზით, უფრო მეტი დანაკლისითა და მსხვერპლით, ვიდრე ის, რაც ჩვენი სახელმწიფო მზად იყო, რომ მიეცა ამ მიღებისათვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი ქვეყნის თანამედროვე სამეურნეო მდგომარეობის დროს, დიდი ნივთიერი მსხვერპლის გაღება საერთაშორისო კაპიტალის სასარგებლოდ, რომელიც მზადაა ჩვენი დანგრეული (?) სამრეწველო რაიონების განსაცხოველებლად, უფრო ნაკლები ბოროტებაა, ვიდრე ის მდგომარეობა, რომელშიაც ჩვენ შეიძლება ჩავარდეთ მახლობელ წლებში ჩვენი სამრეწველო და სასოფლო მეურნეობის დარგში და რომელიც ჩვენთვის შეიძლება დამღუპველი გახდეს".

ან „დაღუპვა" ან შეუზღუდავი საკონცესიო პოლიტიკა, ასეთია არასახარბიელო დილემა, რომლის წინაშე აყენებს შლიაპნიკოვისა და მედვედიევის ჯგუფი საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა ცხადია, რომ უნდა ამოირჩიოს „უფრო ნაკლები ბოროტება", შლიაპნიკოვის და მედვედიევის მოწოდებით მან უნდა დაიჩოქოს ბატონ ურკარტების წინაშე და დაემონოს საერთაშორისო კაპიტალს.

მედვედიევის საერთაშორისო პოლიტიკური კურსი

„ჩვენი პარტიის საერთაშორისო პოლიტიკა, აცხადებს მედვედიევი, წარმოადგენს ჩვენი საშინაო პოლიტიკის გაგრძელებას საერთაშორისო ასპარეზზე".

რამდენადაც ჩვენ დავინახეთ, რომ პარტიის პოლიტიკა ქვეყნის შიგნით არის „დამღუპველი", რომ იგი „ემუქრება თვით მუშათა კლასის არსებობას", „რომ ამიტომ მას ესაჭიროება რადიკალურად გადასინჯვა—იმდენად სრულიად ბუნებრივია უნდა მოველოდეთ მედვედიევისაგან ჩვენი პარტიის პოლიტიკის ძირითად რევიზიას კომინტერნის შიგნით, სწორედ ისევე, როგორც თვით კომინტერნის ხაზის რევიზიას.

დოკუმენტი ოდნავადაც არ ბადებს ამ მხრივ რაიმე ეჭვს. მედვედიევი აშკარად აცხადებს, რომ ის პრინციპიალურად წინააღმდეგია კომინტერნის პოლიტიკის.

„ის ნიადაგი, რომლითაც კომინტერნი კვებავს ევროპის მუშათა მასსებს, აშკარად უიმედოა. იგი არა თუ არ გვაახლოვებს ჩვენ საერთაშორისო პროლეტარიატის მასსებთან, არამედ პირიქით გვთიშავს მათგან".

„მთელ ევროპის ყველ იმ ქვეყნებში, რომლებსაც აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა საერთაშორისო რევოლიუციისათვის, ამ ტაქტიკამ (კომინტერნის ტაქტიკამ) მიგვიყვანა იქამდე, რომ პროლეტარიატის დარაზმულ ძალების საერთო მასიდან გამოგლეჯილი იქნა კომუნისტური ნაწილის ძალები, რითაც დეზორგანიზაცია შევიტანეთ მუშათა კლასის საერთო მოძრაობაში და მის ამ კომუნისტურ ნაწილში. ამით იგი გამოეთიშა დარაზმულ პროლეტარიატის საერთო მასას და მას საშუალება მოესპო მუდმივი ზეგავლენა ექონიოს ამ მასებზე მათი რიგების შიგნით. ჩვენ უბოროტესი მოწინააღმდეგენი ვართ ასეთი პოლიტიკის".

კომინტერნის პოლიტიკის და ტაქტიკის „უბოროტესი მოწინააღმდეგე" მედვედიევი ასევე „უბოროტესი მოწინააღმდეგეა" ცალკე კომუნისტურ პარტიების. უკანასკნელთა არსებობას მედვედიევი ხსნის „დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყნებში ჩვენი ბატონობის მეთოდების მექანიკურად გატარების ცდის" შედეგად. ამავე დროს „ეს ცდა იწვევს ამ ქვეყნის მუშათა მოძრაობის დეზორგანიზაციას, მატერიალურად უძლურ „კომუნისტურ" სექციების შექმნას რუსეთის მუშათა მასსების იმ საშუალებით (ДОСТОЯНИЕ), რომლებსაც ისინი ვერ იყენებენ თანამედროვე პირობებში".

„სინამდვილეში იქმნებიან წვრილ-ბურჟუაზიულ შინა-ყმათა ხროვები, რომლებსაც რუსეთის ოქროს გულისათვის თავი მოაქვთ პროლეტარიატათ და წარმომადგენლობენ კომინტერნში, როგორც უფრო „რევოლიუციონური მუშები".

კომინტერნის წინააღმდეგ გააფთრებული იერიშებს მედვედიევის მხრივ ემატება მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალის აშკარა დამცველობა. თუ კომინტერნი, მედვედიევის აზრით, გადაიქცა „წვრილ ბურჟუაზიის მონა-ყმეთა ხროვათ", საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია და რეფორმისტული პროფკავშირები მედვედიევის თვალში ხდებიან ნამდვილ „მუშათა მასსების ორგანიზაციებათ".

„ჩვენ მიერ დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიულ პარტიების შეფასება ძალიან განსხვავდება იმ შეფასებისაგან, რომელსაც მათ შესახებ იძლევიან ჩვენი ხელმძღვანელები".

მედვედიევის ჯგუფი პროტესტს უცხადებს დასავლეთ ევროპის პროლეტარიატს, პროლეტარულ კლასიურ გაერთიანებათა (სოციალ-დემოკრატიულ გაერთიანებათა. რედაქცია) სისტემატიურ დევნის და მათთვის სახელის გატეხის წინააღმდეგ.

უმთავრესად მედვედიევის ჯგუფი პროტესტს აცხადებს საერთოთ ყოველ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობისათვის—„მაგალითად ინგლისში მაკდონალდის მუშათა მთავრობისათვის სახელის გატეხის წინააღმდეგ".

ეს უკანასკნელი ყოველთვის და ყველგან გამოჰყავთ, როგორც ბურჟუაზიის მთავრობა. „ჩვენ ოდნავაც არ შეგვიძლია დავეთანხმოთ ასეთ პოლიტიკას და ტაქტიკას. იგი დამღუპველია ნამდვილი სოციალისტური რევოლიუციის საქმისათვის".

რომ წინასწარ თავიდან აცილებულ იქნეს ნამდვილი სოციალისტური რევოლიუციის „საქმის დაღუპველი დაბოლოვება" მედვედიევის და შლიაპნიკოვის მიერ პროლეტარიატის წითელი ინტერნაციონალი გაუქმებულია.

მედვედიევის „საერთაშორისო პოლიტიკის" მთავარი ლოზუნგია უკან—სოციალ-დემოკრატიის რიგებისაკენ.

„ჩვენი აზრით, ჩვენი ისეთი გაერთიანებანი, როგორიც პროფინტერნი, საქმის ფაქტიურ მდგომარეობასთან შეფარდებით, ნებისით თუ უნებლიეთ წარმოადგენენ, როგორც რუსეთის მუშათა მასსების, ისე დასავლეთ-ევროპის კომუნისტური მასსების გამოთიშვის იარაღს მთელი იმ პროლეტარიატის მასსებისაგან, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ.

„ჩვენ ვიცავთ იმას, რომ მუშათა კომუნისტური მასსები დარჩნენ მუშათა იმ მასსების შემადგენელ ნაწილად, რომელნიც გაერთიანებულნი არიან პროფკავშირებში, კოოპერაციაში და სოციალისტურ პარტიებში; რომ ამ მასსებისათვის ასეთივე რიგის განცალკევებული ორგანიზაციების მოწყობა გადაჭრით უარყოფილი იქნეს, როგორც ავანტიურა, რომელიც არღვევს დასავლეთის მუშათა მოძრაობას.

ასეთია ყოფილი „მუშური ოპოზიციის" მართლაც გადაშენების გზაზე დამდგარ წარმომადგენლების ჭეშმარიტად შესანიშნავი „პლატფორმა". მაშ ასე, მუშური ოპოზიცია მოითხოვს: კომპარტიის, როგორც „წვრილ-ბურჟუაზიულ შინა-ყმათა ხროვის", ლიკვიდაციას, უკანვე დაბრუნებას სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში, პროფინტერნის გაუქმებას და ამსტერდამში შესვლას. ასეთია მედვედიევის და შლიაპნიკოვის ჯგუფის „სიმბოლო სარწმუნოებისა".

„მუშური ოპოზიციის" რევოლიუცია. მენშევიზმში შეზრდა

მოყვანილ ციტატებში ჩვენ უმთავრესად ამოვსწერეთ შინაარსი მედვედიევის წერილისა „ბაქოს ოპოზიციის" წევრებისადმი. ეხლა მკითხველისათვის ნათელი უნდა იქნეს, თუ რატომ არ შეუძლია ჩვენს პარტიას გვერდი აუხვიოს პლატფორმის ამ დოკუმენტს. მედვედიევის დოკუმენტს ღრმა პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. არა მარტო იმიტომ, რომ მან უაღრესად მკაფიოდ გადაგვიშალა „მუშური ოპოზიციის" წევრთა ჯგუფის პოლიტიკურ დაბნეულობის თავისებური გზები.

შლიაპნიკოვის და მედვედიევის მთელი ჯგუფის ხვედრი წონა ჩვენს პარტიაში მეტად უმნიშვნელოა და მთელს პარტიას კარგად ახსოვს ის ბრძოლა, რომელსაც აწარმოებდა ამ ჯგუფის წინააღმდეგ ლენინი. მედვედიევის წერილის მნიშვნელობა მეტად საგულისხმოა იმ მხრივ, რომ ის არაჩვეულებრივი ძალით და გარკვევით ცხადყოფს საერთოდ ანტიბოლშევიკური გადახრის განვითარების კანონზომიერებას.

მედვედიევის წერილი ბოლშევიკური ხაზიდან აცდენის სრულყოფილი ნიმუშია მასში მუშური ოპოზიციის „იდეათა დუღილი" იმ ზომამდე მივიდა, როცა იდეებმა გამოჰყვეს თითქმის ქიმიურად — წმინდა მენშევიზმი". მედვედიევის წერილი ცხადჰყოფს, თუ როგორ ლოზუნგებით და რა გზით მოელით და აუცილებლად შეუძლიათ გარდაქმნა მენშევიზმად. ამასთანავე ეს წერილი აცნობებს პარტიას იმ საფრთხეს და ამა თუ იმ პოლიტიკურ გადახვევას „მარცხნით". მედვედიევის და შლიაპნიკოვის ჯგუფთან დაკავშირების მხრივ, რაც შეიძლება მოხდეს საბედისწერო გადახრად მარჯვნით და იქცეს მენშევიზმად.

ამრიგად მედვედიევის წერილი წარმოადგენს საგულისხმო გაფრთხილებას მემარჯვენე საფრთხის შესახებ ჩვენი პარტიის რიგებში.

შლიაპნიკოვის და მედვედიევის პროგრამა— ეს არის პროგრამა ბოლშევიზმის გაძლიერებული ლიკვიდაციისა მენშევიზმის შემწეობით. ის, რასაც მიზნად ისახავს მედვედიევის წერილი, ეს არის ბოლშევიზმის ყოველმხრივ მენშევიზმით შეცვლა. რომ ამაში დავრწმუნდეთ, საჭიროა მხოლოდ გულდასმით ჩაუკვირდეთ ამ დოკუმენტს და პლატფორმას მისი შინაარსის მხრივ.

შლიაპნიკოვის და მედვედიევის პლატფორმის განხორციელება გულისხმობს უპირველეს ყოვლისა: სოციალისტური აღმშენებლობის ლიკვიდაციის ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენი პარტია დარწმუნებულია, რომ მუშათა კლასის აქტიური მონაწილეობით მას შეუძლია სოციალიზმის შენება ჩვენს ქვეყანაში. ჩვენი პარტია დარწმუნებულია, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმი გაიმარჯვებს. სოციალისტური მშენებლობის გადამწყვეტ კერად პარტია სთვლის ჩვენში მსხვილი და ტეხნიკურად უაღრესად დაწინაურებული მრეწველობის განვითარებას.

მაგრამ მსხვილი მრეწველობის ყოველგვარი განვითარება როდი ნიშნავს სოციალისტური აღმშენებლობის გამარჯვებას. მრეწველობის განვითარება ჩვენში სოციალიზმისაკენ ძლევამოსილ მსვლელობათ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს განვითარება იქნება სავსებით გარკვეულ სოციალურ ელფერის მრეწველობის განვითარება, თუ აღორძინდება სახელდობრ სოციალისტური მრეწველობა, თუ გაიზრდება და განმტკიცდება თანამიმდევრობით სოციალისტური ტიპის წარმოებები, თუ ჩვენს სახალხო მეურნეობაში უზრუნველყოფილ იქნება სოციალისტურ ელემენტების ზრდა. ხოლო, თუ ჩვენ ვერ მივაღწევთ სოციალისტურ წარმოებების განმტკიცება - განვითარებას, სოციალიზმის საქმე ჩვენს ქვეყანაში უიმედოთ წაგებული დარჩება.

ის, რასაც ეყრდნობა მედვედიევი არის არა მსხვილ სოციალისტურ მრეწველობის განვითარება, არამედ მსხვილ საკონცესიო მრეწველობის განვითარება და მეურნეობის აღორძინება სახელმწიფო კაპიტალისტურ საფუძველზე. მედვედიევის „მსხვილ მრეწველობას" ქმნიან არა სოციალისტური წარმოებები, არამედ საკონცესიო წარმოებები.

„კაპიტალების მთავარ მასსს, რომელიც საჭიროა „ჩამქრალი მრეწველობის" გამოსაცოცხლებლათ, „დანგრეულ სამრეწველო რაიონების" აღსადგენათ, მედვედიევი საერთაშორისო ბურჟუაზიისაგან ღებულობს. მაგრამ მისტერ ურკარტი ჩვენი მშვენიერი თვალებისთვის ხომ არ წამოვა თითო ცხენით ჩვენი „ჩამქრალი მრეწველობის" გადასარჩენათ. ჩვენს მრეწველობაში ჩადებულ მნიშვნელოვან თანხების სამაგიეროთ ურკარტი მოითხოვს მუშების მიერ შექმნილ ზედმეტი ღირებულების მნიშვნელოვან ნაწილს. მაგრამ ეს ნიშნავს კონცესიონერების და საზღვარ გარეთულ ბანკირების სამეურნეო გავლენის ზრდას ჩვენს ქვეყანაში. ეს იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო კაპიტალი გახდება ჩვენი სახალხო მეურნეობის მბრძანებელი. ჩვენი მრეწველობა გახდება საერთაშორისო ფინანსიურ კაპიტალის ფილიალურ განყოფილებათ და ჩვენი მრავალმილიონიანი პროლეტარიატი უცხოეთის კაპიტალის ექსპლოატაციის საგანი შეიქნება. რასაკვირველია ჩვენ მხარს უჭერთ საკონცესიო ხელშეკრულებებს. შლიაპნიკოვის და მედვედიევის შეცდომა, რომელიც პარტიის წინაშე ბოროტმოქმედებას, უდრის, იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ისინი მხარს უჭერენ კონცესიებს.

შლიაპნიკოვისა და მედვედიევის „სამეურნეო კურსი" ჩვენი ქვეყნის ნამდვილი დაუესიზაციის კურსია, დაუესიზაციის, რომელიც პროლოგი იქნება კაპიტალიზმისაკენ დაბრუნებისა და პროლეტარიატის დიქტატურის დანგრევისა.

ის ხვედრი, რომელიც საბჭოთა პროლეტარიატს ხვდა წილად—პირველი სოციალისტური აღმშენებლობა, შლიაპნიკოვი და მედვედიევს სურთ გაცვალონ საკონცესიო „ნახუფრალზე". სოციალიზმის აღმშენებლობის პროცესისადმი მათი დამოკიდებულება მენშევიკურია.

ძალების განვითარებისათვის \ პროლეტარული ხელმძღვანელობის საქმე მათთვის არ არსებობს. [illegible], ჩვენმა მუშებმა ზურგი მოიხარონ საზღვარ გარეთის პლუტოკრატიის წინაშე, მხოლოდ განვითარდეს ურკარტების მიერ გადმონერგილი მსხვილი მრეწველობა. შლიაპნიკოვისა და მედვედიევის მენშევიზმს აქ ემატება მისი თავისებურება, ფსიქოლოგია, აშკრული „ეკონომიზმის", რომლის დრო-მოჭმული შეხედულებას სურთ კვლავ აღადგინონ ჩვენს მუშათა კლასში, სოციალიზმის აქტიურ აღმშენებლობაში.

ის პერიოდი, რომელმაც გაიარა მას შემდეგ, რაც დაწერილი იქმნა მედვედიევის დოკუმენტები, შლიაპნიკოვ-მედვედიევის პოლიტიკურ „იდეების" შემოწმების პერიოდად გადიქცა, რომელმაც მათი სრული სიკოტრე გამოაშკარავა. „ჩამქრალმა მრეწველობამ" გიგანტური ნაბიჯი გადადგა წინ. „დანგრეული" სამრეწველო რაიონების წინანდელი თავის უმთავრეს ნაწილში მოგვარებულია. პროლეტარიატს კაპიტულაცია არ მოუხდენია, როგორც ეს ჰქონდათ განზრახული უახლესი ფორმაციის ლიკვიდატორებს. პარტიის პოლიტიკამ მედვედიევის „დაღუპვამდე" კი არ მიიყვანა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი, არამედ მეტად საგრძნობლად განმტკიცდა მისი ძლიერება და ხვედრითი წონა ჩვენს ქვეყანაში. უდიდესი შრომის ფასით, თანდათანობითი წინსვლით, შეცდომების ჩაიონით და მათი გასწორებით, „შაურის" „შაურზე" დადებით, მუშათა კლასმა საბჭოთა კავშირის მრეწველობა ომამდე არსებულ დონემდე აიყვანა.

ეხლა მუშათა კლასს წინ მიჰყავს ჩვენი ქვეყანა ინდუსტრიალიზაციის გზაზე. ბანკროტები ეხლა იქნებიან ისინი, ვინც ეჭვს შეიტანს სოციალისტურ აღმშენებლობის ძალებში, შეეცდება პარტია მედვედიევის გზით წაიყვანოს და კვლავ დაიწყებს ჩვენი ქვეყნის „დაღუპვის" შესახებ ჩხავილს. „სოციალისტურ აღმშენებლობის ძალებისადმი რწმენის დაკარგვა", რომლის შესახებაც იყო ლაპარაკი მე-14 პარტიულ ყრილობის რეზოლიუციებში, თავის ნათელ გამოხატულებას ნახულობს მედვედიევის დოკუმენტში. ამიტომ ეს „იდეოლოგია" მეტად საცოდავად და სამარცხვინოდ დამარცხდა.

მეორე მუშათა და გლეხთა კავშირის ლიკვიდაცია წარმოადგენს შლიაპნიკოვის და მედვედიევის პოლიტიკური პლატფორმის ერთ-ერთს მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. გლეხობის და პროლეტარიატის კავშირის შესახებ შლიაპნიკოვის და მედვედიევის მიერ ლენინის მოძღვრების საფუძვლების არგაგება, უფრო სწორად, გულახდილი არცნობა უშუალოდ უკავშირდება მათს ლიკვიდატორულ დამოკიდებულებას სოციალიზმის მშენებლობისადმი, მათ ანგარიშს,—გადაარჩინონ ქვეყანა საკონცესიო კაპიტალის საშუალებით; ზედმეტი არ არის ამ გარემოებას კიდევ ერთხელ ჩაუფიქრდენ ყველა ისინი, ვინც მეტის მეტად თავისუფლად ეკიდება ლენინიზმს გლეხობის საკითხში; ვისაც მიდრეკილება აქვს შესწორებები შეიტანოს ლენინის ძირითად დებულებებში, ვისაც გაცვეთილად და მოსაწყენად მიაჩნია ლაპარაკი მუშა-გლეხთა კავშირის შეურყევლობის შესახებ; ვინც ფიქრობს რომ დიფერენციაციამ უკანა რიგში დააყენა საკითხი საშუალო გლეხობაზე.

მართლაც გლეხობის შესახებ ლენინის შეხედულების არ ცნობიდან—ურკარტების მუხლების თავს შეუკავებელ ლოკვამდე მხოლოდ ერთი ლა ნაბიჯია.

საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის დამყარების პერსპექტივის დაკარგვა აუცილებლად იწვევს გლეხურ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის პერსპექტივის დაკარგვას.

შლიაპნიკოვის და მედვედიევის პლატფორმა ამას მატემატიკური სიმართლით ამტკიცებს. მედვედიევი თავის წერილში მთელ გლეხობას დასცქერის ზევიდან, როგორც „დერევენშჩინას". მისთვის მთელი ეს „დერევენშჩინა" არის პროლეტარიატისათვის მტრული წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიონი და სხვა არაფერი. ასეთ პირობებში, თავის თავად ცხადია, შეუძლებელია არსებობდეს რაიმე „ბლოკი", რაიმე ეკონომიური და პოლიტიკური კავშირი გლეხობის ძირითად მასსებთან.

რაკი, ჩვენი მოსახლეობის უმცირესობა—პროლეტარიატი გარშემორტყმულია „დერევენშჩინის" მტრული ალყით, ხოლო გლეხურ მეურნეობას „აუცილებლად მოელის" გახრწნა და „გაკოტრება", რაკი შლიაპნიკოვი და მედვედიევი „რეაქციონურ უტოპიზმათ" აცხადებენ ყოველგვარ ცდებს მის „გაკოტრებისაგან" გადასარჩენად, რაკი შეუძლებელია საგლეხო მეურნეობის გადაყვანა სოციალისტურ ლიანდაგზე კოოპერაციის საშუალებით, რაკი მედვედიევის ლექსიკონიდან გამორიცხულია თვით სიტყვა „საშუალო გლეხი", რაკი მედვედიევის აზრით ქალაქის მრეწველობა შეიძლება განვითარდეს მხოლოდ კაპიტალისტურ ყაიდაზე, ე. ი. სასოფლო მეურნეობის „გაკოტრების" და დაღუპვის ხარჯზე, მაშინ როგორ შეუძლია 20 მილიონ გლეხის ოჯახით გარშემორტყმულ პროლეტარიატს ხელმძღვანელობა გაუწიოს ქვეყნის სახალხო მეურნეობას და აწარმოოს სოციალისტური აღმშენებლობა.

მტრის მიერ გარშემორტყმულ ქალაქში შეუძლებელია სოციალიზმის აშენება. სრული უაზრობა იქნებოდა „იდეა სოციალიზმის აშენებისა გლეხურ ქვეყანაში, გლეხობასთან ერთად". რაკი ეს ასეა, განა საჭირო არ არის თავიდან მოვიშოროთ ყოველგვარი „სოციალისტური პერსპექტივები" და თავი შევაფაროთ კაპიტალიზმს. მედვედიევი ასეც მოიქცა, რადგან სხვა მას აღარაფერი დარჩა. ის იძულებული შეიქნა დასდგომოდა ამ გზას, რადგან სხვანაირად მას არაფერი არ გამოუვიდოდა იმიტომ, რომ მის პლატფორმას აუცილებლად მიაჩნია საგლეხო მეურნეობის გახრწნა და გადაგვარება. მედვედიევის აზრით მთელი „დერევენშჩინა" გარდა კულაკებისა უნდა „გაკოტრდეს" და ამგვარათ უნდა შეიქმნეს უმუშევრების უთვალავი არმია ამ ათეულ მილიონ უმუშევრებს მედვედიევი პირდება სამუშაოზე სწრაფად მოწყობას. მაგრამ ამისათვის მას საჭიროდ მიაჩნია, რომ ჩვენს ქვეყანაში შეუზღუდავი გასაქანი მიეცეს საერთაშორისო კაპიტალიზმის „ძაღლებს". აქედან გამომდინარეობს მისი ლოზუნგი—ფართე გზა საკონცესიო კაპიტალს.

მედვედიევს ძვირად დაუჯდა უარყოფა ლენინის მოძღვრების პროლეტარიატის და გლეხობის კავშირის შესახებ. შლიაპნიკოვის და მედვედიევის პლატფორმაში ეს უარყოფა გამოიხატა, როგორც მენშევიკური კაპიტულაცია ბურჟუაზიის წინაშე.

პოლიტიკური გულუბრყვილობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ მედვედიევის სიმპატიები საერთაშორისო კაპიტალისადმი უბრალო შემთხვევითობაა, და, რომ ჩვენ საქმე გვაქვს „შემთხვევით და მოუფიქრებელ საკონცესიო აფრასთან", დანარჩენში ყოველ მხრივ „მემარცხენე" პლატფორმასთან. შლიაპნიკოვ-მედვედიევის ეკონომიურ პროგრამიდან, რომ მისი ცენტრალური დასაყრდენი ამოვიღოთ, საკონცესიო კაპიტალის იმედი, ჩვენი კავშირის პროლეტარიატსა და გლეხობას უფრო ნაკლებ სასიხარულო პერსპექტივების წინაშე დავაყენებთ: გლეხობის თვალში ეს იქნებოდა სრული განადგურების პერსპექტივა, პროლეტარიატისათვის კი გლეხური ვანდეის საშინელი პერსპექტივა.

მესამე პროლეტარულ ინტერნაციონალიზმის ლიკვიდაცია—ჩვენი დროის მემარჯვენე ლიკვიდატორების ბრძოლის ლოზუნგია კომინტერნისა და კომუნისტურ პარტიის მედვედიევისებური „კრიტიკას" განსაკუთრებული სიმწვავე ახასიათებს. მედვედიევის „საერთაშორისო პოლიტიკის" პროგრამა განსაკუთრებული, თავისებური მიმართულია კომუნისტური ინტერნაციონალის მიმართ, და არა ნაკლებ საზიზღარი აპოლოგიაა საერთაშორისო სოციალ-გამცემლებისა.

მედვედიევის „საერთაშორისო პოლიტიკის" პროგრამა მართლაც დამატებაა მისი „ეკონომიური" პროგრამისა. საერთაშორისო კაპიტალის „განზრახვისათვის" [illegible] საბჭოთა კავშირის და აღადგინოს მასში „დანგრეული" [illegible], მედვედიევი მზადაა არა ნაკლებ [illegible] კომინტერნის თავი [illegible] საერთაშორისო კაპიტალს. პროლეტარული ინტერნაციონალის ლიკვიდაცია, საერთაშორისო მუშათა რევოლიუციონურ ორგანიზაციების დარღვევა და დაშლა—ეს მართლაც მტკიცე გარანტიაა საერთაშორისო ბურჟუაზიის თვალში „წესიერი" უსაფრთხო საკონცესიო მუშაობისათვის. ლენინმა და მთელმა ჩვენმა პარტიამ კარგად იცოდნენ, რა შეიძლება და რა უნდა დავსთმოთ „საკონცესიო მეცენატებისათვის". შლიაპნიკოვი—მედვედიევი მივიდნენ მენშევიზმამდე და იმ აზრამდე მივიდნენ, რომ კონცესია მოითხოვს საერთაშორისო რევოლიუციის და პროლეტარულ ინტერნაციონალის ღალატით.

ყველაზე უფრო ამაშფოთებელი და საზიზღარი მედვედიევის წერილში არის ის, რომ თავის იგი „საერთაშორისო კომუნიზმისაგან", „საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესებით" ასაბუთებს.

(გაგრძელება იქნება)

მოსკოვი, 10 ივლისი.

გადმოცემულია ტელეგრაფით.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილების ორგანო.

ახალგზელი

კოწია სულაქველიძის რედაქტორობით

კვირა, 11 ივლისი 1926 წ.

გაზ. „კომუნისტი“-ს ორკვირეული დამატება

№ 16.

რა ბრალს გვდებენ

ათასში ერთხელ სხვა წერილებთან ერთად „ახალგზელის“ რედაქციას მოსდის ანონიმიური წერილებიც. რასაკვირველია, ასეთ წერილებს ჩვენ არავითარ ყურადღებას არ ვაქცევთ, მაგრამ დღეს ვარღვევთ ამ წესს, რადგან ვილაც ქიათურელ მოწამლულ მენშევიკისაგან მიღებულ წერილს ერთგვარი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს.

ქიათურელი ანონიმის მთავარი ბრალდება ის არის, რომ ჩვენ მოყიდულნი ვართ ბოლშევიკების მიერ ერთი მხრით, მეორე მხრით კი კაი საგრძნობ (ავტორი ლაპარაკობს „ბარაქიან“) ჯილდოს ვიღებთ დაშნაკელებისაგან. და არ იფიქროთ, თითქოს ის ამას იწერებოდეს მხოლოდ ასე ვსთქვათ ჩვენ საკბენად. არა, ის ამაში დარწმუნებულიც არის. ასეთი რწმენა, რასაკვირველია, როგორც სხვა ანონიმებიდან სჩანს მხოლოდ ქიათურელსავით გამოთაყვანებულებს აქვთ, ოღონდ იმის რწმენა, რომ ჩვენ ახალგზელები საერთოდ დიდ ჯილდოს ვიღებთ ჩვენი მუშაობისათვის და ფუფუნებაში ვცხოვრობთ—ეს ყველა მათთვის მტკიცე რწმენაა. მაგალითად, ვანო კაჩუხოვი საქართველოში ჩამოსვლის პირველ დღეებში დაერწმუნებიათ, რომ კ. სულაქველიძე იღებს ყოველთვიურად 500 მანეთს და სცხოვრობს ისეთ აპარტამენტში, (ბინაზე) რომელიც ძველ დროს დიდ ბურჟუას თუ ჰქონდა და მის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც დოკუმენტებით ხელში დარწმუნდა, რომ სულაქველიძის ყოველთვიური ჯილდო არ აღემატებოდა 150 მანეთს (120 მანეთი ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტიდან ჯამაგირი და 30 მანეთამდე ყოველთვიურად იმ წერილებისათვის, რომელსაც სხვადასხვა გაზეთებში იწერება) და მისი საცხოვრებელი ბინა შესდგება ორი ნახევრად ბნელ პატარა ოთახებიდან, სადაც მზის სხივი წელიწადში ერთხელაც არ შეაშუქებს. ამავე მდგომარეობაშია სხვებიც და ასეთ სისულელეებს განა მარტო სულაქველიძეზე ლაპარაკობენ? არც ისე ძნელია სინამდვილეში დარწმუნება. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ერთი დღით თვალყურის დევნება ყოველი ჩვენგანის ცხოვრებისათვის. ამას ვწერ მხოლოდ იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოეღოს იმ ლაპარაკს, თითქოს ბოლშევიკებს სჭიროდეს ვინმეს მოყიდვა თავიანთ მხარეზე გადასაყვანად. ერთად-ერთს რას შვრებიან ბოლშევიკები—ეს **ის განსაცვიფრებელი ამხანაგური და ძმური მოპყრობა, რომლითაც ისინი უმასპინძლდებიან მათთან მოსულ ყოფილ მენშევიკებს და ეს ამხანაგური მოპყრობა იმ ხალხისადმი, რომლებიც გუშინ იარაღით ხელში მათ ებრძოდა, ისეთი ხასიათისაა, რომ მართლა სულითა და გულით მოიყიდის ყოველ ადამიანს. მით უმეტეს, რომ ასეთ გრძნობებს ჩვენ ნაკლებად ვიყავით ჩვეულნი რამიშვილის პარტიაში.**

მეორე ბრალდება ქიათურელის შეეხება ჩვენ მოღალატეობას. ამას ჩვენ სავსებით ვიღებთ ჩვენ თავზე და ვადასტურებთ, რომ ჩვენ ვუღალატეთ იმ ხალხთ, რომლებიც **აშკარად და ნათლად დადგენ რეაქციის, ფაშიზმის გზაზე რევოლიუციასთან ბრძოლაში,** და სრული შეგნებით და მთელი ჩვენი არსებით შევისისხლხორცეთ უდიდესი რევოლიუციის იდეალები. და თუ ჩაუკვირდება ქიათურელი და მზგავსნი მისნი ამ ჩვენ „ღალატს“, ეს არც ისე მომაკვდინებელ ცოდვათ ჩაითვლება, რადგან თუ ის გუშინდელი გამოჩეკილი ბღარტი არ არის, მან უნდა იცოდეს, რომ უდიდესი ნაწილი დღევანდელი ახალგზელების საზოგადოებრივი მოღვაწეობისა მიმდინარეობდა რევოლიუციის დროშის ქვეშ და მხოლოდ რამიშვილებისა და მათი მიმდევრების წყალობით გადაუხვიეთ ძველ გზას. ასე რომ, ჩვენი „ღალატი“ მხოლოდ დაბრუნებაა იმ ძველ პოზიციაზე, საიდანაც ჩვენ სულ პირველად დავიწყეთ ჩვენი პოლიტიკური მუშაობა.

მესამე ბრალდება—ეს დაშნაკელების მიმხრობაა. ქიათურელო, ცოტა ფრთხილად დაშნაკელებზე, თორემ ყურს აგიწევენ თქვენი უფროსი მეგობრები. დაშნაკელებს და მუსავატისტებს ეარშიყებიან, დაშნაკელებთან ერთი გზის გამონახვას ცდილობენ (და გამონახეს) არა ბოლშევიკები და ჩვენ, ახალგზელები, არამედ რამიშვილისა და ჟორდანიას მთავრობა და მათი „პარტია“—სოციალ-დემოკრატიული პარტია. ჩვენ კი ყველა ესენი მიგვაჩნია **ერთ რეაქციონურ ბანაკად** და თანაბრად ვებრძვით მათ. და არ იფიქროთ რაიმე წინაალმდეგობა იყოს იმაში, რომ რამიშვილისტებს, დაშნაკელებს და მუსავატისტებს ერთი-ერთმანეთი სასტიკად სძულთ და ამავე დროს ერთათ მსვლელობას, ურთიერთ კავშირს, ეტანებიან. არა, აქ არავითარი წინაალმდეგობა არ არის. ისინი ოცნებობენ (ტკბილი ოცნება!) საერთო ძალით დასცენ მუშურ-გლეხური ხელისუფლება, რომ შემდეგ, მეორე დღეს დაიწყონ ერთი-ერთმანეთის ჭამა, თავიანთ ხალხების მიერ ერთი-ერთმანეთის ჟლეტა, როგორც ამას შვრებოდენ ნეტარხსენებულ „დამოუკიდებლობის“ დროს. მაგრამ ტყუილია მათი და თქვენი იმედიც. ამას თქვენ ვერასოდეს ვერ მოესწრებით.

მეოთხე ბრალდება—ეს ჩვენი იმდენად დაბრმავება, რომ ჩვენ ვერ ვამჩნევთ იმ მოვლენას, თითქოს აქ, საქართველოში განმტკიცებული იყოს სომხების დიქტატურა. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეს ბრალდება მხოლოდ ქიათურელს შეუძლია წამოაყენოს, იმ ქიათურელს, რომელიც საჩხერეს იქით არ გასულა და ყოველივეს უყურებს **საჩხერელი თავადების მიერ შემუშავებულ თვალსაზრისით.** ამას თქვენი ქურუმებიც აღარ ლაპარაკობენ. ისინი მხოლოდ იმას სჩივიან, რომ საქართველოსთვის ხელსაყრელი არ არის მუშურ-გლეხური დიქტატურა, მხოლოდ სომხების დიქტატურა ეს ახალი თქვენი საჩხერული გამოგონებაა. ერთად-ერთი საბუთი ამ აზრის დასამტკიცებლად არის ის, თითქოს ამერიკელები (კონცესიონერები) ითხოვენ ქართველ „კანტორჩიკებს“ და იღებენ სომხისასო. ჯერ ერთი ეს ჩვენ არ მიგვაჩნია მართლად, ჩვენ არ ვფიქრობთ, თითქოს ასეთ ტენდენციას ატარებდენ ამერიკელები. და თუნდაც ასე იყოს, მაშინ ამის გამოსწორებაც ძნელი არ არის. ამას შვრებიან ამერიკელები და არა ხელისუფლება და რამდენადაც ასეთ ტენდენციას ექნება ადგილი, იმდენად თვით ხელისუფლება—ჩვენც ამას მოვთხოვთ—ამას შეებრძოლება. ოღონდ ერთი მაინც უნდა მოგახსენოთ: ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, თითქოს ქიათურაში გარდა ქართველი მუშებისა და მოხელეებისა სხვა ეროვნების წარმომადგენელმა არ უნდა იმუშაოს. არა, იმუშავებენ, იქნებიან სომხები, თურქები, ოსები და სხვები, როგორც ეს ყოველთვის იყო ქიათურაში, და ჩვენი, სოციალისტების მოვალეობაა არა წუწუნი და ყბედობა, მოგვაცილეთ არა ქართველი ელემენტები თქვა, არამედ დაუღალავი და თავდადებული მუშაობა, რათა ეს მუშებიც გავათვითცნობიეროთ და შეგნებულად ამოვიყენოთ გვერდში ჩვენი საერთო ინტერესისათვის საბრძოლველათ. ეს ისეთი ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ სირცხვილია ამაზე ლაპარაკი და წერა, მაგრამ რას იქ, როდესაც იმ რიგად აგვებნა ყველას დავთარი, იმდენად წაგვებილწა შეგნება, რომ თეთრის შავიდან გარჩევასაც ველარ ვახერხებთ.

რაც შეეხება თქვენს პირდაპირ სასაცილო ლათაიებს საქართველოს მთავრობის თბილისიდან ქუთაისში გადაყვანაზე, ეს ორთაჭალის ბაღებში გამოცხობილი ჭორებია და ნება მიბოძეთ ამაზე არ გელაპარაკოთ.

საბოლოოდ კი ნება მიბოძეთ ავღნიშნო ერთი ფაქტი. თვით ტონს ამ ანონიმებისას დღითი-დღე წინსვლა, გაუმჯობესება ეტყობა. თუ წინათ უმთავრესად ქუჩურ ავლაბრულ ლანძღვა-გინებას შეიცავდენ ისინი, დღეს იქ ხვდებით ცდას თავის პოზიციის დასაბუთებისას. ლანძღვა უმთავრესად ან წინასიტყვაობას, ან წერილის ბოლოსათვის არის შემონახული. თვით გინებაც უფრო „პარლამენტარული“ ხასიათისაა. ეტყობა ცდა მაინცა და მაინც ბლომად არ აფურთხონ იმ ჭაში, საიდანაც თვითონ მათ მალე და ძლიერ მალე დასჭირდებათ წყლის დალევა.

ლ. კუპრაშვილი.

„დემოკრატიის“ იდეა გაკოტრდა

საერთაშორისო და საქართველოს სოც.-დემ. დამახასიათებელი და განუკურნებელი სენი ის არის, რომ მისი იდეური სახე—მსოფლმხედველობა და ორგანიზაციული სხეული—სოციალური შემადგენლობა არსად და არას დროს არ არის გარკვეულ სოციალურ პრინციპზე აგებული, გარკვეულ სოციალურ კატეგორიაზე დაყრდნობილი.

სოც.-დემ., რომელიც სცდილობდა წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის და მისი ოპორტიუნისტულ იდეოლოგიის რევოლიუციონურ მუშათა კლასთან და მარქსისტულ იდეოლოგიასთან შეთანხმებას, სავსებით გადასცდა მარქსისტულ გზას, დაჰკარგა სოციალისტური ხაზი; მას შერჩა ხელში მხოლოდ დემოკრატიის მჩატე და გაურკვეველი მსოფლმხედველობა და ორგანიზაცია, სოციალიზმის საკითხი კი ზარმაცი გლეხის გაუთოხნავი ყანასავით აქვს ისტორიაზე უპატრონოთ მინდობილი.

ამით აიხსნება, რომ სოც.-დემ. იდეოლოგია და პრაქტიკა სავსეა კონტრასტებით, ერთმანეთთან შეუთანხმებელ და შეუთავსებელ პრინციპებით. ის სრულიად მოუმზადებელი ხვდება ყოველ ისტორიულ მომენტს, ყოველ ისტორიულ დღეს; მას არ შეუძლია იცოდეს, თუ რა უნდა აკეთოს ხვალ, ან რა აკეთა, რისთვის იმუშავა წინა დღეს.

მაგრამ, მიუხედავათ მისი ასეთი იდეოლოგიურ - ორგანიზაციული შინაგანი წინააღმდეგობისა, ის მაინც ახერხებდა პარტიის, ორგანიზაციის ფორმალური არსებობის შენარჩუნებას, რადგან ოპორტიუნიზმით აჭრელებული მისი იდეოლოგია მექანიკურათ აერთიებდა სხვადასხვა სოციალური ჯგუფების განწყობილებას, რომელიც ამავე დროს მისაღები ხდებოდა გაურკვეველ და სოციალურ გზაზე ამცდარ ყველა ელემენტებისათვის მის ქვეშ თავის შესაფარავად. ამიტომაა, რომ სოც.-დემ. ვერას დროს ვერ ახერხებს საკუთარი ძალების გამოანგარიშებას, თავის ორგანიზაციაზე დაყრდნობას; ამიტომაა, რომ ყოველი სოციალ-პოლიტიკური კრიზისი მას აბნევს, პასიურ როლში აყენებს და ის, რიცხვობრივათ თითქოს ძლიერი ორგანიზაცია, ყოველთვის სხვას მიყვება, სხვისი დამატება არის.

ამით აიხსნება ისიც, რომ მას ვერ შეუქმნია ორგანიზაციაში მტკიცე რევოლიუციონური დისციპლინა და თვითეული წევრი სრულიად თავისუფალი და დამოუკიდებელია თავის მოქმედებაში, მასა და ხელმძღვანელი აპარატი თავისუფალია ურთი-ერთ პასუხისმგებლობისაგან.

პარტიის საპროგრამო დებულებებიც, თავის შინაარსით, იმდენათ თავისუფალი იყო გარკვეულ აზრისა და პრინციპებისაგან, რომ არავის არ შეაშინებდა მისი სოციალური სახე და აქტიური ბრძოლის დავალებების შესაძლებლობა.

რევოლიუციონურ პროლეტარიატს, თავის-თავად ცხადია, ბუნებრივად არ შეეძლო მოთმენა და დარჩენა ასეთ უპასუხისმგებლო ორგანიზაციაში, ასეთი უპრინციპო იდეოლოგიის გავლენის ქვეშ; რევოლიუციონური მარქსიზმის სული ვერ შეურიგდებოდა და შეუთანხმდებოდა წვრილბურჟუაზიულ ოპორტიუნიზმს, და სოც.-დემ. პარტიაში მომხდარი გაყოფა—მენშევიზმის და ბოლშევიზმის სახით—ეს იყო სოც.-დემ. პარტიის რღვევის და დაშლის პროცესის დასაწყისი, ეს იყო რევოლიუციონური ელემენტების პირველი გაქცევა ბოლშევიზმის სახელწოდებით სოც.-დემ. ორგანიზაციიდან. რადგანაც ვფიქრობთ, რომ შეიძლება კიდევ იყოს სადმე დარჩენილი ისეთი სოც.-დემ., რომელსაც შეეძლება გაიფიქროს სოც.-დემ. ბუნების ასეთად დახასიათებისათვის სათანადო საბუთის მოთხოვნა, საილიუსტრაციოდ მოვიყვანთ საქ. სოც.-დემ. ცხოვრებიდან სულ უკანასკნელ დოკუმენტს, ე. წ. 10 აპრილის რეზოლიუციას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ 1921 წ. 10 აპრილს, თბილისში შემდგარი სოც.-დემ. თავისუფალი თათბირი და ის რეზოლიუცია, ანუ საპროგრამო დეკლარაცია, რომელიც მან გამოიმუშავა საბჭოთა ხელისუფლებასთან დამოკიდებულების საკითხში, უსათუოდ ისტორიული მნიშვნელობისაა საქ. სოც.-დემ. პოლიტიკურ გზაზე, რადგან აქედან იწყება პოლიტიკური ომი საბჭოთა ხელისუფლებასთან და ამის ცნობილი შედეგები.

რა სწერია იქ? რა სთქვა, როგორ შეაფასა მან გასაბჭოების მომდინარე ფაქტი და როგორი პოზიცია დაიჭირა მასთან დამოკიდებულების საკითხში?

რეზოლიუცია ამბობს, რომ სოც.-დემ. ღებულობს საბჭოთა სისტემას, როგორც სახელმწიფოებრივ ფორმას, ხოლო სვლას სოციალიზმისაკენ კვლავ განაგრძობს „დემოკრატიის ნიადაგზე“.

ეს ფორმულა—ტიპიური სოც.-დემ. ფორმულაა, ეს არის ორი წინააღმდეგობათა შეუძლებელი შეთავსების ცდა. ვინ არ იცის, რომ საბჭოთა სისტემა გულისხმობს პროლეტარიატის დიქტატურის გზას და სრული უარყოფაა პარლამენტარიზმის და „დემოკრატიის“. ამ ორი წინააღმდეგობის დაცვა, ერთსა და იმავე დროს, სინამდვილეში არ შეიძლებოდა და ამიტომაც მოხდა, რომ მას ჩამოსცილდა ხელოვნურად მიმატებული წინასიტყვაობა და შერჩა ხელში დაპირდაპირების პოზიცია.

„დემოკრატიის ნიადაგი“, რომელსაც შეეძლო ბრძოლის პროცესში დაეფიქრებია პარტიის მუშური შემადგენლობა, მეორე მხრივ ხელსაყრელ ნიადაგს ჰქმნიდა ყველა ანტიკომუნისტური ძალების შემოსაკრებათ. სოც.-დემ. მუშაობა და ორგანიზაციაც სწორედ ამ მიმართულებით ვითარდებოდა კიდეც და ამავე გაერთიანებული ფრონტის სახით მოხდა მისი დამარცხებაც ამ ბრძოლაში. ხოლო სოციალ-დემოკრატების დამარცხება საერთაშორისო მოვლენაა.

თუმცა ის საერთაშორისო მასშტაბით უფრო ნელი ტემპით მიდის. მიზეზი უნდა ვეძებოთ ამ ქვეყნებში მუშათა კლასისათვის შექმნილ მძიმე პოლიტიკური პირობებით და სოც.-დემ. პოლიტიკის ხელმძღვანელების გამოცდილი და მოხერხებული მოქმედებით, რომლებიც ხელოვნურად გაურბიან აქტიური ბრძოლის გამართვას და მით მოსალოდნელ კრიზისების შექმნას. თვითონ რღვევის პროცესს კი აქვს ღრმა ისტორიული სარჩული, რომელსაც ჰქმნის თანამედროვე სოციალ - ეკონომიური პირობებით გამოწვეულ კლასიური ბრძოლის გამწვავება.

„დემოკრატიის“ იდეას, რომელიც თავს იფარავდა პარლამენტარული დემოკრატიის დახეულ სამოსელში, გამოეცალა ეს უკანასკნელი თავშესაფარიც. მისი სრული გაყალბების გამო.

ეს მოვლენა იმის დამადასტურებელია, რომ თეორიულ ბრძოლაში გამარჯვებული რევოლიუციონური მარქსიზმი, რომელიც ეყრდნობა კლასთა ბრძოლის აუცილებლობას, გამარჯვებული გამოდის დღევანდელ სინამდვილეში, მართლდება პრაქტიკაშიც.

არ მგონია, რომ ეს არ სჯეროდეს რომელიმე სოც.-დემ., და თუ არ სჯერა, გადაავლოს თვალი იმ სურათს, რომელსაც იძლევა ფაშისტური გადატრიალების შემდეგ შექმნილი პირობები: საკმარისია, რომელიმე ღენერალის მიერ, ეს იქნება ესპანელი პრიმო-დე-რივერა, ან პოლონელი პილსუდსკი, თუ საბერძნეთის პაგალოსი, ან პორტუგალიელი გამეც და კოსტა, სამხედრო შეთქმულებით ძალა-უფლების დაპყრობა, რომ მეორე დღესვე „დემოკრატიის“ სახელით და ხმის „უმრავლესობით“ არჩეულ პრეზიდენტათ გამოაცხადებენ.

ნუ თუ შესაძლებელია „დემოკრატიის“ იდეის იმაზე მეტი გამასხარავება, რაც მას დაემართა გერმანიაში, სადაც გინდენბურგის ქვეყნის მმართველად, პრეზიდენტათ ასარჩევათ საკმარისი აღმოჩნდა 14 მილ. 500 ათასი ხმა. ხმების ასეთივე რაოდენობით რეიხსტაგს შეუძლია კანონიერი მთავრობის მოცემა, ხოლო 15 მილ. ხმამ არ იკმარა ვილაც პრინცებისაგან ხალხის შრომით შექმნილ ქონების ქვეყნის სასარგებლოთ ჩამოსართმევათ.

ამის შემდეგ ძნელია „დემოკრატიის“ სახელით მოქმედება და ვინმეს შეცდომაში შეყვანა. „დემოკრატიის“ პრინციპზე აშენებულ პოლიტიკურ პარტიას არ შეუძლია მასების შემოკრება და ორგანიზაციული სიცოცხლე, რადგან ეს იდეა გაკოტრდა ისტორიულად. სოც.-დემ. პარტ. ორგანიზაციული რღვევაც ამითაა გამოწვეული, და ამ პროცესის შეჩერება არავის ძალუძს, რამდენათაც დიდი არ უნდა იყოს მისი სურვილი, რამდენიც არ უნდა ეცადოს მისი გადარჩენა.

კლ. ჭეიშვილი.

რატომ ვერ ითმენენ საბჭოთა კავშირს

ყველასათვის უდაო იყო, რომ ინგლისში მაკდონალდის უხერხემლო-უფეროულ „მუშათა“ მთავრობის დაცემის შემდეგ კონსერვატიული მთავრობის შედგენა მთელს ევროპაში რეაქციის გაძლიერებას გამოიწვევდა. და მართლაც ასე მოხდა: გერმანიაში სოც.-დემ. ებერტის მემკვიდრეთ პირწავარდნილი მონარქისტი ჰინდენბურგი წამოსკუპდა; საფრანგეთში უნიათო ერიოს კაბინეტი გაცილებით მემარჯვენე ცნობილ არისტიდ ბრიანის კაბინეტით შეიცვალა და სხვა... მიუხედავათ ამისა, ქართულ ანტიკომუნისტურ ბანაკში ბევრის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან დარწმუნებული იყვენ, რომ გაძლიერებული რეაქციის ტალღები პირველად ყოვლისა საერთაშორისო პროლეტარიატის ციტადელს—საბჭოთა კავშირს ეხეთქებოდა. კონსერვატორების ასეთ შეფასებაში ქართული კონტრ-რევოლიუციონური საზოგადოება სრულიად მართალი იყო. ვის წინააღმდეგ მიმართავდა გალესილ შუბს რეაქცია თუ არა მუშათა კლასის, დამონებულ ერთა და მათ მოსარჩლე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ინგლისის თუ სხვა ქვეყნის კონსერვატორებმა და მონარქისტებმა ძლიერ კარგად იციან, რომ მათი არსებობა შეუძლებელია მუშათა კლასის დაუძლურებისა და დამონებულ კოლონიალურ ერთა ჩაგვრის გარეშე და როდესაც მსოფლიოში ჩაგრულთა **ერთად-ერთი** ქომაგი და დამცველი მხოლოდ საბჭოთა კავშირი იყო. სრულიად ბუნებრივად, პირველი იერიშები ამ უკანასკნელის წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული. და მართლაც ვის არ ახსოვს კერზონის ულტიმატუმი, ბიკკენხერდ-ხიკსების ინტრიგები, „ზინოვიევის წერილთა“ ფაბრიკაცია და სხვა მრავალი მარგალიტები. ცხადია ყველა ეს ოინები და ხრიკები რეაქციისა უშედეგოთ მთავრდება.

შედეგი მხოლოდ ის იყო, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელებმა, ყველა ავ ძაღლებს კერზონის სარბიელი უწოდეს.

დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე, რეაქციის ნანგრევებზე აგებული ახალი ქვეყანა საბჭოთა კავშირის სახით სწრაფი ტემპით ვითარდება, როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად, ძლიერდება პოლიტიკურად. კერზონების პირველი იერიშების შემდეგ უკვე სამმა წელმა განვლო და დღეს არც ერთ სახელმწიფოში მუშათა კლასის თავისუფლება ისე ფრიად არ არის განხორციელებული, როგორც საბჭოთა კავშირში. ამის შემდეგ სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს ის სიყვარული და სიმპატიები, რომელსაც კაპიტალისტურ და ჩაგრულ ერთა ქვეყნების მშრომელთა კლასი იჩენს საბჭოთა კავშირისადმი. მათში საბჭოთა კავშირის გავლენა დღითი დღე იზრდება. დაჩაგრულ ერებისა და კლასებს თვალი საბჭოთა კავშირისაკენ უჭირავთ, დახმარებას მისგან მოელიან. მხოლოდ ამიტომ არის, რომ ევროპის რეაქცია საზოგადოთ და განსაკუთრებით რეაქციის ავანგარდი ინგლისის კონსერვატორების სახით სასტიკ კამპანიას ეწევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მიუხედავათ ხიკს-ჩემბერლენთა მოქნილ დიპლომატიურ მუშაობისა, საიდუმლო თათბირებისა და სხვა და სხვა პროექტების თხზვის, არ იქნა ვერ მოხერხდა მთლიანი იმპერიალისტური ფრონტების შექმნა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტერესების წინააღმდეგობა არ იძლევა ამის საშუალებას. ამგვარად ჩემბერლენის დიპლომატიამ ჩაი-ლულის წყალი დალია და ხიკსის მუშტი ჰაერში დარჩა ჩამოკიდებული. მიუხედავათ მრავალი მარცხისა, კონსერვატორებს არ დაუყრიათ იარაღი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ისინი მხოლოდ დროს, შესაფერ მომენტს უცდიდენ. ამ უკანასკნელ ხანებში, საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგოდ წარმოებულმა კამპანიამ ფართო და მკაცრი ხასიათი მიიღო. მთავრობის ოფიციალური წევრები აშკარად აცხადებენ უკმაყოფილებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ მხრივ დამახასიათებელი იყო ბ-ნ ჩერჩილის სიტყვა. საბჭოთა კავშირთან დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტის საკითხი თემთა პალატაშიც კი დაისვა.

რაშია საქმე? რამ გამოიწვია ასეთი სასტიკი გამოლაშქრება?

პასუხი ერთად ერთია: ინგლისის მუშათა კლასი გამემარცხენდა, ნაცვლად დაუსრულებელ კომპრომისულ შეთანხმებელ პოლიტიკისა, მან აიღო რევოლიუციონურ ბრძოლის ხაზი, მაკდონალდ-ტომასების მოღალატური პოლიტიკა უარყო და უკმაყოფილების ბოლმით აღვსილმა ბრძოლის დროშა აღმართა, საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა და დახმარებისათვის სხვა ქვეყნის თანამოძმეთ მოუწოდა. მეგობარი ჭირში იცნობაო იტყვიან ხოლმე და ინგლისის მუშების ყველაზე უფრო გულწრფელი და ნამდვილი მეგობარიც საქვეყნოდ გამოჩნდა გაჭირვების დროს. ეს მეგობარი საბჭოთა კავშირის რევოლიუციონური პროლეტარიატი გახლავთ. ინგლისელ თანამოძმეთა მოწოდებაზე გამაგრებულმა და უფლება მოსულმა პროლეტარიატმა რევოლიუციონური ყოჩინით გადასჭექა და თავისი ღარიბი ჯიბიდან შეკრებილი ფულები გადუგზავნა. და განა სხვაფერ შეიძლებოდა მომხდარიყო? რასაკვირველია, არა. ვის შეუძლია დღეს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატზე უფრო წარმოიდგინოს ბრძოლაში ჩაბმულ ინგლისის მუშების მდგომარეობა? საკავშირო მუშათა კლასმა ხომ ყველაზე მეტათ იცის რას ნიშნავს რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლის დროს თუნდაც თანაგრძნობის ხმა, მან ხომ არა ერთი და ორი ასეთი ბრძოლები გადაიტანა ათეულ წელთა განმავლობაში, მან ხომ უამრავი მსხვერპლი გაიღო სანამ საკუთარი ქვეყნის რეაქციას საბოლოოდ თავს მოკვეთდა. და მაშასადამე სრულიად ბუნებრივია, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელებმა ყველაზე უკეთ გამოეხმაურენ თანამოძმეთა ბრძოლას და მოწოდებას. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ბრძოლის ასპარეზი ხომ საკუთარი ქვეყნის ასპარეზით არ განისაზღვრება, ის ხომ მსოფლიო პროლეტარიატის ავანგარდია, მისი მიზნები ხომ მსოფლიო ხასიათისაა და ცხადი ის გულგრილად ვერ შეხვდებოდა ინგლისის პროლეტარიატის ბრძოლას. აი, სწორეთ ეს გარემოება არ აძლევს მოსვენებას საერთაშორისო რეაქციას. და განსაკუთრებით ინგლისელ ლორდებს. ისინი ცდილობენ დაასუსტონ საბჭოთა კავშირი, გააჩანაგონ ეს რევოლიუციის კერა და ამით საბოლოოდ ჩაუკლან ერთად-ერთი იმედი, საუკეთესო ქომაგი, როგორც საკუთარ ქვეყნის მშრომელთ, ისე დაჩაგრულ კოლონიალურ ერებსაც. მაგრამ შესძლებენ კი ამას ცხოვრების მიერ განწირული კაპიტალისტური ბატონები? მოახერხებენ ისტორიის ჩარხის უკუღმა შემოტრიალებას? რასაკვირველია ვერა. ეს მათაც ძლიერ კარგად იციან. მაგრამ თუ მაინც აკრაჭუნებენ მოხუცებულ, ჩამტვრეულ კბილებს, ეს ადვილი ასახსნელია: ყველა მოხუცს, სიკვდილის აჩრდილის წინაშე მდგომს, მეტის-მეტად ეუფლება ნერვიულობა. ის მუდამ ოხრავს, ხელში ჯოხი უჭირავს და მზად არის ყველას სცემოს, ყველას უყვიროს, ყველას წყევლოს. ასეთია ბედი ინგლისის და მთელი მსოფლიოს კონსერვატიზმის—რეაქციის. საბჭოთა კავშირი ეს აღმავალი ქვეყანაა. ის მსოფლიო პროლეტარიატის კუთვნილებაა, საბჭოთა კავშირი მსოფლიო რევოლიუციის კერათ ურწმუნო თომებმა, ბაუერებმაც კი აღიარეს. ყოველი სოციალისტის, გულწრფელის მოქალაქის სიმპატია და თანაგრძნობა ახალი ქვეყნის შენების დროს საბჭოთა კავშირისაკენ უნდა იყოს. ეს ასეც არის. მის დანგრევას და გაჩანაგებას არავის აღირსებს მსოფლიო მუშათა კლასი.

არტ. ჩაჩუა.

ყოფილ მენშევიკთა შორის განყოფილების მუშაობა

ქალ. გორი

ივნისის პირველ რიცხვებში ქ. გორში შესდგა ყოფილ მენშევიკთა რწმუნებულების სამაზრო თათბირი. თათბირს დაესწრო ცენტრიდან ყოფ. ემიგრანტი, მუშა ამხ. გ. სულაქველიძე. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება ანტი-ბოლშევიკურ პარტიების და ემიგრანტთა მდგომარეობის შესახებ; ამხ. გ. სულაქველიძის: 2) მოხსენება ყოფ. მენშევიკთა შორის მომუშავე სამაზრო განყოფილების; 3) მოხსენებები ადგილებიდან.

ამხ. სულაქველიძე დაწვრილებით შეეხო ემიგრანტთა მდგომარეობას საზღვარ-გარეთ; დაახასიათა საქართველოდან გაჩიზნული ანტისაბჭოთა პარტიების გახრწნის მსვლელობა და აღნიშნა ამის უმთავრესი მიზეზები. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საზღვარგარეთ დარჩა მხოლოდ ჟორდანია-რამიშვილის ჯგუფი, რომელთაც გარდა კონტრ-რევოლიუციისა და ავანტიურისა აღარაფერი ახსოვთ.

ამ ჯგუფს არავითარ ანგარიშს არ უწევენ, არამც თუ ბურჟუაზიული სახელმწიფოები, არამედ თვით მე-2 ინტერნაციონალიც. გარდა ამისა, ამხ. მომხსენებელი შეეხო საფრანგეთის მუშათა კლასის უფლებრივ მდგომარეობას და აღნიშნა, რომ საფრანგეთში მუშათა უფლებრივი მდგომარეობა არარად არის გცეული. იქ თავისუფლება მხოლოდ ბურჟუაზიას აქვს მინიჭებული მუშათა კლასის გასაყვლეფად და დასამონავებლად.

სამაზრო განყოფილების მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა **როსებაშვილმა**. მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო, თუ რა სახით ჩამოყალიბდა ყოფილ მენშევიკთა შორის მუშაობა და აღნიშნა რწმუნებულების მუშაობაში მიღწევანი და დეფექტები მაზრის ფარგლებში.

მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები და გაიმართა კამათი. თათბირი მეტად საქმიანი გამოდგა. ყველა რაიონებიდან კამათში ორ-ორჯერ მიიღეს მონაწილეობა. აღნიშნავდენ მუშაობის სერიოზულ მნიშვნელობას და გამოსთქვამდენ სურვილს, რომ მუშაობა მომავალში უფრო გაღრმავდეს. კრება შეეხო მთელ რიგ საკითხებს, როგორც პარტიაში მიღების საკითხს, ისე აღრიცხვაზე აყვანის საკითხს და სხვ. ყველა საკითხები სათანადოთ იქნენ გაშუქებული.

9 ივნისს, საღამოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზედ, გორის მოქალაქეებთან მოხსენება გააკეთა ამხ. გ. სულაქველიძემ, ანტიბოლშევიკური პარტიების გახრწნის და ემიგრანტთა მდგომარეობის შესახებ. მოხსენება მკაფიოდ, გასაგები ენით იქნა გაკეთებული და კარგი შთაბეჭდილება დასტოვა საზოგადოებაში და მუშა-მოსამსახურეებში.

ო. ფოცხიშვილი.

ზუგდიდი

ბურუსი თანდათან იფანტება და მდგომარეობაც ირკვევა. სამუშაოთ გამოდიან ისინი, ვინც გუშინ ჯურღმულებს თავს აფარებდენ. ყოველგვარ ბუტიაობას, მერყეობას თავს აღწევს ხალხი და საღი რევოლიუციონურ-მარქსისტული თვალთახედვით და სინამდვილესთან შეგუებით წყვეტს საჭირბოროტო საკითხებს. მენშევიკური პარტიის მუშური ელემენტები გარბიან ანტი-ბოლშევიკური ფრონტიდან და დღითი-დღე იზრდება, მათში ლტოლვა კომუნისტური პარტიისაკენ. ეს მოვლანა თვალსაჩინოა დღეს ყველასათვის. ჩვენი კუთხის მშრომელები, და გულწრფელად უკავშირდებიან საბჭოთა ხელისუფლებას და სოციალისტურ აღმშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ.

ისინი დიდ ინტერესს იჩენენ „მუშათა კომისიის“ მუშაობისადმი. ამ თვალსაზრისით ფრიად საგულისხმიერო იყო ამხ. ლ. კუპრაშვილის ჩამოსვლა ზუგდიდში. მისმა უბრალო მუშურმა გამოსვლამ და მენშევიკური პარტიის წარსული შეცდომებზე ფარდის ახდამ დიდი გავლენა მოახდინა ხალხზე. განსაკუთრებით საყურადღებო იყო ლავრენტის გამოსვლიდან ის ადგილი, სადაც ის შეეხო ერთი მხრით მენშევიკების ისეთ ავანტიურისტულ საქმიანობას, როგორიც იყო 29 აგვისტოს გამოსვლაზე, მეორე მხრით ბოლშევიკების აღმშენებლობითი მოღვაწეობას. და მით უფრო გასაგები იყო ლავრენტის სიტყვა ხალხისთვის, რომ ჩვენი მაზრაც არა ცოტა მაგალითს იძლევა ხელისუფლების მუშაობიდან: რკინის-გზის გაყვანა ს. შამგონაში ქაღალდის ქარხნის გახსნა, ელექტრო-სადგურის შენება, გამანქანებული მიწათმოქმედება და მრავალი სხვ.

ყველა ამას თავის თვალით ხედავენ ზუგდიდელები. წარსულის—აშკარათ თუ ფარულათ მტრულ განწყობილებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი საბოლოოთ ეღება ბოლო;—ყველა დაინტერესებულია საქვეყნო საქმით, მუშებს, გლეხებს, მშრომელი ინტელიგენციას ღრმათ სწამთ, რომ მშრომელების ხსნა კაპიტალიზმის და მემამულეების მწარე უღლიდან მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებაში და კომუნიზმის გამარჯვებაშია.

გ—ი. წ—ია.

მოწერილი ამბები

სუფსა (გურია)

მოახლოვდა პარკობა. გლეხობაში კარგა ძალი ფული დატრიალდება. უდაოა, რომ გლეხობა აღნიშნულ ფულს უმთავრესად ფართლეულობისა და სხვა ოჯახის საჭირო ნივთების შესაძენად მოიხმარს. ამრიგად ჩვენს კოოპერატივებს დიდძალი ხალხი მიაწყდება.

კოოპერატივები უნდა შეეცადონ იმდენი საქონლის დგროვებას, რომ არც ერთი გლეხი არ ჩაუვარდეს კერძო ვაჭარს კლანჭებში. ამას მთავრობამაც უნდა მიაქციოს ყურადღება და განსაკუთრებით პარკის რაიონებში არსებულ კოოპერატივებს დახმარება უნდა აღმოუჩინოს საქონლის მიწოდებაში.

თუ კოოპერაცია შესძლებს გლეხების დაკმაყოფილებას და მათ არ გაუშვებს კერძო ვაჭართან, გლეხობაც მოგებული იქნება და, რა თქმა უნდა კოოპერაციაც წინ წაიწევს. მაგრამ გლეხობამაც არ უნდა დაივიწყოს თავისი მოვალეობა არც ერთი კაპიკი არ უნდა ჩააგდოს კერძო ვაჭრის დახლში. ვინც დღემდის ვერ გამხდარა კოოპერატივის წევრად, იმათ დღეს ეძლევა საშუალება, შევიდეს კოოპერაციაში.

ვინც აბრეშუმს აკეთებს, ის დაუყოვნებლივ წევრად უნდა შევიდეს კოოპერატივში და იქ შეტანილ საპაიო გადასახადს უკანვე დაიბრუნებს იმავე დღეს პრემიების სახით. არ შეიძლება იყოს ისეთი ღარიბი გლეხი, რომ ერთი წლის განმავლობაში უკანვე არ აიღოს პრემიების სახით იქ შეტანილი საპაიო გადასახადი. რაც შეეხება ფასების განსხვავებას კერძო ვაჭართან შედარებით, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ბრმებიც კი ხედავს, რომ კოოპერატივი საქონელს თითქმის ერთი მესამედით [illegible] ჰყიდის კერძო ვაჭრებზედ. გლეხებმა ამას [illegible] გაუწიონ ანგარიში.

აპ. იმნ[illegible]

შემცირება საჭირო იყო
(თიანეთი თბილისის მაზრა).

თიანეთის რაიონში გლეხკომების არჩევნები დამთავრდა 3 ივლისს. ნაცვლად 16 სასოფლო და 1 სარაიონო გლეხკომისა დაარსებულია სამი სასოფლო გლეხკომი.

უკანასკნელი ნაბიჯი უნდა ჩაითვალოს მიზანშეწონილად, თუმცა წინასწარ ჩატარებულ კამპანიის დროს ბევრგან გამოსთქვამდენ საწინააღმდეგო აზრს.

სამი სასოფლო გლეხკომის არჩევის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მუშაობა უფრო გამოცოცხლდე[illegible] კომებში შესაფერი პირების ჩა[illegible] ასე ადვილი გამოსანახნი არ არი[illegible]ლად. მეორე მხრივ, დიდათ შემ[illegible]ბა გლეხკომების ხარჯები, რო[illegible] მძიმე ტვირთად აწვებოდა გლეხკ[illegible] ისედაც მცირე ფონდს.

უსურვებ ახლად არჩეულ გლ[illegible]მებს ნაყოფიერ მუშაობას და გლ[illegible]მების მნიშვნელობა - დანიშნულ[illegible] მთლიანად განხორციელებას ჩვენს [illegible]ონში.

ალ. დოლიაშვილი.

ნოე ჟორდანიას „მაგარი არგუმენტაცია“

ნ. ჟორდანია განაგრძობს ბოლშევიკების კრიტიკას. ის ამბობს: „რუსეთის კომპარტიის დიდი გემი მრავალ გზით დაზიანებული და გვარიანათ მინგრეულ-მონგრეული როგორც იყო მიადგა თავის საკუთარ ნავთსადგურ, მან ოფიციალურად აღმართა იალქანი რუსული ნაციონალური სოციალიზმისა... ძველი, დრომოჭმული სლავიანურ-ნაროდნიკული დოქტრინა ახლა აღიარებულია რუსეთის სახელმწიფოს დოქტრინათო“ და სხვა.

ნოემ, როგორც ვიცით, კიდევ ერთი წლის წინ, თავის ბროშურაში „ბრძოლის საკითხები“ რიხით შესძახა: **კომუნიზმი სპეციფიური რუსული მოძრაობაა**... მაგრამ, საქართველოს მენშევიზმის ბელადს ამ საკითხში არ დაეთანხმა რუსეთის მენშევიზმის ბელადი მარტოვი და განაცხადა:—კომუნიზმი, საერთაშორისო ომის და რევოლიუციის ნიადაგზე აღმოცენდა, ის **მსოფლიო მოვლენააო** (იხილეთ მისი წიგნაკი „ბურჟუაზიული სამყაროს კრიზისი“). და მართლაც, ვინ იქნება ის ბრიყვი და უვიცი, რომ კომუნისტური მოძრაობა დაყრდნობილი არა ნაციონალურ, ამა თუ იმ ერის, სპეციფიურ თვისებებზე, არამედ **აღმოცენებული ღრმა სოციალურ ფაქტორების განვითარებაზე, წარმოშობილი თანამედროვე სოციალურ-ეკონომიური განვითარებით, გამოაცხადოს და დაასახლოს რომელიმე ერთი ქვეყნის მოძრაობათ?**

დღეს ყველანი, ვისაც პოლიტიკური ანბანი უსწავლია უკვე გარკვეულია იმ ელემენტარულ ჭეშმარიტებაში, რომ კომუნისტური მოძრაობა არის მსოფლიო საერთაშორისო მოვლენა, ვინაიდან როგორც საერთაშორისო ხასიათისაა კაპიტალისტური ეკონომიკა, წარმომშობი ამ მოძრაობის. ამიტომ, რამდენიც არ უნდა ქექოს ნ. ჟორდანიამ რუსეთის პოლიტიკური ისტორია, რამდენიც არ უნდა არკვიოს მსოფლმხედველობა სლავიანურ - მეტაფიზიკურ-სექტანტურ ჯგუფებისა და, რაც უმთავრესია, ნაროდნიკულ - სუბიექტიურ-იდეალისტურ მიმართულებისა, ის, რასაკვირველია, ვერავითარ სულიერ ნათესაურ კავშირს ვერ აღმოუჩენს კომუნიზმს და ზემოთ ნაჩვენებ იდეოლოგიურ სისტემათა შორის. წინააღმდეგ, ნაროდნიკების წარმომადგენლებთან რუსეთის მარქსისტულმა სკოლამ გ. აქვს ორგანიული, იდეური და პოლიტიკური კავშირი, ვინაიდან ნ. ჟორდანია და ჩერნოვები რეფორმისტული სოციალიზმის ფალავანდებია, სწორეთ ის ჩერნოვები, რომელთა წინააღმდეგ რუსეთის მარქსისტულმა სკოლამ გ. პლეხანოვის მეთაურობით დიდი ბრძოლა აწარმოვა და გაიმარჯვა.

მაგრამ დავანებოთ თავი, გავლილ ისტორიულ ფაქტების აღნუსხვას—ეს ფაქტები ისედაც ყველასათვის ნათელია. დაუბრუნდეთ ნ. ჟორდანიას მიერ ახალ ამერიკის აღმოჩენას, მის „ნაციონალურ სოციალიზმის უბადრუკ თეორიას“.

აქ საჭიროა ცოტა წარსულს გადავხედოთ.

საწარმოო ძალთა განვითარებამ უმწვერვალეს წერტილს მიაღწია. „ნაციონალური“ კაპიტალი ვერ ეტევა თავის სახელმწიფოს ფარგლებში, ის მიილტვის გარეთ, ჰსურს იშოვოს მეტი დასამუშავებელი ნედლი მასალა და ფართე მომხმარებელი ბაზარი. ამ სფეროში, „ნაციონალურ“ კაპიტალების შეჯიბრება - წინააღმდეგობა ყოველდღიური მოვლენაა. მაგრამ ეს ხდებოდა ფარულად, შემდეგ კი ეს ფარული ანტაგონიზმი აშკარა კონფლიქტის ფორმას ღებულობს და შეიარაღებული ძალით ეჯახება ერთი-მეორეს. კაპიტალიზმი გამოდის თოფით და ზარბაზნებით და კაცობრიობას ხოცვა-ჟლეტის საშინელებაში აბამს.

4 წლის განმავლობაში კაცობრიობა ნადგურდება ფიზიკურად და მატერიალურად. ომი დაჯდა 350 მილიარდი დოლარი ანუ დაახლოებით 700 მილიარდი ოქროს მანეთი. აი აქ აშკარავდება ფართო მასებისათვის კაპიტალისტური სამყაროს ღრმა კრიზისი. და მართლაც თანამედროვე ბურჟუაზიულმა მატერიალურმა კულტურამ მიაღწია რა უმაღლეს წერტილს თავის განვითარების გზაზე, შექმნა რა ტეხნიკური საშუალებანი ბუნებრივი ძალების სტიქიის დასამორჩილებლად, ამითვე ამოსწურა თავისი შემოქმედებითი უნარი. ის ერთხელ პროგრესიული, კულტურული და რევოლიუციონური ძალა (როცა ის ებრძოდა ფეოდალიზმს) უკვე აღწევს უმაღლეს წერტილს განვითარებისას და აქვე იყინება და ამ მომენტიდგან იწყება მისი ორგანიული რღვევა, შიგნით კლასთა ბრძოლის უნახავი გაალმასებით და გარეთ კი იმპერიალისტური ომების ცეცხლის დანთებით, რომელმაც განადგურებამდის მიიყვანა კაცობრიობა. იმპერიალისტურ ომებს მოყვა სამოქალაქო ომები-რევოლიუცია და აი აქ სოციალ-დემოკრატიულ პარტიებმა ნათელ ჰყვეს ის ფაქტი, რომ ისინი რევოლიუციის ხელმძღვანელები ვერ იქნებიან. აი მაგალითად უძლიერესი სექცია მეორე ინტერნაციონალისა, სოციალ-დემოკრატია გერმანიაში სადაც მრავალ რიცხოვანი პროლეტარიატია, სადაც კაპიტალისტური მეურნეობა უაღრესად განვითარებულია, აი სწორედ აქ, როდესაც ჩუვარდა ხელში ძალა-უფლება გერმნიის მენშევიკებს: **ებერტს, შეიდემანს და ნოსკეს** მეთაურობით როგორ მოიქცენ ისინი? იმის მაგივრათ, რომ რევოლიუცია გაეღრმავებინათ კაპიტალის სოციალიზაცია მოეხდინათ ესრგებლათ ბურჟუაზიული კლასების დამარცხებით და დაბნევით **თვით აიღეს თავის თავზე კაპიტალისტურ საზოგადოების ხსნა, მისი გადარჩენა და გამაგრება.**

გავიხსენოთ თუ გინდ ერთი ეპიზოდი, რაც ასე დამახასიათებელია რეფორმისტებისათვის. მე მაქვს მხედველობაში ის პროცესი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მიუნხენის სასამართლოში. 12 ნოემბერს 1925 წელს იქ გაირჩა ერთის საყურადღებო პოლიტიკური საქმე. პასუხისგებაში იყო მიცემული მიუნხენის მენშევიკური ორგანოს „მიუნხენ პოსტის“ რედაქტორი. მას ბრალდებოდა შეურაცხყოფა ნაციონალისტ პროფესორ გოსმანის, რომელსაც მან უწოდა „ისტორიის გამაყალბებელი“ იმისთვის, რომ გორსმანი თავის წერილებში ომში გერმანიის დამარცხების ბრალს მენშევიკებს სდებდა. აი ამ საქმეში გამოწვეული იყო მოწმეთ გენერალი გრენერი, ყოფილი გერმანიის სამხედრო შტაბის უფროსი და მან შემდეგი ჩვენება მისცა სასამართლოს: მთავარ სამხედრო შტაბს საიდუმლო შეთანხმება ჰქონდა ებერტთან. ბოლშევიკების და საერთოდ საბჭოთა სისტემის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის. ინდენბურგი დავითანხმეო—ამბობს მოწამე, რომ იარაღით გამოსვლა მომხდარიყო რევოლიუციონერების წინააღმდეგ. საიდუმლო ტელეფონით ებერტი შეერთებული იყო სამხედრო შტაბთან და ყოველივეს მასთან შეთანხმებით ვაკეთებდითო 10 ნოემბრიდან (1919 წ.) ჩვენი უახლოესი მიზანი იყო გამოგვგლიჯა ძალა-უფლება ბერლინში მუშათა და სალდადეთა საბჭოს ხელიდან. ამ მიზნისთვის გვინდოდა ათი დივიზიის შემოყვანა ქალაქში, მაგრამ „დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები“ სახალხო რწმუნებულთა საბჭოში მოითხოვდენ ჯარები შემოსულიყო ბერლინში ცარიელ პატრონებით. ებერტმა კი გაატარა საბჭოში გადაწყვეტილება რათა ჯარები შემოსულიყვნენ სამხედრო მასალებით და პატრონებით მზათ.

ეს პროცესი გამოიწვია იმ პოლიტიკურმა კამპანიამ, რომელსაც აწარმოებდა გერმნიის მონარქისტები პრეზიდენტ ებერტის წინააღმდეგ. უმტკიცებდენ რა ებერტს და მის პარტიას, გერმანიის სოციალ-დემოკრატიას, რომ თქვენ ომის დროს გაფიცვებს აწყობდითო და ამისათვის გერმანია დამარცხდაო.

(რა საკვირველია ეს ბრალდება გერმანიის მენშევიკეიზმისათვის ცილის წამება იყო, რადგან ისინი ომის დროს და შემდეგ ენერგიულათ იცავდენ იმ მთავრობას. რომელმაც ომი გამოაცხადა. გაიხსენეთ რეიხსტაგში სამხედრო კრედიტების დამტკიცება, შემდეგ მათი აგიტაცია: ომი გამარჯვებამდისო).

გერმანიის მენშევიკები კი ისტერიკაში ჩავარდნილნი ეფიცებოდნენ მონარქისტებს არას დროს გაფიცვებით და ასეთი ანარქისტული მეთოდებით ჩვენ კურთხეულ კონსტიტუციას არ ვებრძოდითო. და აი ეს მათი ერთგულობა რეაქციის მიმართ მიუნხენის პროცესზე ერთხელ კიდევ დამტკიცდა.

მე განძრახ შევჩერდი გერმანიის მაგალითზე, როგორ დაეცა სოციალ-დემოკრატია, ჩაეფლა რეფორმისტულ წუმპეში. კარლ კაუცკი ოდესღაც ორტოდოქსალური მარქსიზმის ერთი უნიჭიერესი წარმომადგენელი და დამცველი, რომელიც თითქმის 25 წლის განმავლობაში ებრძოდა რევიზიონისტულ მოძღვრებას, ეხლა თვით ჩაეფლა ოპორტიუნიზმის ჭაობში. გერმანიაში ყოფნის დროს მე შემთხვევა მქონდა მენახა როგორც კაუცკი, ისე ბერნშტეინი. ჩემ შეკითხვაზე, რატომ არ მოხდა გერმანიაში სოციალისტური რევოლიუცია თქო —აქ ხომ ობიექტიური და სუბიექტიური პირობები მზათ იყო ასეთი გატარებისათვის კაუცკიმ განაცხადა: ასეთი რამ რომ მომხდარიყო ძლიერ ცუდი იქნებოდაო რადგან სხვა უარყოფითი შედეგებთან ერთად საფრანგეთი სავსებით ჩვენ ტერიტორიას დაიპყრობდაო. (გერმანია არ გასაბჭოებულა მაგრამ ის მაინც დაპყრობილია, ვინაიდან მის მიწაწყალს მოაკლდა მთელი ტერიტორიის 13 პროცენტი და მოსახლეობა კი შემცირდა 10 პროცენტით).

ჩემთან მუსაიფის დროს ბერნშტეინმა განაცხადა: დღეს მე და კაუცკი ერთათ ვართ. ჩემ შეხედულებას, რომელსაც ის ებრძოდა გასული ათეული წლის განმავლობაში, ეხლა აღარ ებრძვისო, ცხოვრებამ გამართლა ჩემი ხაზი და კაუცკი ეხლა თვითონ დარწმუნდა ამაშიო. აი ფაქტი სოციალ-დემოკრატიის დაცემის, მისი გათახსირების და აი ამ მენშევიზმის დაცემის პროცესში მუშათა კლასის რევოლიუციონური ენერგია ქმნის ახალ პოლიტიკურ პარტიას კომუნისტების სახით. მენშევიზმს გაეთიშა, ჩამოსცილდა გულწრფელი და რევოლიუციონერი ელემენტები და რევოლიუციის მომავალი ბედი ამ ახალ ძალას ჩაუვარდა თავის მაგარ რკინის ხელებში. ამ პროლეტარულ ფოლადით დაკავშირებულ პარტიას გაუჩნდა მსოფლიო ლიდერი, ამხანაგი და მასწავლებელი ლენინი. მსოფლიოს სოციალისტურმა და რევოლიუციონურმა ისტორიამ იცის ორი უდიდესი ფიგურა, რომლებიც თავის ავტორიტეტით ამ დიად მოძრაობას წინამძღოლობენ. ეს გახლავთ **კარლ მარქსი მეცნიერი—რევოლიუციონერი კომუნისტი.** მარქსმა პირველმა მსოფლიოში დაამტკიცა, რომ პროლეტარული კლასიური მოძრაობა ემორჩილება რა განსაზღვრულ გარდაუვალ განვითარების პროცესს ბუნებრივი აუცილებლობით, შეურყევლათ მიდის კაპიტალისტური სისტემის დაშლისა და მის ნანგრევზე სოციალისტური სამეფოს დამყარებისკენ. მან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ფილანტროპიული უტოპიური სოციალიზმი და მის ნანგრევებზე შექმნა **მეცნიერება რევოლიუციონური სოციალიზმისა.** მარქსმა მოახდინა რევოლიუცია იდეაში; ლენინმა მეცნიერული რევოლიუციონური სოციალიზმი, რეფორმისტების მიერ ტყვეთ ჩაგდებული, მათ მიერ გაწბილებული, გაბათილებული, ფალსიფიკაციით შეზავებული და ამ რიგათ გახრწნილი, გამოსტაცა ამ უკანასკნელებს ტყვეობიდან და იხსნა ის. სასტიკი ბრძოლით მან დაამარცხა ძველი ავტორიტეტები, მარქსის ცრუ მოწაფეები და აღმართა წითელი დროშა სოციალისტური რევოლიუციისა. ერთი მეექვსედი ნაწილი კაცობრიობისა ამ დროშას ატარებს, როგორც სახელმწიფო დროშას, გამოხატულებას, სიმბოლოს შრომის გამარჯვებისა. ევროპაში ჯერ-ჯერობით ამ დროშას არ გაუმარჯვებია, ის არ გამხდარა ჯერ კიდევ იქ სახელმწიფო დროშათ. ეს იმიტომ, რომ ამ წითელი დროშის გამარჯვებას ბურჟუაზიასთან ერთათ ევროპიული მენშევიზმი, (როგორც რუსულ-ქართული მენშევიზმი) ცეცხლით და მახვილით ებრძოდა. გაიხსენეთ იმავე გერმანიაში ნოსკეს ყვითელი დიქტატურა **ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის ლინჩის წესით გასამართლება და დახოცვა.** ასეთივე ფაქტი მოხდა ავსტრიაში. აქ მენშევიკებმა უარი სთქვეს კომუნისტებთან საერთო ფრონტის შექმნაზე ბურჟუაზიის წინააღმდეგ, კლერიკალებს და ქრისტიანსოციალისტებს ძმურათ ჩააბარეს ძალაუფლება და იმ ევროპაში, სადაც ობიექტიური პირობები მზათ იყო პროლეტარული რევოლიუციისთვის, არ აღმოჩნდა სუბიექტიური პირობა, ე. ი. სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც მისდევდა მასები, დაადგა რეაქციასთან შეთანხმების გზას. ამ მოღალატეობამ—სხვა თანასწორ პირობებთან ერთად ევროპაში დაამარცხა კომუნისტური მუშათა რევოლიუცია. ცნობილია, რომ თუ რევოლიუციონური სიტუაციის გარკვეული მომენტი ხელიდახ გაუშვი—თუ ამ ხელსაყრელი პირობით ვერ ისარგებლა კლასმა, პოლიტიკურმა პარტიამ—შემდეგ თანდათან რთულდება მდგომარეობა და რეაქცია—დარაზმული ახანგრძლივებს თავის მდგომარეობას.

მაგრამ, ბურჟუაზიული ევროპის მდგომარეობა შერყეულია. ის ნაწილობრივი სტაბილიზაცია, რომელიც ეხლა არსებობს მხოლოდ ზერელეა. ვინაიდან კაპიტალიზმი ისტორიის მიერ განწირულია იმან მიაღწია თავის უარყოფის უკანასკნელ წერტილს. გასული მსოფლიო ომი ამ უტყუარ ფაქტს ადასტურებს. ევროპაში ეხლა სდგას დღის წესრიგში სოციალისტური რევოლიუციის მოხდენის საკითხი. და ის ფაქტი, რომ ევროპის კომუნისტური პარტიები თანდა თან იმარჯვებენ სოციალ-დემოკრატებზე ადასტურებს ამ სანატრელი დროს დაახლოებას (მაგალითად 1925 ჩეხიაში 48 მენშევიკი პარლამენტის წევრი იყო. დღეს კი 24 მენშევიკია და 48 კომუნისტი. ასეთივე ფაქტი მოხდა ბერლინში 50 მენშევიკი—ქალაქის თვითმართველობაში , შემცირდა 24-ზედ. 26 ხმა კი მოემატათ კომუნისტებს). ამას მიუმატეთ სულ უკანასკნელ ხანებში კომუნისტების გამარჯვება და სოციალ-დემოკრატიის სასტიკი დამარცხება მელითონეთა კავშირში ბერლინში რამდენადაც ზემოთ მოყვანილი ფაქტები საპარლამენტო გამარჯვებას მოწმობენ მასებში კომუნისტების გავლენის ზრდას, იმდენად ეს ფაქტები დამახასიათებელი არიან.

მაგრამ დავუბრუნდეთ საბჭოთა კავშირს. რა არის დღეს აქ?

ამაზე თვით მეორე ინტერნაციონალის ერთ-ერთ თვალსაჩინო ბელადს (ოტტო ბაუერს) მოუსმინოთ. ის ამბობს: „საბჭოთა კავშირებში დღეს არის გარდამავალი ხანა. დიახ სრული ჭეშმარიტებაა—საბჭოთა ქვეყნებში გახლავთ პროლეტარიატის დიქტატურა. ნ. ჟორდანია, ჩვეულებრივათ ოტტო ბაუერსაც არ ეთანხმება, მაგრამ ვკითხოთ, თვით მას, ჟორდანიას ვინ ეთანხმება? თვით მისი პარტიული ამხანაგები და, თუ უკაცრავათ არ ვიქნებით, უფრო დიდი მაშტაბის მენშევიკები, როგორც არის მარტოვი და ოტტო ბაუერი ვერ სთვლიან სერიოზულათ მის „თეორიებს“. მაგრამ რას იზამთ. ნ. ჟორდანია ერთობ ყალბ საფუძველზედ სდგას. მისი არგუმენტაცია ლოღიკაში ძლიერ კოჭლობს. საბჭ. კავ. აშენებს სოციალისტურ ეკონომიკას, ის მიდის ამ აღმშენებლობისაკენ კოოპერატიული, მუნიციპალური და სახელმწიფო მეურნეობის ხაზით. მეორე მხრივ ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირი გარემოცულია კაპიტალისტური სახელმწიფოებით და მას უხდება ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობაში ყოფნა ამ სახელმწიფოებთან—ეს გარემოება აიძულებს ჩვენს კავშირს ერთნაირ „კომპრომისებზე“ წავიდეს ე. ი. კერძო ინიციატივის, კერძო კაპიტალს ცოტაოდენი სამოქმედო ასპარეზი დაუტოვოს. ამ „დათმობაზე“ კომპარტია, რასაკვირველია, შეგნებულათ მიდის. უმთავრესი ის არის, რომ პროლეტარიატის ხელისუფლება არსებობს, ყველა ეკონომიური პოზიციების მბრძანებელი მაღლობები: საშინაო და საგარეო ვაჭრობა, საბანკო და საკრედიტო პარტია და სხვა მის ხელშია.

ამიტომ კომპარტიის გემი, სრულიად ჯანმრთელი, ერთიანი ფოლადით ჩამოსხმული მშვენიერად დასცურავს თანამედროვეობის ოკეანეში. ის ყველა ნავთ-სადგურებს ვაიცის და იქ აფრიალებს კომუნისტურ შრომის წითელ დროშას.

მენშევიზმი კი თავის დამპალი, დახეთქილი გემით თან და თან იძირება ოკეანეს უფსკრულში. ის ეხლა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი უიმედოთ განაგრძობს ისტერიულ კივილს, მაგრამ მისი ბედი უკვე გადაწყვეტილია ის ოკეანეს ჯურღმულში ღლვის სისწრაფით მიექანება.

ისტორიის განაჩენი ასეთი ყოფილა.

ალფეზი ხელაძე

რედაქტორი კ. სულაქველიძე.

სახელმწიფო გამომცემლობის მუშაობა მომავალ სეზონისათვის

(საუბარი სახელგამის გამგე ამხ. ბიბინეიშვილთან)

ჩვენ თანამშრომელთან საუბრის დროს სახელმწიფო გამომცემლობის გამგემ ამხ. ბ. ბიბინეიშვილმა შემდეგი განაცხადა:

სახელგამი ამჟამად გაცხარებულ მუშაობას აწარმოებს იმ ამოცანათა შესასრულებლად, რასაც მას აკისრებს როგორც მოახლოებული სასწავლო სეზონი, ისე ის დადგენილებანი, რედკოლეგიამ რომ მიიღო ქართული კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის გამოცემის შესახებ.

წარსულ წელს სახელგამმა მთელი თავისი მოღვაწეობა უმთავრესად ყველა საფეხურის სკოლათათვის სახელმძღვანელოების გამოცემის საქმეს მოანდომა. ამ მხრით მოსწავლეთა მოთხოვნილება მან თითქმის 80—90 პროც. დააკმაყოფილა. ამჟამად შარშან გამოცემულ სახელმძღვანელოთა საკმარისი რაოდენობაა: გვაქვს დაახლოვებით 30 სახელწოდების წიგნი, საერთო ტირაჟით 200 ათასამდე. სასწავლო წლის დაწყებისათვის გამოიცემა კიდევ 20 სახელწოდების წიგნი: 1) ქართული ენის სახელმძღვანელო სხვადასხვა ჯგუფებისათვის; 2) ბუნებისმეტყველების სახ-ები: 3) ალგებრის, ტრიგონომეტრიის, გეომეტრიის სახ-ლოები; 4) არითმეტიკის სახელმძღვანელოები სხვადასხვა ჯგუფისათვის; 5) გეოგრაფიის, 6) რუსული ენის, 7) საზოგადოებათმეცნიერების და სხვ. ზოგიერთი ამ სახელმძღვანელოთაგანი უკვე იბეჭდება (ტრიგონომეტრია, ქართულ და რუსული ენა, ფიზიკური გეოგრაფია, ზოოლოგია, გინეკოლოგია და სხვ.)

გარდა სახელმძღვანელოების გამოცემისა, ყურადღება აქვს მიქცეული პედაგოგიური და მეთოდური წიგნების გამოცემას, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლათათვის სახელმძღვანელოებს და სხვ.

მხატვრული, პოლიტიკური და საგლეხო ლიტერატურის დარგში მუშაობის გასაძლიერებლად მიღებულია ზომები: უკვე გამოიცა ან იბეჭდება ქართველი კლასიკოსების (აკ. წერეთლის, ვაჟა ფშაველას, ლომაურის, მგალობლიშვილის, ევდოშვილის, გ. წერეთლის და სხვ.) კლასიკოსების საუკეთესო ნაწარმოებნი იბეჭდება ცალკე წიგნაკებადაც (სახალხო ბიბლიოთეკის სერია).

რაიცა შეეხება თანამედროვე ქართულ პოეზიასა და პროზას,—უკვე იბეჭდება თანამედროვე მწერლების წიგნაკების სერია საერთო სათაურით „თანამედროვე ლიტერატურა". სულ გამოვა 15—20 წიგნაკი. გარდა ამისა იბეჭდება რამდენიმე მოზრდილი პროზაიკული ნაწარმოები.

პოლიტიკური და საგლეხო ლიტერატურა გამოიცემა საქ. კომპარტიის ც. კ. ბეჭდვითი განყოფ. და აგიტპროპის მითითებით. ცალკე ადგილი უჭირავს სათანადო ლიტერატურის გამოცემას კომკავშირისა (გამოიცემა 10 წიგნი), ქალთა განყოფილებისა და პიონერთათვის (გამოიცემა 8 წიგნი).

ყურადღება აქვს მიქცეული აგრეთვე თანამედროვე რუს და ევროპიელ მწერალთა რჩეულ ნაწერების გამოცემის საქმეს. ამ დარგში განზრახულია გამოიცეს ათი სახელწოდების წიგნი და აგრეთვე ორი კრებული: ერთი თანამედროვე რუსული, ხოლო მეორე ევროპიული ლიტერატურისა.

ცალკე უნდა იქნას მოხსენებული ისეთი დიდი საქმე, როგორიცაა მარქსის „კაპიტალის" გადათარგმნა სახელგამის შეკვეთით. „კაპიტალი" ითარგმნება ორიგინალიდან (გერმანული ენიდან). თარგმანის განხილვა მინდობილი აქვს განსაკუთრებულ სარედაქციო კოლეგიას, რომელშიაც პასუხისმგებელი ამხანაგები შედიან. პირველი ტომის თარგმნა ამ რამდენიმე თვეში მოთავდება და სახელგამი მყისვე შეუდგება მის გამოცემას.

ზომებია მიღებული სახელგამის ყველა გამოცემათა გასაიაფებლად. ამას კი დიდი მნიშვნელობა ექნება ქართული წიგნის შეძენისათვის მშრომელი ხალხის მასებში.

სახელგამი თავის დროზე შეუდგა სამოსწავლო სეზონისათვის მზადებას და მომარაგებული აქვს დიდძალი სასწავლო ნივთები: დამხაზებულია ერთი მილიონი რვეული, ამდენივე მზადდება და შარშანდელთან შედარებით ბევრად ნაკლებ ფასებში გაიყიდება და მასთან საუკეთესო ქაღალდის.

კერძო ვაჭრებიდან რომ სრულიად დამოუკიდებლად მიეწოდებინა ეს ნივთები სკოლებისა და სახელმწიფო დაწესებულებათათვის, სახელგამმა გახსნა საკუთარი მელნის ქარხანა და ამზადებს საუკეთესო ხარისხის მელანს.

სახელგამმა უშუალო კავშირი დაიჭირა მოსკოვის „კარტოგრაფიასთან" და სეზონისათვის სრულიად მომზადებულია: რუკებით, გლობუსებით, კოლექციებით და სხვ., რომელთა ფასებიც შარშანდელთან შედარებით დაკლებულია 25 პროც.

ლენინგრადში შეკვეთილია სახატავი რვეულება და შეძლება აქვს სახელგამს ბევრათ იაფად გაჰყიდოს ისეთები.

ამავე სეზონისათვის მომარაგებულია დიდძალი საკანცელარიო ნივთები რუსეთის საუკეთესო ფირმების დე აქ, ადგილობრივ, გაიყიდება მოსკოვის ფასებში.

შესამჩნევად გაფართოებულია ამ წელს პროვინციისათვის წიგნის მიწოდება, რა მიზნითაც ხელშეკრულებაა დადებული ცეკავშირთან, რომ მის სისტემაში შემავალ კოოპერატივებში გახსნან წიგნებით სავაჭრო განყოფილებანი.

დადებულია ხელშეკრულება აგრეთვე „ტრანსპეჩატთან" და მომავალში მთელი რკინის-გზის კიოსკებში გაიყიდება ქართულ წიგნი, რასაც დღეისდღეობამდე არ ჰქონია ადგილი.

აგრეთვე ქართული წიგნის გავრცელების მიზნით მოწვეული არიან კერძო კონტრაგენტები, რომელნიც განსაკუთრებით ისეთ ადგილებში იმუშავებენ, სადაც არ მოიძებნება კოოპერატივი და სახელგამისათვის კომერციული მოსაზრებით შეუძლებელია განყოფილების გახსნა.

გარდა თბილისის მაღაზია-განყოფილებათა, სახელგამს საკუთარი განყოფილებანი აქვს: ქუთაისში. აქედან განყოფილება ჩვენ გამოცემათ აწვდის მთელ დასავლეთ საქართველოს თბილისში არსებულ ფასებში; წინად კი 50 პროც. მომატებით იყიდებოდა იქ ქართული წიგნი: არსებობს „ურემ-წიგნი" სენაკში, სადაც ეს უკანასკნელი უშუალოდ აწვდის წიგნებსა და საკანცელარიო ნივთებს ცენტრიდან დაშორებულ სოფლებს.

სახელგამს გადაწყვეტილი აქვს ახლო მომავალში გახსნას გორში განყოფილება, რომელიც მთელი ქართლის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს წიგნის მოთხოვნილების სფეროში.

◆

როგორ „მუშაობდა" სახელ. ელექტრო-ტრესტი

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაამთავრა სახელმწიფო ელექტრო-ტეხნიკური ტრესტის თბილისის განყოფილების გამოკვლევა. გამოკვლევამ აღმოაჩინა მთელი რიგი დეფექტები, რომლებთაგან ყველაზე მეტი მოდის ელექტრო-მშენებლობის დარგში მუშაობაზე.

1924 წელში ცენტრალური რაიონის ელექტრო-ტეხნიკურმა ტრესტმა იკისრა ხაშმის მადრო-ელექტრო-სადგურის აგება; ამასთანავე წინასწარ არ ყოფილა შედგენილი არც ანგარიშები და არც პროექტი, მუშაობა სწარმოებდა უსისტემოდ, სამუშაოებს აძლევდენ შემთხვევით პირებს, კერძოთ ტეხნიკოს ფანცულაიას, ინჟ. ბილანიშვილს და სხვებს.

ასეთ უსისტემობას შედეგათ მოჰყვა ის, რომ სადგურის აგება გაგრძელდა წელიწად ნახევარი (როდესაც, ხელშეკრულების ძალით, ის ორ თვეში უნდა დამთავრებულიყო) და, მიუხედავათ ამისა, სადგური გამოუსადეგარი აღმოჩნდა.

1924 წლის 26 ოქტომბერს ტრესტმა იკისრა აბასის ელექტრო-სადგურის აგება. სადგური აგებული იქნა არარაციონალურად, როგორც ტეხნიკური, ისე ეკონომიურის მხრივ, დადგმულია ზედმეტი მოწყობილობა, რაც ართულებს მუშაობას.

1924 წლის 10 ოქტომბერს ტრესტმა მოქ. გალბხაჯრიდან იყიდა ახალი შვედური 60 ძალიანი მამოძრავებელი „სკანდია" 5.500 მანეთად. მამოძრავებელი ბაქოში იყო დადგმული და მისი დათვალიერება მოახდინა ბაქოს განყოფილების ინჟ. იოსებიანმა. მოქ. გალბხაჯრს, ხელშეკრულების ძალით, მამოძრავებელი უნდა ჩაებარებია ორ კვირაში, ჩაბარება კი მოხდა შვიდი თვის დაგვიანებით, ამასთანავე მამოძრავებელი აღმოჩნდა ძველი, ნახმარი, ფული კი მოქ. გალბხაჯრს სრულად მიეცა.

ეს მამოძრავებელი დადგმული იქნა ზესტაფონის სადგურში, სადაც განუწყვეტელი რემონტის შემდეგ გატყდა.

ამ ოპერაციამ ტრესტს მიაყენა რამოდენიმე ათასი მანეთის ზარალი. მოლაპარაკებას მამოძრავებლის ყიდვის შესახებ აწარმოებდა ინჟ. იოსებიანი, იგივე სცდილობდა ახალ მანქანათ ჩაებარებია იგი ყვირილის ალმასკომისათვის, თუმცა მან იცოდა, რომ მამოძრავებელი ძველი იყო.

ამასთანავე გამოუსადეგარი აღმოჩნდა სადგურის შენობაც, რამაც ზესტაფონის ალმასკომი აზარალა 6.000 მანეთით. ამ საქმეზე ტრესტმა იზარალა 13.495 მანეთი.

ტრესტისათვის საზარალო აღმოჩნდა აგრეთვე ხონის ჰიდრო - ელექტრო სადგურის აგება; სადგური არარაციონალურადაა აგებული, მას მრავალი ნაკლი აქვს. ამ სადგურის აგებით ტრესტმა იზარალა 2.486 მანეთი.

უსისტემობა ახასიათებს აგრეთვე ტრესტის საორგანიზაციო მუშაობასაც; ტრესტის განგება ფართო მოხმარების საგნების, მაგალითად, ელექტრო - მუშების თვითღირებულებაზე უმატებდა 150 პროც. საშუალოდ კი დანარიცხი აღწევს 50 პროც., რაც არანორმალურია და ტრესტის პროდუქციას მიუწვდომლად ხდის მოსახლეობის ფართო ფენებისათვის.

დასასრულ გამოკვლევამ აღნიშნა ასეთი ფაქტი:

ტრესტის სავაჭრო განყოფილების გამგეს ხოდორსკის, ტრესტის მმართველი—ამხ. მიორბუზიანის განკარგულებით, უნდა მიეცა სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საჭიროებისათვის მავთული. მავთული არ აღმოჩნდა, მაშინ ხოდორსკიმ დაავალა ინჟ. ლორის ზამბო, თუ სად შეიძლებოდა მისი შოვნა. ამ უკანასკნელმა იკითხა სხვადასხვა დაწესებულებებში, მაგრამ მავთული არსად არ აღმოჩნდა. შემთხვევით მავთული აღმოჩნდა „ხელკავშირის" № 8 მაღაზიაში. ინჟ. ლორისი შეუთანხმდა მოქ. პეტროსიანს იმაზე, რომ ისინი შეიძენენ მავთულს და უფრო ძვირად მიყიდიან ტრესტს. ასეც მოხდა: მათ მავთული იყიდეს 96 კაპ., ტრესტს კი მიყიდეს 75 კაპ.; ამრიგად, ტრესტმა იზარალა 55 მან. 16 კ.

შენიშნული დეფექტების აღმოსაფხვრელად, ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ შეიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლების გატარება ხელს შეუწყობს ტრესტის მუშაობის გაჯანსაღებას.

ამასთანავე კოლეგიამ საჭიროთ სცნო ზოგიერთი პირების მოხსნა თანამდებობიდან, ზოგიერთებისათვის საყვედურის გამოცხადება, რამოდენიმე პირის საქმე კი გადაეცა პროკურორს.

პარტიული ცხოვრება

შავდიას და ლადეიშჩიკოვის საქმე

იმ საქმეებიდან, რომელიც ამ უკანასკნელ დროს გაარჩია პარტკოლეგიამ, განსაკუთრებით საყურადღებოა ჯაკუ დავითის ძე შავდიას საქმე. შავდია ყოფილი თავადია, რომელიც 1926 წლის დასაწყისში კომპარტიის კანდიდატათ იქნა მიღებული ახალსენაკის პარტორგანიზაციის მიერ.

მაგრამ მისი პარტიის რიგებში შემოსვლის შემდეგ ირკვევა, რომ ის მენშევიკების აჯანყების დროს 24 წელს უშუალოდ აქტიურ მონაწილეობას იღებდა მასში. აჯანყებულებთან ერთად ის იარაღით ხელში იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამ საქმის გამოძიებამ ცხადყო, რომ შავდიას ეხლაც კავშირი აქვს მენშევიკებთან. პარტიის გაგედილის თემკომი და ახალსენაკის სამაზრო კომიტეტები შუამდგომლობდენ პარტკოლეგიის წინაშე, რომ შავდია გაძევებული ყოფილიყო პარტიის რიგებიდან.

პარტკოლეგიამ, განიხილა რა ეს საქმე, ბრალდება დამტკიცებულად სცნო და შავდია გამორიცხა პარტიიდან. შავდიას საქმე გადაეცა საქართველოს საგანგებო კომისიას.

პარტკოლეგიაში გარჩეულ იქნა კიდევ ერთი საყურადღებო საქმე გაფლანგვის შესახებ. ლადეიშჩიკოვს, პარტიის კანდიდატს 24 წლიდან აჭარისტანის უმაღლესმა სასამართლომ მიუსაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ლადეიშჩიკოვი სისტემატიურად ითვისებდა და ფლანგავდა კავშირის ფულს, როცა ადგილკომის ტეხნიკური მდივანი იყო.

პარტკოლეგიამ ლადეიშჩიკოვი პარტიიდან გამორიცხა კავშირის ფულების გაფლანგვისა და მითვისებისათვის.

პარტკოლეგიის თავმჯდომარე
შამშე ლეჟავა.

საკლუბო მუშაობა უნდა გაჯანსაღდეს

(წერილი სიღნაღიდან)

კლუბები მაზრაში თავის მუშაობის განუვითარებლობის გამო ვერ აკმაყოფილებენ მუშა-მოსამსახურეთა და ახალგაზრდების კულტურულ მოთხოვნილებებს. მიუხედავათ იმისა, რომ მუშა-მოსამსახურეთა ფართო ფენების, პარტიისა და კომკავშირის ორგანიზაციისათვის საკლუბო მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, პერიფერიებში საკლუბო მუშაობა სუსტია, სუსტია რადგან მას სათანადო ორგანოები ხელს ვერ უწყობენ. კლუბებში დღეს ბილიარდის, კარტის და ნარდის თამაშს უფრო ხშირად შეხვდებით, ვიდრე რაიმე სერიოზულ მუშაობას. ახკომკავშირის ორგანიზაციები თუმცა ახალგაზრდათა სექციებში მუშაობენ, მაგრამ მათ მუშაობას მცირე ნაყოფი მოაქვს. საკლუბო მუშაობას პარტორგანოები არ უწევენ ხელმძღვანელობას, ნაკლებად ზრუნავენ ამაზე პროფკავშირებიც, რომელთაც კომკავშირის იმედით, საქმისათვის თავი მიუნებებიათ.

კომკავშირის ორგანიზაციას საკლუბო მუშაობის სფეროში ახსექციების საშუალებით დიდი საქმის გაკეთება შეუძლია, მაგრამ საჭიროა სათანადო ხელმძღვანელობა. პარტორგანიზაციათ სავალდებულო უნდა გახდეს საკლუბო მუშაობისათვის ჯეროვანი ყურადღების მიქცევა. კლუბები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ სათანადო ლიტერატურით, აღმოფხვრილ უნდა იქნეს კარტის, ნარდის და ბილიარდის თამაში. (ზოგ კლუბში დღეს 3—4 ბილიარდია).

სამაზრო პროფესიონალურმა ცენტრებმაც უნდა მიაქციონ ამ საქმეს ყურადღება. სხვადასხვა წრეების მუშაობა უნდა გადაიქცეს საკლუბო მუშაობის მთავარ ფუძედ.

ლოთობის, ხულიგნობის, თავაშვებულობისა და სხვა ამგვარი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში უდიდესი სამსახურის გაწევა შეუძლია წესიერათ მოწყობილ და სათანადოთ დაყენებულ საკლუბო საქმიანობას.

მიმდინარე საზაფხულო პერიოდი უნდა იქნეს გამოყენებული იმისათვის, რომ საკლუბო მუშაობა მაზრებში სათანადო დონეზე იქნეს დაყენებული.

ვ. ხატიაშვილი.

ლეჩხუმის სამაზრო ორგანიზაციაში

(პოლიტგანმანათლ. მუშაობა)

3 ივნისს შესდგა ლეჩხუმის სამაზრო პარტკომის საგიტაციო-საპროპაგანდო კოლეგიის სხდომა, რომლის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) სანგარიშო მოხსენება პოლიტგანის მუშაობის შესახებ, 2) აგიტპროპ ორგანიზატორების გამოყოფის შესახებ და სხვა მორიგი საკითხები.

პოლიტგანის მუშაობის შესახებ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ 1925—26 სასწავლო წლის პერიოდში სალიკვიდაციო სკოლებში მეცადინეობა დაიწყო გვიან. სალიკვიდაციო სკოლების მასწავლებლობა არ ყოფილა მომზადებული. სალიკვიდაციო სკოლების პოლიტგანათლების განყოფილება და პარტიული ორგანიზაციები ვერ ხელმძღვანელობდენ სათანადოთ.

რაც შეეხება ქოხ-სამკითხველოებს ასეთებს არ ქონიათ შესაფერისი შენობები და მოწყობილობა. ქოხ-სამკითხველოების გამგეები არ ყოფილან სათანადოთ მომზადებულნი. ქოხ-სამკითხველოების საბჭოების მუშაობა მოისუსტებდა: არ ყოფილა ხმამაღლა გაზეთის კითხვა და სხვა წრეების ჯგუფების მუშაობა, არ სწარმოებდა მკითხველთა აღრიცხვა და მათი შესწავლა და ლიტერატურის შერჩევა მკითხველებისათვის. არ ყოფილა ქოხ-სამკითხველოების ადგილებზე დათვალიერება და მათი მუშაობის გამოკვლევა. ქოხ-სამკითხველოების გამგეების ხელფასი მცირეა.

აგიტპროპკოლეგიის სხდომამ სალიკვიდაციო სკოლების და ქოხ-სამკითხველოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის გამოიმუშავა შემდეგი ღონისძიებანი:

1) მომავალი სამოსწავლო წლისათვის სამაზრო პოლიტგანის გამგემ თავის დროზე შეადგინოს სამუშაო გეგმა აგიტპროპთან შეთანხმებით და შემდეგ თავის დროზე შეუდგეს სალიკვიდაციო სკოლების მოწყობას, კარგად შეისწავლოს თუ რამდენი სალიკვიდაციო სკოლის დაარსება შეიძლება მაზრაში, შეადგინოს პროგრამა ადგილობრივ პირობებთან და დაამზადოს საჭირო სახელმძღვანელოები აგიტპროპთან შეთანხმებით.

2) ყურადღება მიაქციოს, როგორც პოლიტგანმა, ისე ადგილობრივმა პარტიულ ორგანიზაციებმა სალიკვიდაციო სკოლებში მეცადინეობას.

3) სალიკვიდაციო სკოლებისათვის უნდა მოხდეს შერჩევა მასწავლებლების და არ იქნეს დაშვებული ისეთი მასწავლებლები, რომლებიც ვერ შესძლებენ სალიკვიდაციო სკოლის ხელმძღვანელობას.

4) უნდა ხდებოდეს ადგილზე სწავლა და გადახედვა მუშაობის, რაც აქამდე არ ყოფილა.

5) საჭიროა წელიწადში ორჯერ (დაწყების და დამთავრების დროს) მოხდეს პოლიტგანის და აგიტპროპის ხელმძღვანელობით სალიკვიდაციო სკოლების ხელმძღვანელების თათბირი მაზრის ან რაიონის ფარგლებში.

6) უნდა მოხდეს აგიტპროპის და პოლიტგანის შეთანხმებით სტაციონალური სკოლების საჭიროება გამორკვევა.

7) ყოველნაირი ზომები უნდა იქნეს მიღებული, რათა სკოლებში ჩაბმულ იქნეს სოფლის მოჯამაგირეები; მათი ჩაბმას სკოლებში ყურადღება მიაქციოს მიწა-ტყის მუშაკთა კავშირმაც.

8) მიექცეს ყურადღება ქოხ-სამკითხველოებში გლეხების მეტად ჩაბმას და მათ დაინტერესებას ქოხ-სამკითხველოებისადმი, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება ქოხ-სამკითხველოების შენობების შეძენა, შეკეთება და გაფართოება.

9) ყურადღება მიექცეს ქოხ-სამკითხველოების საბჭოების ამუშავებას, რისთვისაც ზედმეტი არ იქნება ჩატარდეს საუბრები ან თათბირები მათი მნიშვნელობის, მოვალეობის და დებულებების შესახებ.

10) უნდა მიექცეს ყურადღება მკითხველთა აღრიცხვას: რომელი წრის ხალხი ეტანება, რომელი გაზეთებს და წიგნებს კითხულობს, რით არის უკმაყოფილო და რა აინტერესებს.

11) უნდა ხდებოდეს გადარჩევა, გადახალისება ადგილობრივ ქოხ-სამკითხველოების და მათი მუშაობის გამოკვლევა და მათი გამოსწორება, რაც აქამდე თითქმის არ ყოფილა.

12) საერთოთ იქნეს ცნობილი ქოხ-სამკითხველოების გამგეების თათბირის ჩატარება მაზრის ან რაიონის მასშტაბით.

აგიტპროპკოლეგიის სხდომამ იქონია რა მსჯელობა აგიტპროპორგანიზატორების მოწვევის შესახებ, საჭიროთ სცნო გამოყოფილ იქნეს აგიტპროპორგანიზატორები სამაგალითოდ და მიღებულ მიზნით შემდეგ მაზრის თემებში: 1) ლაილაში, 2) ცაგერი და 3) ჭრებალოს თემებში, რაც ეცნობოს შესასრულებლათ ზემოთ აღნიშნულ თემკომებს.—სამთოთ ინსტრუქციები და სახელმძღვანელოები გამომუშავება დაევალოს აგიტპროპის გამგეს.

აგიტპროპკოლეგიის სხდომამ საჭიროთ სცნო, რათა დაევალოს ლეჩხუმის სამაზრო კომიტეტის მდივანს საგიტაციო-საპროპაგანდო კოლეგიის სხდომაზე გააკეთოს სანგარიშო მოხსენება.

სხდომამ გაარჩია აგრეთვე სხვა მორიგი საკითხები.

ზუზუ.

პარტმუშაობის ქრონიკა

— სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიების ჩატარება. სასოფლო-სამეურნეო გადასახადების კამპანიების ჩასატარებლად შორაპნის მაზრკომმა გამოყო 30 პ.-მგ. ამხანაგი, რომელთაც მიეცათ სათანადო დირექტივები და ინსტრუქციები.

— საგლეხო სესხის პოპულარიზაცია. შორაპნის მაზრკომმა დაადგინა გლეხკომების გადარჩევის კამპანიებთან ერთად ჩატარდეს აგრეთვე საუბრები საგლეხო სესხის მნიშვნელობაზე.

— მუშაობის გაჯანსაღებისათვის. შორაპნის მაზრკომმა უჯრედების მუშაობის გამოსაცოცხლებლად დაადგინა მოახდინოს უჯრედებზე მიმაგრებული ამხანაგების გადაჯგუფება.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ნიაღვრები

ქუთაისი, 10 ივლისი. კოკისპირული წვიმების გამო ზეკარის რაიონში ნიაღვრებმა დაფარეს 20 დესეტინა სიმინდის ყანა. ზარალი უდრის—300 მანეთს. წითელი ხევის თემში ნიაღვრებისაგან წალეკილია 50 ქცევა სიმინდის ყანა. ზარალი უდრის—900 მანეთს. საპიატიგოს თემში ნიაღვრებისაგან სოფელი 700 მანეთით არის დაზარალებული მაღლაკის თემში 6.00 მანეთით დაზარალდენ ბაღები და ვენახები.

სახალხო განათლება

ქუთაისი, 10 ივლისი. ქუთაისის მაზრაში 1925—26 წლის განმავლობაში გახსნილი იყო 11 ცხრაწლედი, სადაც სწავლობდა 8.223 მოწაფე, 49—შვიდწლედი—16.659 მოწაფით, 148—ოთხწლედი—13.497 მოწაფით. მიმდინარე წელს 9 წლედი დაამთავრეს 1.690 მოწაფემ, შვიდწლედი—1.711 მოწაფემ და 4 წლედი—3077 მოწაფემ.

აჭარისტანი

ფანერის ექსპორტი

ბათომი, 10 ივლისი. აჭარისტანის ვაჭრობა-მრეწველობამ უცხოეთში გასატანათ საფანერო ქარხნებში დამზადა ნიგვზის ფანერის 150.000 ფურცელი.

პურის შემოტანა

ბათომი, 10 ივლისი. ივნისში სახელმწიფო ორგანოების მიერ შემოტანილ იქნა 35.600 ფუთი ფქვილი, 8.000 ფუთი სიმინდი და 3800 ფუთი სხვადასხვა პურეულობა.

ნავთის გატანა

ბათომი, 10 ივლისი. მარსელში წავიდა ინგლისის დროშით გემი „იმერეთი", რომელმაც წაიღო 23740 კილო სხვადასხვა ტვირთებისა. გემი „ლოისი"-თ სტამბოლში გაგზავნილ იქნა 430 ტონი ნავთი და გემი „ასტრახანი"-თ ლონდონში 4950 ტონი ნავთი.

ბრძოლა ციმბირის ჭირთან

ბათომი, 10 ივლისი. ბათომის რაიონში ციმბირის ჭირის გამოჩენის გამო მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სავეტერინარო განყოფილებამ თბილისიდან მოითხოვა ვაქცინის პარტია აცრის საწარმოებლათ.

ტყის გადაცემა გლეხებისთვის

ბათომი, 10 ივლისი. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა ხულოს ტყეში მიავლინა მიწათმოქმ. სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილების გამგე და ორი მეტყევე, რათა ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ტყეები გლეხებს გადასცენ.

აფხაზეთი

ცაკის სესია

სოხუმი, 10 ივლისი. აფხაზეთის ცაკის მესამე სესიის მოწვევა გადატანილია სექტემბრისთვის.

გრიგალი და ნიაღვარი

სოხუმი, 10 ივლისი. ახალ გაგრაზე გადავლილ გრიგალის გამო შედგენილ იქნა სპეციალური კომისია ზარალის გამოსარკვევათ.

გრიგალს თან მოჰყვა უძლიერესი ნიაღვარი. წალეკილ იქნა არა მარტო ხის კედლები, არამედ ბეტონის ზღუდეებიც დაინგრა. ნათესების მნიშვნელოვანი ნაწილი გადარეცხილია. ძალიან დაზარალდენ ხეხილის ბაღები, ზოგიერთი ხეები ძირფესვიანათ ამოთხარა. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

სოხუმის მაზრა

სოხუმი, 10 ივლისი. გამოქვეყნდა აფხაზეთის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილება, გუმისტის ყოფილი მაზრის ტერიტორიაზე. სოხუმის მაზრის შედგენის შესახებ. ქალაქი სოხუმი ადმინისტრატიული და სამეურნეო მხრივ გაერთიანებულია მაზრასთან.

წერილები

ქელეხების წინააღმდეგ

სხვა მავნე ტრადიციებსა და ზნე-ჩვეულებებს შორის, რომელთა საკმაოთ მკვიდრათ აქვთ გადგმული, სამწუხაროთ, ფეხი სოფლად, აღსანიშნავია ქელეხიც ანუ ალაპი, რომელიც მძიმე ტვირთად აწვება გლეხის ოჯახს. გლეხს, რომელიც ჰკარგავს ოჯახის წევრს, ხშირად მარჩენალსა და ბურჯს, ამ უბედურებასთან ერთად კისრად აწვება კიდევ მეორე არა ნაკლები უბედურება-ქელეხი. ის იძულებულია თავის უკანასკნელი სარჩო გამოიტანოს ხოლმე მიცვალებულის „სულის მოსახსენებლად". ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეხლა უკვე გლეხების უდიდეს ნაწილს აღარაფერი სწამს არც „სულისა" და არც „ცხონების", მაგრამ ალაპებსა და ქელეხს მაინც არ ელევა ბოლო. პირიქით, უკანასკნელ ხანებში, ის ძალიან მოხშირდა სოფლად. გლეხები, ერთი მეორის წაბაძულობით, „აღარ სჭამენ სირცხვილს", წელებზე ფეხს იდგამენ და ხარჯავენ უკანასკნელ გროშებს ოღონდა იმისათვის, რომ „პირიანი" ქელეხი გამართონ.

ამ მოვლენის წინააღმდეგ რასაკვირველია საჭიროა ბრძოლა, მით უმეტეს, რომ ის უკანასკნელ ხანებში ძალიან მახინჯ და სოფლისათვის საზიანო ხასიათს ღებულობს.

ჩვენ ხშირად მოგვდის ხოლმე კორესპონდენციებს სოფლიდან, სადაც გვწერენ, რომ ქელეხები და ალაპები სოფლის უსაქმო ხალხის; ყ. თავად-აზნაურობის, მღვდლებისა და საერთოდ ყველა ჯურის „გაქუცულთა" საქეიფო და დროს სატარებელ საშუალებად გადაიქცა. საჭიროთ მიგვაჩნია დღესაც მოვიყვანოთ ზოგიერთი ამ კორესპონდენციათაგანი.

სოფ. წალენჯიხიდან (ზუგდიდის მაზრა) გლეხკორი მოკეთე გვწერს: „ამას წინად, გლეხ მიქავას დასაფლავების დღეს, გაიმართა ქელეხი, რომელსაც რასაკვირველია მღვდელი და სოფლის სხვა „წარჩინებული" წოდებაც დაესწრო. ქელეხში ხალხი ღვინით გაილეშა, რის შემდეგ გაიმართა მუშტი-კრივი და ერთ მიცვალებულს, ხანჯლით მეორეც—ღარიბი და წვრილ ცოლშვილის პატრონი გლეხიც მიაყოლეს. სასიკვდილოთ დაშავდა, გარდა ამისა, კიდევ რამოდენიმე გლეხი. მეორე დღეს, გზაზე დაუხვდენ ერთ-ერთ მოხუცებულს და მოჰკლეს".

სოფ. აბასთუმნიდან გვწერენ: „გლეხ პეტრე პაპკორიას მოუკვდა ოჯახის ერთ-ერთი წევრი. დასაფლავების დღეს პაპკორიამ მოაწყო ქელეხი, რომელზედაც გაიმართა ყანწების ფრიალი. რასაკვირველია, იქ სადაც ყანწებია, ჩვენს „მადლიან" ქვეყანაში, თამადაც უნდა იყოს და აჰ, ქელეხში ვინმე **ნაპო კოდუა** თვით ირჩევს თავის თავს თამადათ. კარგათ შეზარხოშებული თამადა იჩენს თავის ვაჟკაცობას, იწყებს ჩხუბს და იმართება ერთი დაჭკა-დაჭკა. გამხეცებული „თამადა", გარბის, გამოაქვს შაშხანა თოფი და უშენს ხალხს. დაშინებული ქალები, ბავშვები და დამსწრე გლეხები ტყისკენ გარბიან წივილ-კივილით, ხოლო მიცვალებული დაუსაფლავებელი რჩება".

აი როგორ მახინჯ და საზიზღარ ხასიათს იღებს ქელეხი.

როგორც ვსთქვით, ამ მოვლენის წინააღმდეგ საჭიროა სისტემატიური და სასტიკი ბრძოლა.

ამ ბრძოლაში უნდა იქნეს ჩაბმული ჩვენი სოფლის ყველა მოწინავე ძალები. საჭიროა სოფლის საზოგადოებრივი ძალთა დარაზმვა და ამოძრავება ამ საზიზღრობის წინააღმდეგ.

სოფლის საბჭოებმა სხვა ორგანიზაციებთან ერთად, უნდა აიღონ თავის თავზე ინიციატივა, გაშალონ აგიტაცია-პროპაგანდა ქელეხების წინააღმდეგ. მოიწვიონ გლეხთა საზოგადო კრებები და გამოიტანონ დადგენილებები ქელეხების მოსპობის შესახებ.

ყველაზე უფრო ამ საქმეში უნდა იქნეს გამოყენებული სოფლის უღარიბესი გლეხობა.

მოსალოდნელია, რომ სოფლის კულაკური და შეძლებული ელემენტები გაილაშქრებენ ამის წინააღმდეგ, მაგრამ მათ უნდა დაუპირისპირდეს უღარიბესი და საშუალო გლეხობა, რომლის ინტერესში სრულებითად არ შედის სხვის მიბაძულობით თავის ოჯახის და კერის გაჩანაგება.

ბანიძე.

წერილებიდან

ს. ჯვარი, (ზუგდიდის მაზრა)

სამკურნალო წყალი. სქურის ავარაში აღმოჩენილია შესანიშნავი სამკურნალო წყალი.

წყალი გამოდის ბლომად, აქვს მლაშე გემო. ზემო აღნიშნულ ადგილას თავს იყრის ყოველდღიურად 100-დან 200-მდე ავადმყოფი. კერძო პირები უკვე აშენებენ ბინებს. თემ-აღმასკომმა საჭიროდ სცნო წყლის გაგზავნა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში, მისი სამკურნალო მნიშვნელობის გამოსარკვევად.

ხალხი რჩევა-დარიგების მოლოდინშია.

თ. ხარჩილავა.

თიანეთი, (თბილისის მაზრა)

დალუქული აფთიაქი. თიანეთში გვაქვს აფთიაქი, მაგრამ თვე ნახევარი იქნება რაც ის დაკეტილია და დალუქულია. ავადმყოფები მოკლებული არიან საჭირო წამალს, აფთიაქში კი დიდძალი რაოდენობით მოიპოვება.

ამ გარემოებას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. აფთიაქი ძლიერ საჭიროა მით უმეტეს ჩვენს რაიონში, სადაც ხალხს თავი ვერ დაუწყვია ჯერ კიდევ მკითხავებისა და ექიმბაშებისაგან.

საჭიროა აფთიაქში გაიგზავნოს ფარმაცევტი.

ალ. დოლიაშვილი.

ორშაბათს, 12 ივლისს, საღამოს 6 საათზე პლეხანოვის სახელობის თეატრში, ნაძალადევში შესდგება

თბილისის საბჭოს პლენუმი

დღის წესრიგში დგას შემდეგი საკითხები

1. კომუნალური ბანკის მუშაობის შესახებ.
2. ტრამვაის ახალ შეკვეთების შესახებ.
3. ქალაქში ახალ შენობების აშენების საკითხის მოწესრიგების შესახებ
4. მიმდინარე საკითხები.

საბჭოს ყველა წევრთა დასწრება დაუგვიანებლივ სავალდებულოა.

ბ. 1546 პრეზიდიუმი

წითელ ჯარში

საშეფო სოფლის მოწაფეები 1-ლ ლეგიონში

1-ლ ლეგიონს აყვანილი ჰყავს შეფობის ქვეშ სოფ. დიღომი. ამხანაგები ხშირად დაიარებიან სოფლად, აკეთებენ მოხსენებებს, სდგამენ წარმოდგენებს და ეწევიან მუშაობას გლეხობის გასამხედროების დარგში.

სოფელიც არ ივიწყებს თავის ენერგიულ შეფს. ამ დღეებში ყაზარმას ესტუმრნენ დიღომის სასოფლო-სამეურნეო სკოლის მოწაფენი თავიანთ მასწავლებლით.

მოწაფეებმა დაათვალიერეს ყაზარმა, ინახულეს ლენინის კუთხეები, კლუბი, სასროლი კაბინეტი და სხვა საყურადღებო ადგილები. მოწაფეების ყურადღება მიიპყრო სასროლო კაბინეტმა. შეკითხვებზე არმიელები აძლევდენ ახსნა-განმარტებას. კაბინეტში მოწაფ. გაეცნენ ძველ ქართულ იარაღს და ახალ სხვადასხვა სისტემის და ტიპის სასროლ და ცივ იარაღებს.

საერთოდ ყაზარმამ თავისი ცხოვრების და სწავლების პირობებით ძალიან კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მოწაფეებზე.

ბ.

კავშირი სამხედრო კუთხეებთან

(№ ლეგ. მე-5-ე ასეული)

ჩვენი ასეულის მიერ დაარსებულია ქვემო-მაჩხაანის რაიონში სამი სამხედრო კუთხე.

სანამ ვიდექით წერტზე, კუთხეებში ვაწარმოებდით გაცხოველებულ მუშაობას მოსახლეობის გასამხედროებლად.

ლეგიონში წამოსვლის შეკრების ჩასატარებლად, სამხედრო კუთხეები გადაეცა ადგილობრივ პარტ. და კომკავშირის ორგანიზაციებს, მაგრამ კავშირი მათთან მაინც არ გაგვიწყვეტია.

ასეული უგზავნის კუთხეებს სამუშაო გეგმას, ვაწვდით აგრეთვე წიგნებს და სხვა მასალას. კუთხეების ხელმძღვანელებიდან ვღებულობთ წერილებს, რომლებითაც გვატყობინებენ, რომ მუშაობა კუთხეში მიმდინარეობს კარგად, რასაც ხელს უწყობენ შვებულებაში მყოფი არმიელები.

გვაქვს აგრეთვე კუთხეებთან ცოცხალი კავშირი. ჩამოდიან ამხანაგები რჩევა-დარიგებისათვის და ასეული, შეძლებისდაგვარათ, აგზავნის ამხანაგებს საქმის მოსაწესრიგებლად.

ი.

უპარტიო წითელ არმიელთა კონფერენცია

(ქართ. ცხენოსანი ლეგიონი)

უპარტიო წითელ არმიელთა კონფერენცია გახსნა ლეგიონის სამხკომმა, შესავალ სიტყვაში მან აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს კონფერენციას ლეგიონის საქმიანობისათვის და მოუწოდა დამსწრეთ ყურადღებით მოკიდებოდენ ყველა საკითხის განხილვას, რათა ამით ხელი შეეწყოთ ლეგიონის განვითარებისათვის.

კონფერენციის დღის წესრიგში იდგა ერთად მნიშვნელოვანი საკითხები: 1) საერთაშორისო მდგომარეობა, 2) საქართველოს ეკონომიკა, 3) საზამთრო პერიოდის მეცადინეობის შედეგები, 4) საზაფხულო პერიოდის მეცადინეობის პერსპექტივები.

კონფერენციის პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები საერთაშორისო მდგომარეობაზე და საქართველოს ეკონომიკაზე. წითელი არმიელების მხრივ იყო მრავალი შეკითხვა.

კონფერენციის მეორე სხდომაზე გაკეთებულ იქნა მოხსენება განვლილი მუშაობის ირგვლივ, აღნიშნული იქნა ლეგიონის მიღწევები სამეურნეო და პოლიტ-საგანმანათლებლო დარგებში, მითითებული იყო აგრეთვე ზოგიერთი ნაკლულოვანებანზე.

კონფერენციის დასასრულს გამოტანილი რეზოლუცია მოუწოდებს ამხანაგებს გააძლიერონ მუშაობა, რათა ლეგიონში შეიძინონ სოფლისათვის გამოსადეგი ცოდნა და გამოცდილება.

დ. ხ.

რადიო წითელ ჯარში

თანახმად რესპუბლიკათა კავშირის პოლიტიკურ სამმართველოს დადგენილებისა, ჯარის ნაწილებს მიეცათ უფლება იმ თანხებიდან, რომლებიც გაცემულია პოლიტსაგანმანათლებლო საქმისათვის, შეიძინონ სხვადასხვა საჭირო ნივთები და მასალები რადიო-მოყვარულთა უჯრედებისათვის.

ეს დადგენილება ადვილებს ხსენებულ უჯრედების მუშაობას, ვინაიდან თანხების უქონლობის გამო უჯრედებს არა ჰქონდათ შესაძლებლობა ფართოთ ეწარმოებინათ მუშაობა.

ვ—

სამხედრო სასწავლებლები

სამოქალაქო ომის გათავების შემდეგ, როდესაც ფრონტები შემცირდა, ზოგიერთ ქალაქებში გაიხსნა სამხედრო სკოლები მეთაურთა შემადგენლობის მოსამზადებლად.

ეს სკოლები ნაჩქარევად იყვნენ მოწყობილნი, არ იყვნენ უზრუნველყოფილნი არც საჭირო ნივთებით, არც ლექტორთა ძალებით. სწავლების ვადაც ძალიან მოკლე იყო.

თანდათანობით სამხედრო სასწავლებლების საქმე გამოკეთდა და ეხლა ჩვენ გვაქვს მტკიცედ ჩამოყალიბებული სხვადასხვა სახის სასწავლებლები, რომელნიც მოფენილნი არიან საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

არსებობს შემდეგი სახის სასწავლებლები: 1) ერთწლიანი საკომანდო კურსები, 2) ნორმალური სამხედრო სკოლები, 3) საკომანდო შემადგენლობის უმაღლესი სკოლები და 4) სამხედრო აკადემიები.

აღნიშნული სკოლები იყოფება ერთი რომელიმე სახის იარაღის მატარებელ ჯარებისათვის: არის საარტილერიო, ცხენოსანთა, მსროლელთა და ქვეითა ჯარის სკოლები. არის აგრეთვე გაერთიანებული სკოლები, მაგ. ქართული გაერთიანებული სკოლა, სადაც არის ჯარის ყველა სახის განყოფილება. ამ სკოლებში მეცადინეობენ ჯარისათვის გაწვრთნილი ხელმძღვანელნი, რომლებიც ჩაუდგებიან სათავეში წითელ-არმიელთა საბრძოლო მომზადების საქმეს.

მაგრამ წითელ ჯარს სჭირია პოლიტიკური აღმზრდელებიც, რომლებიც გაწვრთნიან წითელ-არმიელს პოლიტიკურად და მისცემენ მას ამ დარგში საჭირო ცოდნას.

ამათთვის დაარსებულია სამხედრო პოლიტიკური სკოლები და აკადემია.

ყველა აღნიშნულ სასწავლებლებში თავმოყრილია მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი.

ამ სასწავლებლების გარდა, ყოველ ლეგიონში არსებობენ უმცროს მეთაურთა სკოლები, რომლებიც ამზადებენ წითელ არმიელებიდან უმცროს მეთაურებს.

აღნიშნულ სკოლებში შესვლის უფლება აქვს ყველა წითელ-არმიელს და მეთაურს, რომელიც სწავლის და განვითარების მხრივ აკმაყოფილებს განსაზღვრულ პროგრამის მოთხოვნილებას.

ი—ძე

საბანაკო ცხოვრება

მე-2-ე ლეგიონი

ლეგიონი ბანაკად უკვე შეუდგა სასროლო საქმის პრაქტიკულად შესწავლას. ასეულები ყოველდღე მიემგზავრებიან დანიშნულ ადგილებისაკენ, სადაც მოწყობილია სასროლო ნიშნები.

წითელ-არმიელნი გულმოდგინეთ ეპყრობიან საქმეს, სცდილობენ ტყუილ უბრალოდ არ დახარჯონ ვაზნები.

მეთაურნი ადევნებენ თვალ-ყურს და გვიხსნიან სროლის წესებს.

სროლის საქმის პირველ ცდებმა კარგი შედეგი მოგვცა. იმედია, რომ შემდეგისთვის უფრო გავიწვრთნებით და სროლის საქმეს ჩინებულად შევისწავლით.

მე-3-ე ლეგიონი

ლენინის კუთხეები ყველა ასეულებში გვაქვს მოწყობილი; ლიტერატურა საკმაოდ მოგვეპოვება. საწრეო მუშაობა რეგულიარულად მიმდინარეობს. კედლის გაზეთები გამოდის ყველა ასეულში. გაზეთებში თანამშრომლობენ მეტ წილად წითელ-არმიელნი. მხოლოდ საკლუბო მუშაობა ჯერ-ჯერობით ვერ მოვაგვარეთ შენობის უქონლობის გამო.

სამხედრო საქმეში უმთავრესი ყურადღება ექცევა ტაქტიკურ მოქმედებას და სროლის საქმეს. წითელი არმიელები ეჩვევიან ადგილმდებარეობასთან შეხამებას, ბუნებრივ და ხელოვნურ სანგრების გამოყენებას, რისთვისაც დრო გამოშვებით ეწყობა პატარა მანევრები.

ზ.

მეცნიერება და ტექნიკა

ნავთი

საკითხი, თუ როგორ წარმოსდგა ნავთი ჯერ კიდევ დავას იწვევს მეცნიერთა წრეებში. არსებობს ორი შეხედულება. ერთი ფიქრობს: დახოცილი ცხოველები მოექცენ დედამიწის ქვეშ, აქ სიმხურვალის და მძლავრი სიმძიმის ზეგავლენით ცხოველთა ქონი ნავთათ იქცაო. ამ თეორიას დღეს უმრავლესობა იზიარებს. მეორე ფიქრობს—ნავთი წარმოსდგა კარბიდებიდან. კარბიდები ქვია ლითონების ნახშირთან შეერთებას. უმრავლესობას გაგონილი ექნება სიტყვა კარბიდი. ეს არის შეერთება კალციუმის და ნახშირის. კეთდება კირიდან და ნახშირიდან. არსებობს კარბიდი რკინის, ალუმინიუმის და სხ. კალციუმის კარბიდს რომ წყალი გადაასხათ, ჰაერის მსგავს ნივთიერებას—აცეტილენს მივიღებთ. უკანასკნელი დაწვის დროს მძლავრ სითბოს და კარგ სინათლეს იძლევა. აცეტილენი არის შეერთება ნახშირის და წყალბადის. ის რომ წყალბადს შეურიოთ და გახურებულ ლითონზე გადაატაროთ, ნავთის მსგავს სითხეს მივიღებთ. ალუმინიუმის კარბიდს რომ წყალი გადაასხათ, ე. წ. მეტანს მივიღებთ. ესეც ჰაერის მსგავსი ნახშირის და წყალბადის შეერთებაა. მისი ქიმიური და ფიზიკალური თვისებები დიდათ განსხვავდება აცეტილენისაგან. დედამიწიდან სხვადასხვა ქვეყნებში ხშირათ ამოდის ხოლმე მეტანის გაზი. ბაქოს მუდმივი ცეცხლი იმიტომ გაჩნდა, რომ დედამიწიდან მომდინარე მეტანს ოდესღაც ცეცხლი წაეკიდება. ამერიკაში დედამიწის ბუნებრივ გაზზე (მეტანზე) დამყარებულია მრეწველობის მოზრდილი ნაწილი.

როგორც ვხედავთ, მეორე თვალსაზრისაც თავის საფუძველი აქვს. ყოველ შემთხვევაში აღვნიშნოთ, რომ ნავთის შემადგენლობა სხვადასხვაგვარია. ბაქოს ნავთი მაგალითად დიდათ განსხვავდება ამერიკის ნავთისაგან. საერთოდ კი შეიძლება ითქვას, რომ არსად არ მოიპოვება ისეთი ნავთი, რომელიც ქიმიურათ ერთი სახის ნივთიერებას წარმოადგენდეს. ის ყოველთვის და ყოველგან ნახშირის და წყალბადის შეერთებას წარმოადგენს, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებული ნახშირის და წყალბადის რაოდენობა სხვადასხვაა. რამდენათ მეტია ხსენებული ელემენტების რაოდენობა, იმდენათ მაღალი ტემპერატურა არის საჭირო, რომ ნავთმა დუღილი დაიწყოს.

ამ თვისებაზე დამყარებული ნავთის გადამუშავება. მას გამოხდის საშუალებით ყოფენ, ანაწილებენ. პრინციპიალურათ ნავთის გამოხდა წააგავს სპირტის გამოხდას. როგორც სპირტი (დუღს 80 გრადუსის სითბოში) შეგვიძლია გამოვყოთ წყლისაგან (100 გრადუსი), ისე შესაძლებელია ბენზინი გამოვყოთ ჩვეულებრივ სანთათ ხმარებულ „ნავთისაგან".

გამოხდის დროს ნავთს ანაწილებენ ოთხ ჯგუფათ. იმ ნაწილს, რომელიც დაახლოვებით სამოცდაათ გრადუსამდე იხდება, ეძახიან ნავთის ეთერს. მეორე ნაწილს (იხდება 70—120 გრადუსამდე) ბენზინს. ის, რასაც ჩვეულებრივათ ჩვენ ნავთს ვეძახით, იხდება 120—300 გრადუსამდე 300 გრადუს ზემოთ რჩება სქელი სითხე. აქედან მზადდება (ნავთის ხარისხის მიხედვით) ვაზელინი პარაფინი, მანქანების ზეთი, მაზუთის კუპრი და სხ.

ნავთის გამოხდა ხდება უზარმაზარ ქვაბებში. მისგან ახურებენ ორთქლით, რომელიც მილების საშუალებით მიმდინარეობს გამოსახდელ აპარატებისაკენ. პირდაპირი ცეცხლი რა თქმა უნდა საშიშოთაა.

გამოხდილ ნავთს კიდევ გაწმენდა ესაჭიროება. ამისათვის ხმარობენ ჯერ გოგირდის მჟავს, შემდეგ ტუტეს. გოგირდის მჟავა სწვავს ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც ნავთს ამა თუ იმ ფერს აძლევენ. შემდეგ ტუტე აცილებს ნავთს ზედმეტ გოგირდის მჟავს. ტუტის შემდეგ ნავთი წყალით უნდა გაირეცხოს, გარეცხილი ნავთი უნდა მოთავსდეს ისეთ ჭურჭელში, რომლის ძირი თანდათან ვიწროვდება. ნავთი უფრო მსუბუქია ვიდრე წყალი. ამავე დროს ის წყალში არ იხსნება ან უკეთ რომ ვსთქვათ ნავთი წყალს არ ირევს. ამიტომ ნავთი ზემოთ მოიყრის თავს, წყალი კი ქვემოთ. მათი ერთმანეთიდან განცალკევება ამიტომ ადვილია. სპირტს და წყალს მაგალითად ამ გზით ვერ გამოვყოფთ ერთმანეთისაგან, რადგან სპირტი წყალში იხსნება.

ამ რიგათ გარეცხილი და გაწმენდილი ნავთი გამოდის ბაზარზე გასაყიდათ. მას არ უნდა ერიოს ისეთი ნაწილები, რომლებიც გაზათ ქცეული ჰაერში გაერევიან. ასეთი მოვლენა ცეცხლის გაჩენის საშიშროებას ქმნის. გამოსაცდელათ ხმარობენ აპარატს, რომელშიაც ნავთს ასხამენ. მას 30 გრადუსამდე ათბობენ. აპარატს ზემოთ მოგრძო მილი აქვს. თუ ნავთში გაზი ურევია ან ისეთი ნაწილები, რომლებიც 30 გრადუსის სითბოში დუღილს იწყებენ, მილის თავზე ანთებული წუმწუმა ცეცხლს გააჩენს. ამ შემთხვევაში ნავთი უვარგისია. მეორეს მხრივ ნავთს არ უნდა ერიოს ისეთი ნაწილები, რომლებიც განსაზღვრულ ტემპერატურაზე მაღლა სდუღან. ვთქვათ მყიდველმა დაუდო გამყიდველს პირობა, რომ ნავთს არ უნდა ერიოს ნაწილი, რომელიც 250 გრადუსზე მაღლა სდუღს. ამ შემთხვევაში გამოსაცდელათ იღებენ ვთქვათ მეოთხედ გირვანქა ნავთს ასხამენ პატარა მრგვალ შუშაში და ნელნელა ათბობენ. ვთქვათ ნავთმა დაიწყო დუღილი 100 გრადუსის სითბოში. ტემპერატურა ნელ ნელა მატულობს 250 გრადუსამდე. შემდეგ სითბო აღარ უნდა მატულობდეს. ნავთი სდუღს, სანამ ჭურჭელი არ ამოშრება. თუ დუღილი შეჩერდა და ჭურჭელში დარჩა ნაწილი, რომელიც არ სდუღს, ნავთი უვარგისათ უნდა ჩაითვალოს.

მაღალ ტემპერატურის სითბოში ადუღებული ნაწილი იმიტომ არის საშიში, რომ ის დაწვას ვერ ასწრებს და ნაწილობრივ ნახშირათ იქცევა. ყველამ კარგათ იცის, რომ თუ ასანთში ალს აუწიეთ, შუშა გაჭუჭყიანდება და ხშირათ ბინას ჭვარტლი მოედება. ნავთმა ვერ მოასწრო დაწვა და ნაწილი ნახშირად იქცა, ესევე ხდება მანქანებშიაც. თუ ნავთმა სავსებით დაწვა ვერ მოასწრო, ნახშირათ ქცეული ნაწილით იტენება მოტორი და მანქანა ადვილათ ფუჭდება. ამიტომ არის მაგალითად ავტომობილისათვის ბენზინი საუკეთესო ენერგიის წყარო.

ბენზინს გარდა მანქანებისა ხმარობენ კიდევ ზეთის და ქონის გასახსნელათ. მაგალითად დაჭუჭყულ სრიას რომ ბენზინი დაასხათ და ერთხანს ვადუღოთ, შემდეგ გავწუროთ და ბენზინი სავსებით ამოვაშროთ, დაგვრჩება ზეთი. საერთოდ ქონის და ზეთის მისაღებათ დიდძალი ბენზინი იხარჯება. მას ხმარობენ აგრეთვე ქონით გაჭუჭყიანებულ ტანთსაცმელის გასარეცხათ. (წყალი არ ირევს ქონს. ამიტომ ის ჭუჭყიანს ვერ ამორეცხავს).

ნავთის წარმოება სწრაფათ იზრდება. 1912 წელში ნავთის მსოფლიო წარმოება უდრიდა 47 მილიონ ტონას (1 ტონა უდრის 61 ფუთს). 1920 წელში კი 90 მილიონ ტონას. აქედან ამერიკამ დაამზადა 1910 წ. 27 მილიონი ტონა, 1920 წ. კი 57 მილიონი ტონა.

ნავთის წარმოებასთან მჭიდროთ არის დაკავშირებული ვაზელინის, პარაფინის და მანქანების ზეთის წარმოება. მანქანების ზეთს ყველა ხარისხის ნავთი იძლევა. ვაზელინს და პარაფინს კი უმთავრესათ ამერიკის ნავთი. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი 300 გრადუსამდე გამოხდილ ნავთის რჩება სქელი სითხე. აქედან მზადდება აღნიშნული პროდუქტები. ამ სქელი სითხის გამოხდა თითქმის შეუძლებელია. გახურების დროს ის ნაწილობრივ იწვის და იშლება.

მანქანების ზეთის აქედან გაკეთება არ არის ძნელი, სამაგიეროთ ვაზელინის და პარაფინის წარმოება შედარებით ძნელია. საქმე იმაშია, რომ გამოხდის შემდეგ დარჩენილი მასსა კუპრის მსგავსია. სითბოში გამდნარ მასსას ფილტრებში სწურავენ. ფილტრებში ათავსებენ დაფქვილ ძვლის ნახშირს. ეს ნახშირი ისრუტავს იმ ნივთიერებებს, რომლებიც ვაზელინს ფერს აძლევენ. გაწურვა რამოდენიმეჯერ მეორდება. მიუხედავათ ამისა სავსებით უფერული ვაზელინის მიღება ხშირათ არ ხერხდება.

პარაფინის მისაღებათ იმავე მასას ათბობენ განსაზღვრულ ტემპერატურამდე. შემდეგ პრესების საშუალებით სწურავენ. მაგარი ნაწილი, რომელიც პრესებზე რჩება; რამოდენიმეჯერ დაფქულ ნახშირში არეული, გადამდნარი და რამოდენიმეჯერ გაწურული უნდა იქნას. ამ გზით პარაფინს ვღებულობთ. მის გასაწმენდათ ხშირათ გოგირდის მჟავსაც ხმარობენ. პარაფინს გარდა სანთლებისა, წუნწუმის წარმოებაშიაც ხმარობენ. პარაფინი მადნის სახითაც მოიპოვება ხოლმე. მას ოლოკერიტს ეძახიან. ბუნებრივ ოლოკერიტსაც იგივე გადამუშავება ესაჭიროება, როგორც ნავთის გამოხდის შემდეგ დარჩენილ მასას. პარაფინს უკანასკნელ ხანებში ნახშირიდანაც აკეთებენ.

სცდილობენ ნავთის კუპრი დაუდონ საფუძვლათ მძლავრ საღებავების და მედიკამენტების წარმოებას. ე. ი. იგი ნავთმა ქვა ნახშირის როლი უნდა ითამაშოს. ჯერ-ჯერობით ეს არ ხერხდება აგრეთვე პარაფინის საპნათ გადამუშავება, თუმცა ტეხნიკური ქიმია ბევრ დროს ხარჯავს ამისათვის. მომავალში უკანასკნელი საკითხი დადებითად გადაწყდება.

ალ. დევდარიანი.

უკუდო აეროპლანი

ინგლისის ავიაციის ახალი გამოგონებაა—გილის აეროპლანი, რომელსაც კუდის ნაწილი არა აქვს. პროპელერი (საჰაერო ხრახნილი) მოთავსებულია მფრინავისა და მგზავრების საჯდომ ოთახის უკან. ჩვეულებრივ აეროპლანებზეა პროპელერი თითქო მიათრევს აეროპლანს, გილის აეროპლანზე კი—ბიძგავს წინ. ამ აეროპლანს ის უპირატესობა აქვს, რომ ძლიერ მსუბუქია, საათში შეუძლია 105 ვერსის გავლა.



მეცნიერება სოფლის მეურნეობის სამსახურში

მიწის განოყიერების მნიშვნელობა

მიწის ხელოვნურ გასანოყიერებელ ნივთიერებათა სარგებლიანობა თანდათანობით ნათელი ხდება საბჭოთა კავშირის სოფლის მოსახლეობისათვის. ცდები ხელოვნურ მინერალურ სასუქებით, რომლებსაც აწარმოებენ, როგორც თვით სოფლის მეურნენი, ისე აგრონომები გლეხების მიწებზე, აშკარათ ამტკიცებენ, რომ „გასანოყიერებელი ფხვნილი" თავის გართობა როდია, არამედ სერიოზული საქმე.

ამიტომ საჭიროა, რათა „გასანოყიერებელ ფხვნილებს" (ხელოვნურ მინერალურ მიწის სასუქ ნივთიერებათ) ახლო გაეცნოს გლეხთა მოსახლეობა.

თუ თვალს გადავავლებთ საბჭოთა კავშირის ნიადაგის რუქას, დავინახავთ, რომ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში, სხვადასხვა ნიადაგია. ერთ რაიონში ნიადაგი მშრალია, მეორეში სველი, ერთგან სილიანი, მეორე ადგილას—თიხიანი, მესამე ადგილას ნოყიერი, მეოთხე ადგილას კიდევ—გამოფიტული და სხვ. ზოგან ნიადაგი მდიდარია მცენარეულობისათვის საჭირო ნივთიერებებით და კარგ მოსავალს იძლევა, მეორე ადგილას—მიწა მწირია და მოსავალი იმდენათ მცირეა, რომ დათესილი ხორბლის ანაზღაურებაც არ ხერხდება.

ყველამ იცის, რომ მცენარე ზრდისათვის საჭიროებს სინათლეს, სითბოს, სინოყივრეს და საკვებს საკმაო რაოდენობით. მცენარე საჭმელს პოულობს ფესვებით ნიადაგიდან. გერმანელ მეცნიერის **ლიბიხის** და მისი მიმდევრების შრომების წყალობით ახლა უკვე გამორკვეულია, თუ რითი იკვებება მცენარე და რა მოთხოვნილებებს უყენებს იგი ნიადაგს.

რა ელემენტებია (უმარტივესი სხეულები) საჭირო მცენარისათვის და რა სახით მიმღებლობს მათ მცენარე?

მცენარეულობა უმთავრესად ორი ნაწილისაგან შესდგება: 1) ორგანიული ნაწილისაგან, რომელიც შეიძლება დაიწვას და 2) მინერალურისაგან, რომლის დაწვა არ შეიძლება. მცენარეულობის დაწვის დროს, დამწვარი ნაწილი გაზისებურ სხეულათ იქცევა და იფანტება, დაუწვავი ნაწილი კი რჩება ნაცრის სახით. ეს დარჩენილი ნაწილი ასრულებს მიწის სასუქის როლს. მცენარის გაზათ ქცეული ნაწილი უმთავრესად წყალბადის, ნახშირბადის, მჟავბადის და აზოტის შენაერთებისგან შესდგება. ამავე მარტივ სხეულებიდან შესდგება, უმთავრესად, მცენარის ორგანიზმი (მარცვალი, ნაყოფი, ყვავილი). მაგრამ მიუხედავათ ამისა, მცენარეულობაში სწორეთ ეს ნაწილი, მათი, ასე ვსთქვათ, საჰაერო საკვები, არ წარმოადგენს სოფლის მეურნისათვის ისეთ ინტერესს, როგორც უმნიშვნელო ნაწილი იმ არაორგანიულ მინერალურ შენაერთების, რომლებიც შედიან მცენარის ნაცარში. ჰაერი, რომლითაც სუნთქავს მცენარე, ისეთი მდიდარია აღნიშნულ უმარტივესი სხეულებით და სოფლის მეურნეს არ ესაჭიროება ზრუნვა მათზე, რადგან ყველა კულტურულ მცენარეს საკმაო მარაგი მოეპოვება მათი, გარდა აზოტისა, რომელსაც მცენარე ნიადაგიდან იღებს. თავის ნაცრიან ნაწილებს მცენარე ფესვების საშუალებით შეიწოვს მხოლოდ ნიადაგიდან. ისინი კი ზოგჯერ მცირე რაოდენობით მოიპოვებიან მიწაში. მაშ რა ძვირფას მასალას წარმოადგენს მცენარეულობის ნაცარი და რატომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მას სოფლის მეურნემ?

მცენარეულობათა ნაცარი შეიცავს სხვადასხვა ნივთიერებათ, რომლებიც მცირე თუ მეტის რაოდენობით მოიპოვებიან ყველა ნიადაგში. ეს ნივთიერებანი წარმოადგენენ უმარტივესი სხეულების, ანუ როგორც მათ ქიმიაში უწოდებენ,—ელემენტების შენაერთებს, რიცხვით 14-ს. ეს ელემენტებია: **ლითონები** 1) ნატრიუმი, 2) კალციუმი, 3) მაგნიუმი, 4) რკინა, 5) მარგანეცი; **არალითონები**—1) ნახშირბადი, 2) მჟავბადი, 3) ფოსფორი, 4) გოგირდი, 5) ქლორი, 6) კრემნიუმი, 7) წყალბადი და 8) აზოტი, თუმცა ორი უკანასკნელი არ მოიპოვება ნაცარში. ამ ნივთიერებათაგან ყველანი თანაბრად მნიშვნელოვანი არ არიან, მაგრამ ყველანი საჭირონი არიან. ისინი წარმოადგენენ მასალას, რომლიდანაც შესდგება მცენარის საკვები. ამ საჭმელს მცენარე შეიწოვს არა ელემენტების, ე. ი. მარტივი სხეულების, არამედ შენაერთების, ე. ი. რთული სხეულების სახით. ასე მაგალითად ნახშირბადი მცენარეებში შედის ფურცლების საშუალებით ნახშირმჟავას სახით; აზოტს, ფოსფორს და დანარჩენ ელემენტებს მცენარე შეიწოვს ნიადაგიდან სხვადასხვა რთული სხეულების სახით, რომლებიც იშლებიან წყალში ან სუსტ სიმჟავეებში. მაშასადამე ყველა საკვებ ნივთიერებათ მცენარე ღებულობს ან გაზისებური სახით ჰაერიდან, ფურცლების საშუალებით (მაგ. ნახშირმჟავა), ან და ხსნილების სახით, ნიადაგიდან, ფესვების ბუსუსების საშუალებით ფოსფორი, კალიუმი და სხვ.).

რაც შეეხება რაოდენობას, რომლითაც მცენარეულობაში მოიპოვება სხვადასხვა ნივთიერებანი, ყველაზე მეტია მასში ნახშირბადი—40—45% მცენარეულობის მშრალი წონისა. სულ ორგანიულ ნივთიერებათა რაოდენობა გამომშრალ მცენარეებში შეადგენს 95% და მხოლოდ 5% მოდის მინერალურ ნივთიერებებზე.

ორგანიული ნივთიერებანი თუმცა ხშირად დიდის რაოდენობით მოიპოვებიან ნიადაგში, მაგრამ მცენარის უშუალო კვებაში მონაწილეობას არ იღებენ; მცენარის ფესვები ისეა მოწყობილი, რომ ისინი შეგუებული არ არიან ორგანიულ ნივთიერებათა შესაწოვათ ნიადაგიდან. მცენარე თვით ამზადებს მათ წყალიდან; ნახშირმჟავიდან და სხვა სხეულებიდან. მინერალურ ნივთიერებათ კი მცენარის ფესვები შეიწოვს ხსნილის სახით.

გავეცნოთ ახლა მთავარ ელემენტებს, რომლებიც შედიან ნიადაგის შემადგენლობაში და განსაკუთრებით იმათ, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მცენარის კვებისათვის.

1) კალიუმი, როგორც რკინა, არის ლითონი, მაგრამ იმდენათ მსუბუქი, რომ იჭრება დანით. წმინდა სახით იგი არ მოიპოვება. უკალიუმოთ მცენარეებს არსებობა არ შეუძლიათ. კალიუმი ყველა ნიადაგში მოიპოვება, მაგრამ უმთავრესად ისეთ შენაერთებშია გარეული, რომ არ იხსნება და ამიტომ მცენარე ვერ იყენებს მას. მეურნეს მოსავალის გასადიდებლათ უხდება ნიადაგში ისეთი ნივთიერების შერევა, რომელიც კალიუმს შეიცავს და ადვილათ იშლება ნიადაგში.

2) ფოსფორი მოყვითალო ფერის ნივთიერებაა, ძლიერ რბილია და წყალში არ იშლება. ფოსფორი მოიპოვება მხოლოდ სხვა ელემენტებთან შენაერთის სახით. ფოსფორი სხვა ელემენტებთან შენაერთის სახით. მოიპოვება ყველა ნიადაგში, მაგრამ ძლიერ მცირე რაოდენობით ჩვეულებრივათ ¼% ნაკლები), მცენარისათვის აუცილებელ საკვებ ნივთიერებას წარმოადგენს. სოფლის მეურნეს ხშირათ უხდება ნიადაგის განოყიერება სხვადასხვა ნივთიერებით, რომლებიც ფოსფორს შეიცავენ.

3) აზოტი შედის ჰაერის შემადგენლობაში და იმყოფება მასში გაზისებურ მდგომარეობაში ისე, როგორც მჟავბადი. მისი დანახვა თვალით არ შეიძლება. ჰაერში იგი მოცულობით 4-ჯერ მეტი მოიპოვება, ვიდრე მჟავბადი. ნიადაგში აზოტი ხვდება ნალექების (წვიმა, თოვლი) საშუალებით. გარდა ამისა ზოგიერთი მცენარეების ძირში ცხოვრობენ განსაკუთრებული არსებანი (ბაქტერიები), რომლებიც აზოტს აგროვებენ და შემდეგ აწვდიან მცენარეს.

ნიადაგში აზოტი მცირე რაოდენობით მოიპოვება.

4) კალციუმი არის ლითონი, რომელიც სხვა ელემენტებთან, უმთავრესად ნახშირმჟავასთან შენაერთის სახით მოიპოვება. კალციუმი აუცილებელია მცენარისათვის.

ყველა მცენარეულობანი წესიერი განვითარებისა და კარგი მოსავალის მოსაცემათ საჭიროებენ, რომ ნიადაგში საკმაო რაოდენობით მოიპოვებოდეს აღნიშნული მინერალური ნივთიერებანი, რომლებიც, სანამ მათ მცენარე შეიწოვდეს, უნდა დაიშალონ ნიადაგში; სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, მცენარე ნიადაგიდან შეიწოვს მხოლოდ იმ მინერალურ ნივთიერებათ, რომლებიც ნიადაგში დაიშლებიან.

ყოველწლიურად მოსავალის აღება ფიტავს მინდვრებს, ართმევს მათ მცენარისათვის საჭირო ნივთიერებებს და საჭირო ხდება დანაკლისის შევსება, დაბრუნება ნიადაგში იმის, რაც მთელ რიგ წლების განმავლობაში მიჰქონდათ მცენარეებს.

ამისათვის შემოღებულია მიწის განოყიერება. განსაზღვრულ რაოდენობის მოსავალის მისაღებათ საჭიროა, რომ მცენარემ იშოვოს ნიადაგი ნაყოფის შესაქმნელათ საჭირო საკვები ნივთიერებანი და თუ ნიადაგში ერთი რომელიმე ასეთი ნივთიერება საკმაო რაოდენობით არ აღმოჩნდება, შესაფერ მოსავალს ვერ მივიღებთ.

მიწის გასანოყიერებელი ნივთიერებანი ორგვარია: ბუნებრივი და ხელოვნური. იმ სასუქ ნივთიერებათ, რომლებიც უშუალოდ მეურნეობაში მზადდება (ნაკელი, ნაცარი, შლამი, დამპალი საგნები და სხვ.), ეწოდება ბუნებრივი სასუქი. იმ სასუქ ნივთიერებათ კი, რომლებიც ფაბ.-ქარხ. მზადდება, ეწოდება ხელოვნური. ასეთებია: სუპერფოსფატი, კალიუმის მარილები, ჩილის სილიტრა, გოგირდ-მჟავა, ამმონიუმი და სხვ. მცენარის კვებაზე ზეგავლენის ხარისხის მხრივ მიწის სასუქები არიან—პირდაპირი და არაპირდაპირი; საკვებ ნივთიერებათა რაოდენობის მხრივ პირდაპირი სასუქები არიან—სრული და არასრული.

ნიადაგს უმთავრესად ნაკელით ანოყიერებენ. როგორც სასუქ მასალას, ნაკელს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი უბრუნებს მიწას იმ ნივთიერებათ, რომლებიც შეიწოვეს თივამ, ჩალამ, ხორბლეულმა და სხვ. ნაკელი აგრეთვე აუმჯობესებს ნიადაგს. მაგრამ ხშირათ ნაკელი არ არის საკმაო დიდი მოსავლის მისაღებათ. ნაკელში შესაფერი რაოდენობით არ არის განაწილებული მცენარეობისათვის საჭირო საკვები ნივთიერებანი: ზოგი მეტის, ზოგი კი ნაკლების რაოდენობით მოიპოვება.

ხელოვნური სასუქის გამოყენება მიზნათ ისახავს არა მარტო ბრძოლას მოსავლიანობის შემცირებასთან (ნიადაგის გამოფიტვის გამო), არამედ ხელის შეწყობას მოსავალის გადიდებისათვის.

როგორც ზევით გავეცანით, მთავარ საკვებ ნივთიერებათ, რომლებზედაც პირველ რიგში უნდა მიექცეს ყურადღება ნიადაგის განოყიერების დროს, წარმოადგენენ: 1) აზოტი, 2) კალიუმი, ფოსფორი და 4) კირი.

ამისდა მიხედვით მიწის ხელოვნური სასუქები იყოფა ოთხ ჯგუფათ: 1) აზოტიანები, 2) ფოსფორმჟავიანები, 3) კალიუმიანები და 4) კირიანები.

პ. რ.

ბოთლების სარეცხი მანქანა

დიდი ქალაქების მომარაგება რძით, მოითხოვს არა მარტო იმას, რომ რძის ტრანსპორტი განუწყვეტლივ და წესიერად მუშაობდეს, არამედ აგრეთვე იმასაც, რომ რძის ბოთლები ჩქარა ირეცხებოდეს და იწმინდებოდეს. ძლიერ დიდი ხნის განმავლობაში ბოთლებს ხელით რეცხდენ და ასუფთავებდენ, რაც ბევრ დროს მოითხოვდა და თანაც ძვირი ჯდებოდა. გარდა ამისა, ბოთლების ხელით რეცხის დროს საჭირო იყო წმინდა ბოთლების დიდი მარაგი, რადგან მთელი დღის განმავლობაში ნახმარი აურაცხელი ბოთლების გარეცხა და გასუფთავება მოკლე დროის განმავლობაში სრულიად შეუძლებელი იყო.

ამან გამოიწვია ის, რომ ბოთლების სარეცხად შემოღებული იქნა სპეციალური მანქანა, რომლის შრომის ნაყოფიერება ამჟამად იმდენათ გაიზარდა, რომ აქვე სურათზე ნაჩვენები უზარმაზარი მანქანა დღეში რეცხს და დეზინფექციას უშვება 250.000 ბოთლს. მანქანის მუშაობა სწარმოებს შემდეგნაირათ:

ბოთლი იდება ბუდეში. ეს ბუდეები მოთავსებულია სპეციალურ უსასრულო ლენტზე, რომელიც მოძრაობს და ბოთლებს მანქანაში ატარებს. ბოთლები მოძრაობენ ქვევიდან ზევით. პირველად ისინი ხვდებიან დიდ ქვაბში, სადაც მათში წყალი ევლება; შემდეგ—მეორე ქვაბში, სადაც ისინი ცხელ წყალში ხვდებიან; შემდეგ ბოთლები გადადიან სხვა ქვაბებში, სადაც ივსებიან სოდიანი წყალით და საბოლოოთ იწმინდებიან რძის ნარჩენისაგან. ამის შემდეგ ბოთლები ირეცხება წმინდა წყლით და შრება.



მანქანას ესაჭიროება ორი კაცი: ერთი ბოთლების ჩასადებათ ბუდეებში და მეორე—გარეცხილი ბოთლების მისაღებათ. დანარჩენი მუშაობა—მექანიკურად სწარმოებს.

ნიუ-იორკის ერთ-ერთ დაწესებულებაში დადგმულია 4 ასეთი მანქანა და დღეში ერთი მილიონი ბოთლი ირეცხება.

ახალი უდიდესი დირიჟაბლი

ამერიკაში, ცეპპელინის ფირმის ყოფილი ინჟინერების ზედამხედველობით, ამჟამად შენდება ახალი დირიჟაბლი, რომელიც როგორც სიდიდით, ისე თავისი სისწრაფით აჯობებს ყველა დღემდი არსებულ საჰაერო ხომალდებს.

ახალი საჰაერო ხომალდი დაიტევს 200.000 კუბ. მეტრ გაზს. დირიჟაბლი „შენანდოა", რომელიც (შარშან დაიღუპა) დღემდი უდიდეს საჰაერო ხომალდათ ითვლებოდა, მხოლოდ 59.000 კუბ. მეტრ გაზს იტევდა. თავისი სიდიდის წყალობით დირიჟაბლს შეუძლია წაიღოს 10.000 კილომეტრის გადასაფრენათ საკმაო საწვავი მასალა. 8 მამოძრავებელი, რომელთა საერთო სიმძლავრე 4.800 ცხენის ძალას უდრის, საშუალებას მისცემს დირიჟაბლს საათში 160 კილომეტრი გაიაროს.



ზევით: ახალი დირიჟაბლი.

ქვევით: დირიჟაბლი „შენანდოა", რომელიც დღევდი უდიდეს საჰაერო ხომალდათ ითვლებოდა.

ამრიგად ეს ხომალდი ერთი კვირის განმავლობაში შესძლებს ამერიკიდან ევროპაში გადაფრენას და უკან დაბრუნებას.

ამ საჰაერო ხომალდის სიდიდის შესადარებლათ უკვე აგებულ დირიჟაბლებთან, საკმაოა გავიხსენოთ, რომ დირიჟაბლი „ნორვეგია", რომლითაც ამუნდსენი გადაფრინდა ჩრდილოეთ პოლიუსზე, იტევს მხოლოდ 18.500 კუბ. მეტრ გაზს, მისი 3 მამოძრავებელის სიმძლავრე უდრის სულ 720 ცხენის ძალას „ნორვეგიის" ფრენის სისწრაფე უდრის 100 კილომეტრს საათში.

„ნორვეგია"-ს სიგრძე უდრის 106 მეტრს, „შენანდოა"-სი—204 მეტრს, ახალი ცეპპელინის სიგრძე კი იქნება 258 მეტრი (ერთ მეოთხედ ვერსზე მეტი).

ინგლისის უდიდესი დირიჟაბლები მხოლოდ 140.000 კუბ. მეტრ გაზს იტევენ.

ავტომობილი ნავი

უცხოეთში ამჟამად ძლიერ გავრცელებულია მოტორიანი ნავები, რომლებიც ერთნაირად გამოსადეგი არიან როგორც ხმელეთზე, ისე წყალში.

სურათზე ნაჩვენებია ერთი ასეთი ნავი, რომელიც ზღვაში მოგზაურობიდან ბრუნდება და ნაპირზე ამოსვლის შემდეგ ავტომობილივით მოძრაობს.

მუშათა ცხოვრება

მუშები გაზეთებს ნაღდზე გამოიწერენ

ჩვენ, მუშები ძველად მუდამ ვეხმარებოდით ჩვენ რევოლიუც. გაზეთებს როგორც მორალურად, აგრეთვე მატერიალურადაც რადგანაც იგი ჩვენი მუშების ინტერესებს ემსახურებოდა. რათა არც ერთი დღე არ შეჩერებულიყო ჩვენი გაზეთი იმისთვის განუწყვეტლივ ვეხმარებოდით მას. ხშირი იყო გაზეთისათვის ხელისმოწერის გამართვა და სხვა.

დღეს კი დახმარებას მატერიალურათ ჩვენი რედაქციები არ გვავალებენ. ჩვენ მხოლოდ ამხანაგურად გვიხსნიან თავიანთ მდგომარეობას და გვეუბნებიან რომ ნისიის მაგივრად გაზეთი ნაღდზედ გამოვიწეროთ. დღეს ჩვენ პრესას დიდი მოვალეობა აწევს და აუარებელი საჭირბოროტო და ყოველდღიური საკითხები აქვს გასაშუქებელი. მათთვის ჩვენი დახმარება ის იქნება, რომ გავავრცელოთ გაზეთები და ნაღდზედ გამოვიწეროთ ისინი. ჩვენ კი, პირიქით, დავალიანებულნი ვართ 80 ათასი მანეთით. ეს 80 ათასი მანეთი გვმართებს ახი ათასზედ მეტს ხელის მომწერთ. ნათქვამია,—„ერთი კაცი კი ქვეყანას ვერ ააშენებს, მაგრამ ქვეყანაკი ერთს დიდს საქმეს გააკეთებსო". თურმე ჩვენი გაზეთების ამ გაჭირვებიდან გამოყვანა დამოკიდებულია იმ აბაზებზედ, რომელიც ჩვენ გვმართებს. ეს კი ჩვენი დიდი დაუდევრობაა და პირველ აგვისტოდან უსათუოდ უნდა ნაღდზედ გამოვიწეროთ გაზეთი. ამას მოითხოვს უბრალო რიგიანობა.

ეხლა საკითხი მოდი ასე დავსვათ: თვეში სამი და ოთხი აბაზის კრედიტით ჩვენ მუშებს გვიუმჯობესდება რამე პირობები? რა თქმა უნდა, არა. ეს ვერ ჩაითვლება ოდნავათაც კი მუშათა კრედიტად.

ნათქვამია—„ჭამამ რა ჰქნა, ლოკამ რა უნდა ჰქნასო!" ჩვენ როდესაც 30 და 40 მანეთის ნისიას გვაძლევდნენ მაშინაც კი ასნაირ პრეტენზიებს ვაყენებდით და გადახდა გვიძნელდებოდა. მაშასადამე, აბაზების ნისიაობა ხომ სულ მიუღებელი უნდა იყვეს ჩვენთვის იმ დროს, როდესაც ჩვენს გაზეთებს საგრძნობ ზიანს ვაყენებთ ამით.

პირველ აგვისტოდან გაზეთი „კომუნისტის" და „მუშის" გამოწერა უნდა ვაწარმოოთ ნაღდ ფულზე ტირაჟის შეუმცირებლად.

მუშა ნიკო მკერვალი.

კარგათ დავისვენე
(მცხეთის დასასვენებელ სახლების ცხოვრებიდან)

სადგურზე მატარებელი გაჩერდა. სხვათა შორის მატარებლიდან რამდენიმე მუშა გადმოვიდა და მუშები გაეშურენ ტრამვაისაკენ. აქ ერთი ამხანაგი შეხვდა ახალ ჩამოსულს და ეკითხება:

— ამხანაგო, საიდან მოდიხარ?

— მცხეთის დასასვენებელ სახლიდან. მიუგო მან.

— რა ამბავია იქა? როგორ მოგეწონა? კმაყოფილი ხარ თუ არა?

— ძალიან! ჰაერი გრილი და წმინდა. ჭამასმაც ურიგო არ არის; ზრდილობიანი მომსახურეობა; საუცხოვო, ღრუბლამდის ამართული მწვანით შემოსილი მთები; ხშირი ტყე და დილა საღამოს სხვადასხვა ფრინველების ჭიკჭიკი-გალობა ახალ სიცოცხლეს ბადებს დამსვენებლებში.

— ფრიად სასიამოვნოა! ბინები როგორ არის მოწყობილი? რამდენი დამსვენებელი სცხოვრობს თვითეულ ბინაზე?

— ზოგში სამი, ზოგში ექვსი და მეტიც. სარეცელები ყველა თივით არის დატენილი, სამაგიეროდ საბანი, ზეწარი და სასთუმლის პირი ძლიერ სუფთაა. ბინაც შესაფერად მშრალი და მოწყობილია. საერთოდ დასასვენებელი ბინები საუკეთესო პირობებშია. ჩემ იქ ყოფნის დროს ორასზე მეტი მუშა-მოსამსახურე ვიყავით, თუ საჭირო იქნება, მგონია მეტსაც შეუძლია იქ დასვენება.

— მარტო მამა-კაცები არიან თუ ქალებიც ისვენებენ?

— ერთიც და მეორეც საკმარისად მოიპოვება.

— არის თუ არა რაიმე გასართობი?

— მაგ მხრით ცოტას მოიკოჭლებენ დასასვენებელი სახლები.

— სამკითხველო არსებობს?

— არის, მაგრამ... ჩემ იქ ყოფნის დროს ვერც ერთი გაზეთი ვერ წავიკითხე და ვერც ერთი წიგნით ვერ ვისარგებლე, ვინაიდან სამკითხველო თითქმის ყოველთვის დაკეტილია... სამკითხველოს გამგე ან თბილისში იყო და ან ხან „თავისებურ მიზეზებით" უარს მეუბნებოდა. ამის გამო პირველი ადგილი ნარდსა და სხვა სათამაშოებს უკავიათ, ვიდრე წიგნსა და გაზეთებს.

— ლექციები ან წარმოდგენები არ იმართება?

— ჩვენი იქ ყოფნის დროს მხოლოდ ორი შემთხვევა იყო: ერთი ლექცია ადამიანის ჯანმრთელობის შესახებ და ერთიც კინო (რომლისგანაც ვერა გაიგორა უმეტესობამ)გამართეს „1001 ღამის" ისტორიიდან. კინო-ლენტები დაძველებული და მექანიკიც ისეთი „სპეცი" იყო, რომ სურათს ხან თავდაყირა აჩვენებდა და ხან სწყვეტდა კიდეც.

— როგორი განწყობილებაა დამსვენებელ მუშა ქალებს და კაცებს შორის?

— საუცხოვო და ამხანაგური! მხოლოდ აქა-იქ ზოგიერთი ახალგაზრდები ცუდ ზნე-ჩვეულებებს და თავგასულობას იჩენენ, რასაც ჩემის აზრით, უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

ეს ვაჟბატონები მუშათა დასასვენებელ სახლებსაც აჭუჭყიანებენ და ნდობას უკარგავენ მათ ხალხის თვალში. ამას კი ისინი ანგარიშს არ უწევენ—და თავიანთ უფლებას ბოროტად იყენებენ და, სწორედ, ამიტომ აქ ჩამოსული უფრო ჭკუა დამჯდარი და ხნიერი მუშები ძალზე აღელვებული არიან.

მართალია იყო შემთხვევა, რომ უწესო საქციელისთვის და ბინებში ლოთობისათვის ერთი ბინიდან რამოდენიმე ახალგაზრდა გამოასახლეს და თავიანთვე კავშირებს დაუბრუნეს.

— ესეც საჭიროა და უფრო სასტიკი ზომებიც უნდა გამოინახოს, რომ ყველა ასეთ თავხედობას იქ ადგილი არ ჰქონდეს.

— მე კი, ძმობილო, კარგად დავისვენე და ამიერიდან გაორკეცებული ენერგიით შეუდგები მუშაობას.

ამ სიტყვებით ამხ. სანდრო გამოემშვიდობა ნიკოს და გაეშურა შინისაკენ.

მუშა ამბალი.

ზეთ-საპნის სახდელ ქარხანაში

საპნის და ზეთის სახდელ ქარხანაში 80 მუშა-მოსამსახურეა. მათ შორის ორი ქალია. ქარხანა საპონისა და ზეთისაგან ჭუჭყიანდება ამიტომ იგი ხშირათ ირეცხება. მოწყობილია ვენტილიატორები. მუშები ჰაერის მხრივ უზრუნველყოფილი არიან.

ქარხნის ტეხნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. სისუფთავე ქარხანაში დაცულია. შრომის ხელფასის მინიმუმი უდრის 42 მანეთს. საშუალო—80 მანეთს და მაქსიმუმი კი 210 მანეთს.

არა აქვს ადგილი შრომის კანონების დარღვევას. სამუშაოს გაცდენა საპატიო მიზეზების გარეშე არ ხდება. შვებულება მუშებს წელიწადში ეძლევათ ერთი თვით.

შვებულება დაიწყო 15 მარტიდან და ნორმალურად მიმდინარეობს.

შრომის ხელფასი თავის დროზე ეძლევათ მუშებს.

სპეც-ტანსაცმელები იმ მუშებს, რომელიც ჭუჭყიან ადგილას მუშაობენ, წელიწადში ეძლევათ ორჯერ, დანარჩენებს კი ერთხელ. უფასოთ ეძლევათ მუშებს აბანოს ბილეთები, ჩაი. მოწყობილი აქვთ ქარხანაში სასადილო. ყველა „ცეხებში" დადგმულია მუშებისათვის დასალევი სუფთა, ნაყინი, გადადუღებული წყალი.

ჩატარებულია მუშებში წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია.

მუშათა ჯანმრთელობა ქარხანაში მაინც 10 პროცენტამდე დაზიანებულია. ხშირია ფილტვების ანთება, მალიარია და რევმატიზმი. ავადმყოფი მუშები სწრაფად ღებულობენ საექიმო დახმარებას.

მძიმე ავადმყოფებს კი უნიშნავენ კომისიას და გზავნიან საექიმოდ კურორტებზე. ნაწილი ავადმყოფ მუშებისა გაგზავნილია კურორტებზე.

ადმინისტრაციის მიერ შეკეთებულია ქარხნის ყველა დაზიანებული სამქროები.

ნედლი მასალა ქარხანას სამყოფად მოეპოვება. უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში მუშებს გადაუმუშავებიათ 34.982 ფუთი საპონი. უბედურ შემთხვევას ქარხანაში ადგილი ჰქონდა სამჯერ.

მუშკორი ვარდენ.

წარმოება ფერხდება და შრომის ნაყოფიერება ეცემა

შრომის ნაყოფიერების აწევის საკითხი ახალი ამბავი არ არის. არც ერთი წუთი უნაყოფოდ არ უნდა დაიკარგოს. განსაზღვრული სამუშაო საათების მაქსიმალური გამოყენება—თვითეულ პატიოსან მუშა-მოსამსახურის მოვალეობას შეადგენს, არავითარ ზედმეტ ლაპარაკს, ჩხუბს და აურ-ზაურს სამუშაო ოთახებში ადგილი არ უნდა ქონდეს, და თუ ასეთებს ნიადაგი უმზადდება, საჭიროა მოგვარდეს მაშინათვე ადგილკომის, ადმინისტრაციის და სხ. საშუალებით და თუ ყველგან ეს ვერ შეუგნიათ დღემდე, სათანადო ორგანოების ვალია დროზე შეაგნებინონ.

ავიღოთ მაგალითისათვის რკინისგზის კარტოგრაფიის გადაზიდვის ნაწილი. აქ მუშაობს მოქ. ბერგი. ეს მოქალაქე ავადმყოფია. ორკვირაში ან თვეში ერთხელ მოსდის თავისი ავადმყოფობა; ვარდება იატაკზე; ზოგიერთი მუშები ექიმებისთვის გარბიან, ზოგს ნერვები ეშლებათ, ზოგი ვერ იტანს ასეთი მოვლენების ყურებას და გარედ გარბის. შედეგები კი ასეთია: მუშაობა რამდენიმე საათში გაჩერებულია.

გარდა ამისა, მოქ. ბერგი სარგებლობს რა ავადმყოფობით სამსახურის დროს ლანძღავს და იგინება თანამშრომლებს. ყველას წაჩხუბებული ჰყავს. მაგ. 25 ივნისს ამხ. ნიკიტინს სრულიად უმიზეზოდ წაეჩხუბა და ყოვლად დაუშვებელი სიტყვებით მიმართა.

ასეთი მდგომარეობა ჰქმნის არა სასურველ ატმოსფერას და აბრკოლებს უმთავრესად შრომის ნაყოფიერების ზრდას. ჩვენ კი მოვითხოვთ დაწესებულება ასეთი არა სასიამოვნო ელემენტებისაგან დაცვას.

რას იტყვის ამაზე ამხ. არუთინოვი?

ხელს აწერს 6 თანამშრომელი.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **რად აფუჭებენ სახალხო ქონებას.** ა.-კ. რკინისგზის სალიკვიდაციო სამსახურის მე-6-ე უბნის უფროსს რამდენიმეჯერ ეცნობა იმის შესახებ, რომ რკინისგზის ცენტრალურ სალიკვიდაციო საწყობში სახურავიდან ჩამოდის წვიმა და აფუჭებს შიგ მოთავსებულ საქონელს და ტვირთებს, მაგრამ ამას არავინ არავითარ ყურადღებას არ აქცევს.

საჭიროა პასუხი მოეთხოვოს დამნაშავეს და მიღებულ იქნეს სათანადო ზომები საწყობის შესაკეთებლად.

ნ. იმნაიშვილი.

— **სახლი ინგრევა, პატრონი კი არ ჩანს.** ყოფ. „ცერკოვნაია". ქ. სახლი № 9-ში ცხოვრობენ მუშა-მოსამსახურეები. ეს სახლი ძალიან დაზიანებულია, განსაკუთრებით კი ამხ. ავაქაევის ბინა, რომელიც, ლამის არის, კიდეც ჩამოინგრეს მაგრამ შემკეთებელი არა ჩანს. ერთხელ იყო ალმასკომიდან გამოგზავნილი ინჟინერი, მან კი მხოლოდ ოქმი შეადგინა და „საქმე ამით გათავდა".

საჭიროა ალმასკომმა მიიღოს უფრო რეალური ზომები.

მუშკორი № 50

— **ეს ქუჩაც უნდა შეკეთდეს.** მუშათა უბნის კეთილმოწყობის საქმე წარმატებით მიმდინარეობს. თითქმის ყველგან ქუჩები შეკეთებულია და მოკირწყლული, რაც მუშებში იწვევს დიდ კმაყოფილებას. მაგრამ არის ჯერ კიდევ ისეთი ქუჩები, სადაც არავითარი შეკეთება არ მომხდარა და სადაც მუშები ძალზე ტანჯებიან წვიმის და ტალახის გამო. ასეთ ქუჩებს ეკუთვნის პირველი და მეორე ნაზარეთი ქუჩები, სადაც გავლა ძალზე ძნელია. ეს ქუჩები წვიმის გამო ისე დახრამულია და გაფუჭებულია, რომ იქ გავლა წვიმიან დღეებში თითქმის შეუძლებელი ხდება.

ალმასკომო მიიღე ზომები!

— **რაში ეძლევათ ამდენი ხელფასი?** ა.-კ. რკინისგზის „თვით კონტროლში" მსახურობს 27 კაცი. აქ თითქმის ყველანი იღებენ ხელფასს სპეციალისტებით, საპასუხისმგებლო ტარიფით. მიუხედავად ამისა ისინი მაინც ახერხებენ კიდევ ბევრი სხვა ჯილდოს მიღებას „ვითომც ფრიად ნაყოფიერ და რკინისგზისათვის ნაყოფიერ მუშაობისთვის" (როგორც ეს არის რკ. გზის სამმართველოს სანფინგანის შუამდგომლობაში).

საჭიროა აქაც გატარდეს მომჭირნეობის და ზომიერების რეჟიმი.

მუშკორი პ. ჩხიკვაძე.

მუშათა ქრონიკა
შინამრეწველ საფეიქრო ქარხანაში

— **დამზადებული შალი.** შინამრეწველ-საფეიქრო ქარხანამ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში (დაუმზადებია) მოქსოვ 7.500 მეტრი შალი.

— **მოთელილი შალის რაოდენობა.** აღნიშნულ საფეიქრო ქარხანაში მოთელილი შალის რაოდენობა უდრის 3.000 მეტრს. შეღებულია 500 მეტრი. დაკეცილია 3.000 მეტრი.

— **საექიმო დახმარება სუსტია.** შინამრეწველ საფეიქრო ქარხანაში არსებობს სასწრაფო საექიმო დახმარება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მუშებისათვის.

— **ჯამაგირების დარიგება უნდა მოწესრიგდეს.** შინა-მრეწველ საფეიქრო ქარხნის მუშები შრომის ხელფასს ვერ ღებულობენ თავის დროზე, რითაც განიცდიან ეკონომიურ სივიწროვეს, საჭიროა იქნეს მიღებული ზომები.

— **უფულო შვებულება ფუჭია.** აღნიშნული ქარხნის მუშები ვერ სარგებლობენ ხშირად შვებულებით, რადგანაც ვერ ღებულობენ თავის დროზე საშვებულებო ფულს.

— **ასეთი მუშაობა არ ვარგა.** შინამრეწველ საფეიქრო ქარხნის ქარხკომი და ყველა კომისიები ძალზე სუსტად მუშაობენ. რითაც მუშები ჩამორჩენილი არიან კულტ-განათლებას.

ინგლისის მუშების დასახმარებლად

საქართველოს პროფკავშირების საბჭოს პლენუმმა ინგლისის სამთამადნო მუშების ფედერაციის აღმასკომს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

საქართველოს პროფესიონალურ კავშირების საბჭოს პლენუმმა, რომელიც ამ დღეებში დამთავრდა, ალტაცება გამოსთქვა ინგლისის სამთამადნო მუშების დარაზმულობისა და გმირული ბრძოლის გამო და დაგვავალა ჩვენ მივესალმოთ, თქვენი სახით ინგლისის სამთამადნო მუშებს. მოუწოდოთ მათ განაგრძონ თავიანთი მძიმე, მაგრამ აუცილებელი ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე, ვიდრე დაძლეული არ იქნება ინგლისის და საერთაშორისო პროლეტარიატის კლასიური მტრების უძლიერესი რაზმი —ინგლისის სამთამადნო მრეწველები და კონსერვატიული მთავრობა.

ამავე დროს საბჭოს პლენუმმა დაადგინა მოუწოდოს საქართველოს პროფკავშირებში დარაზმულ პროლეტარიატს განაგრძოს და გააძლიეროს თანხების გადარიცხვა ინგლისელ გაფიცულ სამთამადნო მუშების დახმარების ფონდში.

ეს დადგენილება შედეგია საქართველოს პროლეტარიატის აშკარად გამოხატულ ნებისყოფისა და სურვილისა; ამ პროლეტარიატმა არა ერთხელ დაამტკიცა, რომ კლასიური პროლეტარული სოლიდარობა მის უმაღლეს მოწოდებასა და მოვალეობას წარმოადგენს.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე [illegible].
საბჭოს მდივანი ფანცხავა.

სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის

სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი მაისის კონიუნქტურული მიმოხილვა და საჭიროდ სცნო მეურნეობის აღდგენის მიზნით შემდეგი ღონისძიებათა გატარება:

1. საჭიროა მიექცეს მიწათმოქმედების სახკომის ყურადღება, სიღნაღის, ბორჩალოს და გორის მაზრებში გაჩენილ მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლაზე, რადგან შესაძლებელია მომავალში აღნიშნულ მავნე მწერთა გავრცელება.
2. აგრეთვე საჭიროა კომისარიატის ყურადღების მიქცევა, ვაზის საწამლავ აპარატების, შუშხუნების და გოგირდის ნაკლებობაზე, რათა მომავალში ამ გარემოებამ ხელი არ შეუშალოს ვენახების მოვლა-პატრონობას.
3. პურის (პირველი ხარისხი), ბრინჯის, ფართლეულის (ცემენტის და ტყის მასალების ნაკლებობას საჭიროა მიექცეს შინა-ვაჭრობის სახკომის საქ. რწმ. სამმართველოს ყურადღება, რათა მიღებულ იქნას აღნიშნული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებანი.
4. სამომხმარებლო მოთხოვნილების მნიშვნელოვანი გაძლიერების გამო სამრეწველო საგნების სიმცირის პირობებში, საჭიროა გაძლიერდეს სოფლის და ქალაქის სამრეწველო საგნებით მომარაგება, ახალი მოსავლის დაწყების დროისთვის.

აღმშენებლობა ხაშურში

ხაშურის აღმასკომმა გამოიმუშავა სამთვიური გეგმა სხვადასხვა დარგში სამუშაოთ.

უახლოესი სამი თვის განმავლობაში (ივლისი აგვისტო-სექტემბერი) გადაწყვეტილია ქალაქის კეთილმოწყობის დარგში გაკეთდეს შემდეგი: დაიგეგმოს ქ. ხაშური, თანახმად საქალაქო ტექნიკის უკანასკნელი მოთხოვნილებისა, შეკეთდეს მთელი რიგი ქუჩები და ქვაფენილები, გაასუფთაოს სასაკლაო და სხვა.

სასოფლო-მეურნეობის დარგში ჩატარდეს კოლექტივიზაციის კამპანიები, მოეწყოს ლექცია-საუბრები აგრონომიაზე და სხვა.

მეაბრეშუმეობის კურსები

ივლისის 8-ს გაიმართა გამოცდა იმ პირებისა, ვინც დაამთავრა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს მიერ ცენტრალურ საბრეშუმო სადგურთან მოწყობილი მეაბრეშუმეობის ორთვიური კურსები. გამოცდაზე გამოცხადდა კურსების 17 მსმენელი, რომელთაგან გამომცდელ კომისიის მიერ კურსების დამთავრების მოწმობის ღირსად ცნობილი იქმნა 12 პირი.

მეაბრეშუმეობის კურსებ დამთავრებულთ ეძლევათ უფლება მეაბრეშუმეობის ინსტრუქტორის თანამდებობა დაიკავონ, კერძოდ აწარმოონ გრენაჟის საქმე, აგრეთვე იმუშაონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საგრენაჟო დაწესებულებებში.

ბარიტის ქარხანა

ეკონომიურმა საბჭომ მოისმინა ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის ინჟ. ბ. ჭიჭინაძის მოხსენება ქუთაისის ბარიტის საფქვავი წისქვილის ხარჯთაღრიცხვის შესახებ. საბჭომ დაადგინა: ა) ქუთაისის ბარიტის საფქვავი წისქვილის ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულ იქნეს 400.000 მან. რაოდენობით, ბ) რადგან აღნიშნული თანხის ანგარიშში 130.000 მან. უკვე მიღებულია, აღიძრა სათანადო შუამდგომლობა, რათა დანარჩენი 270.000 მანეთი გაღებულ იქნეს საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს განკარგულებაში მომავალ 1926/27 საბიუჯეტო წლიდან, გ) ზემოხსენებული ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებული თანხიდან 90.000 მან. გადადებულ იქნეს ბარიტის წისქვილის მოწყობილობის შესაძენად და დ) წისქვილის გეგმის საქმე მიენდოს სამთო-ქიმიურ კომბინატს საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ს.მ. უ. საბჭოს ეკონომიური განყოფილების ზედამხედველობით.

პროფილაქტიკის დღე

ჯანმრთელობის კომისარიატმა შეიმუშავა და ამ დღეებში დაუგზავნის სასოფლო-საექიმო დაწესებულებებს ინსტრუქციას პროფილაქტიკის დღის მოწყობის შესახებ. პროფილაქტიურ დღის მიზანია ექიმებისა და საექიმო პერსონალის დაახლოება მოსახლეობასთან და საექიმო საქმის პოპულარიზაცია. დღის ლოზუნგია: „მშრომელთა ჯანმრთელობა თვით მშრომელთა საქმეა".

ინსტრუქციაში დაწვრილებით განმარტებულია თუ როგორ და რა სახით უნდა მოეწყოს პროფილაქტიკის დღე, რომელიც მიმართული უნდა იქნას მშრომელთა ჯანმრთელობის წინასწარი დაცვის გასაშუქებლად. აგრეთვე ამ დღის მიზანია სოფლად შეიტანოს ფიზიკური გაჯანსაღების კულტურა და დაანახვოს მოსახლეობას თუ როგორ უნდა ებრძოლონ პროფესიონალურ და სოციალური გადამდებ სნეულებებს წინასწარ გამაფრთხილებელ საშუალებებით.

ამას გარდა ადგილობრივ ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებმა უნდა შეისწავლონ და გამოიკვლიონ თავიანთ რაიონში გავრცელებული სნეულებანი და მათი წარმოშობის მიზეზები. რაიონულ საექიმო დაწესებულებები უნდა გახდენ სოფლათ სანიტარულ კულტურის გავრცელებისა ცენტრად.

პროფილაქტიურ დღეს მოხდება სოფლად დაავადებულთა საანკეტო აღრიცხვა.

ამავე დღეს სოფლად მოეწყობა ლექციების კითხვა, საუბრები, სანიტგანათლების წარმოდგენები და სხვა

ა./კ. სას.-სამეურნეო ბანკში

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკს განზრახვა აქვს შეკრიბოს ცნობები ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობების შესახებ სპეციალურად დაბეჭდილ ბარათების საშუალებით, სადაც იქნება დაბეჭდილი შესაფერი კითხვები, რომლებზედაც უნდა უპასუხონ ამხ.-ბებმა. ასეთი ბარათები თითო ამხანაგობას დაეგზავნება 6 ცალი.

მთელ ამიერ-კავკასიაში არსებობს 274 საკრედიტო ამხ-ბა, რომელთაც დასჭირდებათ 1650 ცალი საანკეტო ფურცლები.

ამ ფურცლებში იქნება შემდეგი შეკითხვები: რამდენი წევრია; ყოველთვის 1 რიცხვისათვის რა ციფრებში გამოიხატება ამხ-ბის ბალანსი; წევრებზე ნისიის დარჩენილი რაოდენობა რამდენია; შესანახად შემოტანილ თანხების რაოდენობა; შემოსავალ-გასავალი და სხ.

ამგვარი ცნობების შეკრება ყოველთვიურად ნათელ სურათს მოგვცემს საკრედიტო ამხ-ბების მუშაობისას, და ამავე დროს გააძლიერებს მეთვალყურეობას ამხ-ბებზე. აგრეთვე ფურცლების საშუალებით მიღებულ ცნობების მიხედვით სათანადო დახმარება გაეწევა საკრედიტო ამხ.-ბებს, როგორც ინსტრუქციებით, ისე თანხებით.

ქრონიკა

ხიდი მდ. ყვირილაზე

სვირის რაიონის გლეხობა სვირის სათემო საბჭოს ხელმძღვანელობით საკუთარი ძალღონით აგებს ხიდს მდინარე ყვირილაზე.

ამიერ-კავკასიის რკინისგზის სამმართველო ამ ხიდის ასაგებად დახმარებას უწევს სვირის რაიონის გლეხებს.

რკინისგზის სამალარიო ზონები

ამიერ-კავკასიის რკინის-გზების სამმართველომ განსაკუთრებულ ბრძანებით აცნობა ამიერ-კავკასიის ყველა რკინისგზელებს, რომ რკინისგზის სამალარიო ზონებად ცნობილნი არიან შემდეგი ადგილები: ჯულფა-ულუხანლუ, ერივან-კარამურუნი, აირუმ-სადახლო, ყარატაპა-ევლახი, სუმგაი-დერბენტი, ბათომ-კობულეთი, მთელი ოზურგეთის შტო ფოთი-სამტრედია, იორი-კაჭრეთა, გურჯაანი-თელავი-წნორისწყალი, და აგრეთვე ზუზოვსკის და ყიზილკულის წყლის საქაჩავები. ამ ადგილების მუშა-მოსამსახურეებს უფლება აქვთ მიიღონ დამატებითი ჯილდო სატარიფო განაკვეთით დაწესებულ ხელფასს გარდა.

საცდელ საქმის მუშაკთა თათბირი

ივლისის ბოლო რიცხვებისათვის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი იწვევს რესპუბლიკის საცდელ საქმის (და დაწესებულებათა) მოღვაწეების გაერთიანებულ თათბირს.

თათბირის სამუშაო გეგმის შემუშავება დავალებული აქვს სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს. თათბირის მიზანია რესპუბლიკაში საცდელი საქმის ორგანიზაციის განმტკიცება და ჩამოყალიბება.

თათბირზე მოწვეული არიან აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხ.-ოსეთის ავტონომიურ ერთეულების წარმომადგენელნი, სამაზრო აღმასკომების და საცდელ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, სპეციალისტები და სხ.

თბ. აღმასკომში

— ყველა შრომის სკოლებში და საბავშვო ბაღებში, მისაღები განცხადება დაიწყება 15 აგვისტოდან.

— **ტყეების მოშენება.** ქალაქის განაპირა მიდამოებში ტყის გასაშენებლად დამატებით გადაიდო 2.500 მან.

— **ბინების შეკეთება.** სამხედრო უწყების საცხოვრებელ ბინების შესაკეთებლად გადაიდო 20.000 მან.

— **გზები.** ახლო ხანში დაიწყება აღბულაღის და წალკის გზების შეკეთება.

— **წყალსადენი.** წყნეთში წყალსადენის გამოსაყვანათ გადადებული იქნა 9.000 მან.

მიწათმოქმ. კომისარიატში

— **სასოფლო-სამეურნეო მუზეუმში.** არსდება შინამრეწველობის განყოფილება.

—**გამოკვლევა.** სპეციალურ რაზმის მიერ მესაქონლეობის გამოკვლევა უკვე დამთავრდა სვანეთში. ამჟამად გამოკვლევა სწარმოებს რაჭის მაზრაში.

—**კურსები.** სატყეო განყოფილება ამა თვის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში აწყობს ორ-კვირიულ კურსებს ტყის კულტურის ზედამხედველთა მოსამზადებლად.

ჯანმრთელობის კომისარიატში

— **მიკროსკოპები.** საზღვარგარეთიდან მიღებული იქნა 10 მიკროსკოპი სამეცნიერო დაწესებულებებისათვის.

— **სანიტ-ეპიდემიურ განყოფილებაში.** 15 ივლისს შესდგება სანიტ-მუზეუმების თათბირი.

სხვა და სხვა

— **დაზღვეულთა რაოდენობა.** რესპუბლიკის დამზღვევ სალაროებში ამჟამად ითვლება 101.121 დაზღვეული მუშა-მოსამსახურე.

— **თამბაქოს დამზადება.** აფხაზეთში წელს დამზადებული იქნება 25 ათასი ფუთი თამბაქო; ჯერ-ჯერობით უკვე დამზადებულია 18.000 ფ.

— **საკავშირო მრეწველობის საჭიროებისათვის** ა.-კ. კოოპერატივთა კავშირმა ა.-კ. დაამზადა 32.000 ფ. გაზაფხულის მატყლი. განზრახულია დამზადებული იქნეს კიდევ 8.000 ფ.

— **დაფნის ფოთოლი.** ა.-კ. წელს დამზადებული იქნა 11,000 ფ. დაფნის ფოთოლი. აქედან ორი მესამედი დამზადებული იქნა საქართველოში.

შემთხვევები

აფერისტები

გუშინ დილით მოქ. მელიქიანის მაღაზიაში პლეხანოვის პროსპექტი № 38, გამოცხადდა ორი უცნობი პირი, რომლებმაც შესთავაზეს მას იყიდა 1400 მანეთის მზესუმზირას ზეთი. უცნობმა პირებმა მელიქიანს წარუდგინეს ყალბი საბუთები საქონლის მიღებაზე და თანაც აღუთქვეს ორი კვირის ვადით საქონლის ნისიათ მიცემა. მელიქიანი დასთანხმდა და მისაღებ საქონლის ანგარიშში მათ მისცა ბეთ 150 მანეთი. ერთ-ერთი აფერისტის თანხლებით, მელიქიანი წავიდა ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოში თითქოს დამატებითი საბუთების მისაღებად. აქ კი გამოირკვა საქმის ნამდვილი შინაარსი: აფერისტი ხელდახელ გაეპარა მელიქიანს და მიიმალა.

— **გაძარცვა.** სოფ. ყუდროს ახლოს (სართიჭალის თემი) გაძარცვეს გიორგი მჭედლიშვილი; ბოროტმოქმედი თედო ალბუთაშვილი დაპატიმრებულია.

— **სასტუმრო „პრომა"-ში** რევოლვერით თავი დაიჭრა კლავდია ლომიძემ. მიზეზი გამოურკვეველია.

— **ქურდობა.** 9 ივლის, მაჩაბელის ქ. № 18, გაქურდეს სერგო ამაღლობელის ბინა.

— ამავე დღეს გაქურდეს ქეროფე ვასილიანის ბინა.

— ზაჰესის საწყობიდან ამავე დღეს მოიპარეს 580 მან. საქონელი.

— ამავე დღეს სასამართლოს ქ. № 30 გაქურდეს სარდიონ კორხიას ბინა. დაზარალებულს ეჭვი აქვს უცნობ ქალზე.

„სწრაფი დახმარებით"

— **ფეხის მოტეხა.** გუშინ ალექსანდრე არუთინოვმა მოიტეხა ფეხი. დაშავებული საავადმყოფოში იქნა მიყვანილი.

— **ბავშვის დაწვა.** გუშინ საღამოს პეტრინის მოედანზე მცხოვრებ ყაზარიანცს დაეწვა ბავშვი, რომელიც დახმარებისათვის გადაგზავნილ იქნა რიგ. მთ. საავადმყოფოში.

— **გუშინ,** საღ. 7 საათზე სასწრაფო დახმარება აღმოეჩინა მოქ. კარსუნელსკის ბავშვს, რომელსაც მეზობლის ბავშმა თავი გაუხეთქა.

ზარალი სეტყვისაგან

ივნისის განმავლობაში ბორჩალოს მაზრაში მოვიდა ძლიერი სეტყვა 3-ჯერ; სეტყვამ საგრძნობლად დააზარალა 4500 დესეტინაზე ნათესები და ბაღები. უმთავრესად დაზარალდა პურის და ქერის ყანები 2321 დესეტინაზე. ამ სივრცეზე ნათესები დაზარალებულია სრული 100 პროცენტით.

ვენახები და ბაღები 420 დესეტინაზე დაზარალებულია 50 პროც., ხოლო 101 დესეტინაზე ვენახები და ბაღები განადგურებულია სავსებით.

საერთო ზარალი უდრის 527,000 მანეთს.

აქედან ყანები დაზარალებულია 330,000 მანეთის, ვენახები—157,000 მანეთის, ბოსტნები—40 ათასი მანეთის.

ზარალი მოუვიდა 50 სოფელს, სადაც ცხოვრობს 7000 კომლი.

ბორჩალოს აღმასკომი შეუდგა მათთვის დახმარების მოწყობის საქმეს.

მცხეთაში საქონლის დახოცვის გარშემო

როგორც უკვე გამოცხადებული გვქონდა, ამას წინად ს. მცხეთაში ავრის შემდეგ საქონლის გაწყვეტის მიზეზების ყოველმხრივ ობიექტიურად გამოკვლევის მიზნით, საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა დეპეშით სთხოვა რ. ს. ფ. ს. რ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს სავეტერინარო საქმის გამოჩენილ სპეციალისტების გამოგზავნა, სასამართლოს ექსპერტიზაში მონაწილეობის მისაღებად.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მიერ მოსკოვიდან ივლისის 8-ს მიღებული დეპეშის თანახმად, თბილისში ზემოხსენებული მიზნით გამოგზავნილია ექსპერიმენტალურ ვეტერინარიის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი დრაჩინსკი, რომელიც თბილისში მომავალ კვირაში ჩამოვა.

შრომის სკოლებში

განათლების კომისარიატმა დაასრულა ახალი პროგრამების შემუშავება შვიდწლედებისა და ცხრაწლედების შრომის სკოლებისათვის მომავალ სასწავლო წელში შემოსაღებათ.

გადასინჯულია და შესწორებული პროგრამები: ქართული ენის, საზოგადოებათ მეცნიერებების, ბუნების მეტყველების, მათემატიკის და გეოგრაფიის სწავლების შესახებ.

მომავალ სასწავლო წლისათვის ეს შესწორებული პროგრამები გამოიცემა ცალკე წიგნად და დაურიგდება სკოლებს. აგრეთვე შესწორებული იქნა პროგრამები ქართული ენის სწავლის შესახებ არა ქართულ და რუსულ სკოლებში.

შრომის სკოლის მე-9 ჯგუფში მომავალ წლიდან შემოღებული იქნება ახალი საგანი—მატერიალისტური ფსიქოლოგია.

ჩაი

ჩაის მრეწველობა

ეკონომიურმა საბჭომ მოისმინა ამხ. ა. ქავთარაძის მოხსენება საქართველოს ჩაის მრეწველობის მდგომარეობის შესახებ და დაადგინა: მიენდოს ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საქართველოს რწმუნებულის სამმართველოს გადასინჯოს საქართველოს ჩაის თვითღირებულების ფასი და გამოარკვიოს, თუ რამდენად სწორი და წესიერია გლეხებისაგან საქციო საზ. „ქართულ ჩაი"-ს მიერ შესასყიდ ნედლ ჩაიზე დაწესებული საშუალო ფასი.

ჩაის ფასი

ეკონომიურ საბჭომ ნება მისცა საზ.—„ქართულ ჩაი"-ს გამგეობამ მიმდინარე 1926 წელს გაჰყიდოს ს. ს. რ. კავშირის ბაზარზე ფუთი ჩაი საშუალოდ 60 მანეთად.

სტატისტიკოსთა ინსტიტუტი

სოფლის მეურნეობისათვის თვალყურის სადევნელად სახელმწიფო სტატისტიკურ სამმართველოს არ ჰქონდა არავითარი აპარატი. ეს გარემოება დიდ ნაკლს წარმოადგენს, ვინაიდან სტატისტიკური ცნობების უქონლობა ქმნის არა-სწორ წარმოდგენას მეურნეობის მდგომარეობაზე. ამ ნაკლის გამოსწორება შესაძლებელი გახდა ჩვენში 1-ლ აპრილიდან, როდესაც საკავშირო ცენტრალურ სტატისტიკურმა სამმართველომ გაიღო საჭირო თანხა რაიონულ სტატისტიკოსთა შესანახად. მიუხედავად იმისა, რომ რაიონულ სტატისტიკოსთა ინსტიტუტის უქონლობა ძლიერ შეაფერხებს საქ. სტატ. ცენტრ. სამმართველოს მუშაობას, ეს უკანასკნელი იძულებული იქნება ან შეიტანოს მომავალი საბიუჯეტო წლიდან ეს ინსტიტუტი ადგილობრივ ხარჯთაღრიცხვაში, ან სრულიად გააუქმოს იგი, ვინაიდან მომავალი წლის 1-ლ ოქტომბრიდან არ იქნება გაღებული თანხა მის შესანახად. ამჟამად საქ. ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოს მიერ სოფლად უკვე მოწვეულია 57 რაიონული სტატისტიკოსი, რომლებიც მუშაობენ უმთავრესად სტატისტიკის შემდეგ დარგებში: სასოფლო-სამეურნეო, დემოგრაფიული, ფინანსების, ვაჭრობის და კოოპერაციის, სამრეწველო-სატრანსპორტო და შრომის.

საქართველოს ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს მიერ აღძრულ იქნა შუამდგომლობა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა მომავალ 1926—27 საბიუჯეტო წლიდან შეტანილ იქნეს ხარჯთაღრიცხვაში რაიონულ სტატისტიკოსთა ქსელის შესანახად საჭირო თანხა.

საქართველოში საჭირო იქნება 100 რაიონული სტატისტიკოსი.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო რა მხედველობაში ხსენებულ აპარატის არსებობის აუცილებლობა, საჭიროდ სცნო სარაიონო სტატისტიკოსთა ინსტიტუტის დაარსება და მისი შტატის აყვანა 1926—27 საბიუჯეტო წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტზე. თვითეულ 5.000 მეურნეობისათვის დაწესებულ იქნება ერთი სტატისტიკოსი.

სასამართლო

შ. გოგეშვილის საქმე

დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ბრალდებულ შალვა გოგეშვილს მიუსაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გოგეშვილს ბრალდებოდა 874 მან. გაფლანგვა ოზურგეთის სამომხმარებლო კოოპერატივის თავმჯდომარედ ყოფნის დროს.

მსჯავრდადებულმა საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

საქმე გაირჩევა 22 ივლისს.

კორხმაზოვის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ბრალდებულ მამიკო კორხმაზოვს მიუსაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

კორხმაზოვს ბრალდებოდა 1434 მან. გაფლანგვა თბილისის სტუდენტთა კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარედ ყოფნის დროს.

მსჯავრდადებულმა საკასაციო საჩივარი შეიტანა უზენაეს სასამართლოში.

საქმე გაირჩევა 31 ივლისს.

დოლიძის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ბრალდებულ გიორგი დოლიძეს მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

დოლიძეს ბრალდებოდა საგამომძიებლო ოქმის მოპარვა.

მსჯავრდადებულმა დოლიძემ საკასაციო საჩივარი შეიტანა უზენაეს სასამართლოში.

საქმე გაირჩევა 29 ივლისს.

საქართველოს ცაკის დადგენილება კუციდის საქმეზე

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა 9 ივლისის სხდომაზე კუციდის საქმის შესახებ, მიიღო შემდეგი დადგენილება: ვინაიდან საქმეში მოიპოება ნიშნები იმის შესახებ, რომ კონსტანტინე კუციდის საქმეს აქვს ერთგვარი კავშირი თამბაქოს ტრესტის პირველ მაღაზიის ყოფილ გამგის ლორთქიფანიძის და ძმათა ენუქაშვილების საქმესთან, რომელთაც ბრალდებათ გაფლანგვა და მითვისება თამბაქოს ტრესტის 1-ლ მაღაზიის ქონებისა, კონსტანტინე კუციდის მიმართ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს მიერ გამოტანილი, და დადასტურებული უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოს მიერ განაჩენი, რომლის ძალითაც კონსტანტინე კუციდის მისჯილი აქვს სოციალური დაცვის უმაღლესი ღონისძიება—დახვრეტა—შეჩერებულ იქნეს და საქმე ხელახლა გადასასინჯავად, ზემოაღნიშნულ მოსაზრებათა გამო, გადაეცეს უზენაეს სასამართლოს პლენუმს.

ძალა-უფლების გადამეტება

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ [illegible] ეშმაკურაშვილს მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

ს. ეშმაკურაშვილს ბრალდებოდა ძალა-უფლების გადამეტება.

ს. ეშმაკურაშვილი ბოროტმოქმედების მიერ გაქურდულ იქნა. მან ეჭვი მიიტანა ადგილობრივ გლეხებზე. მილიციის ნებადაურთველად, როგორც გლეხკომის წევრმა, მან დააპატიმრა ეჭვმიტანილი გლეხები: ომაძე, მეტრეველი და [illegible] და ბევრი სცემა მათ გამოსატეხად.

ს. ეშმაკურაშვილმა ამხანაგების მონაწილეობით მოინდომა ეჭვმიტანილ პირების დაწვა, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა.

მსჯავრდადებულმა საკასაციო საჩივარი შეიტანა უზენაეს სასამართლოში.

საქმე გაირჩევა 26 ივლისს.

სტუდენტები პრაქტიკაზე

თბილისის ცენტრალური პედაგოგიური ინსტიტუტის 2—3 კურსის სტუდენტობის ნაწილი განათლების კომისარიატმა მიავლინა პრაქტიკულ მუშაობის საწარმოებლად საბავშვო სახლებში, კრებებზე და საზაფხულო სკოლებში.

სტუდენტები უმთავრესად გაიგზავნენ ქვიშხეთში, სურამში, ხევსურეთში და ბორჯომში.

პრაქტიკულ სამუშაოზე სულ მივლინებულია 30 კაცი.

ავიაქიმი

18 ივლისს წარმოება - დაწესებულებებში და ავიაქიმის უჯრედებში საერთო კრებებზე ჩატარდება მოხსენებები საბჭოთა კავშირის საჰაერო - ქიმიურ მშენებლობის და თავდაცვის შესახებ.

14 ივლისს დილით მოეწყობა ორგანიზაციების, დაწესებულებების და მსურველთა ექსკურსიები აეროდრომზე. ექსკურსანტებს დაათვალიერებინებენ ჰაეროპლანებს და მისცემენ საჭირო განმარტებებს.

დილის 9 საათიდან მოხდება „ჰაერში ნათლობა"—გაფრენები.

საღამოს წითელი არმიისა და ფლოტის ბაღში შესდგება ავიაქიმის წევრთა ერთად საზეიმო სხდომა.

სხდომის დღის წესრიგში სდგას: კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის სარდლის ამხ. ლევანდოვსკის მოხსენება საბჭოთა კავშირის თავდაცვის შესახებ, ამხ. ეგიკოვის მოხსენება ავიაქიმის და სამხედრო - სამეცნიერო საზოგადოებათა მუშაობის დაკავშირების შესახებ და მიმართვა ავიაქიმისადმი. შემდეგ გაიმართება კონცერტი და კინო. საღამო დაიწყება 6 საათზე.

18 ივლისს მოეწყობა ჰაეროპლანების მოდელების შეჯიბრება. გაათამაშებენ პრიზებს: აეროდრომისას, ა.-კ. ავიაქიმისას, საქ. ავიაქიმისას, ავიაქიმის თბილისის საბჭოსას და სასპორტო სექციისას.

19 ივლისს, რუსთაველის პროსპექტზე დილის 11 საათზე მოეწყობა ქიმიური ომის და საჰაერო თავდაცვის მეთოდების დემონსტრაცია.

წყალსადენის უჯრედში. საქართველოს ავიაქიმის თბილისის საბჭოს ავჭალის წყალსადენთან აქვს ავიაქიმის უჯრედი. უჯრედში ირიცხება 130 წევრი, რომელთაგან 113 მამაკაცია და 17 ქალი.

საერთო კრება ამ უკანასკნელ პერიოდში შესდგა სამჯერ, ბიუროსი ოთხჯერ, კრებებზე გაკეთებულ იყო მოხსენებები ავიაქიმის მიზნების და მნიშვნელობის შესახებ ომიანობის და მშვიდობიანობის დროს.

პატარა ფელეტონი
ერთსულოვნათ, ერთხმათ, ერთად

„ნოე ჟორდანიას საქართველოში ერთი სანიმედო პირი ყავს".
(ნ. რამიშვილის განცხადება).

საქართველოს პატრონობდა ნოეთ ჯგუფი ერთი ხანი.
მათში ნოე პირველობდა, ჟორდანია ანუ „ანი"
სიმღერისთვის მუდამ ქონდათ შეწყობილი იმათ ხმანი:
წამოწყება ანის იყო, სხვა ნოეთა წვრილი, ბანი.
მოწყენილი არ გვინახავს ჩვენ არც ერთი იმათგანი;
მეზობლებთან ომი ქონდათ, გასართობი კიდევ სხვანი...
მაგრამ ბედმა უღალატა, ჩამოართვეს უფლებანი,
და შავ ზღვაში შეაცურეს იმ ნოეთა კიდობანი.

—:—

გაიხიზნენ უცხოეთში
ზოგი სად და ზოგი სადა,
დიდ ქალაქებს შეეჩვიენ
აეშალათ ზოგ ზოგს მადა.
სახარჯო და ჯიბის ფული
იმ თავითვე ქონდათ მზადა.
„კნიაზობას" იჩემებდა
იქ ყოველი არამზადა.
არ დაიბნა უცხოეთში
არც ნოეთა დიდი კრება
გეგმა ხელად გამოაცხვეს
(რათ უნდოდა მოფიქრება!)
სთქვეს, უცხადოთ საქართველოს
სხვა მთავრობა სად იქნება,
მიწა წყალი არ გვაქვს, მაგრამ
ხომ გვაქვს მაინც ის შეგნება,
რომ ჩვენ უნდა ვიმთავრობოთ,
რადგან გვიცვნეს ჩვენმა „ძმებმ"
მინისტრები აირჩიეს,
სადღაც ელჩიც იგზავნება,
(კვლავ დაიწყო ადგილებზე
უსაშველო შეჯიბრება.
ყველას უნდა დიდკაცობა,
და ნადავლით გამდიდრება)
მყის შეყარეს პარლამენტი,—
წესიერად ხდება კრება,—
ხალხი ისევ მინისტრობს და
უფლების სიტკბოთ თვრება.
„ძმებს" აცნობეს, რომ მთავრობა
უცხოეთში არის სტუმრად,—
იბრძოლეთო, იჩხუბეთო,
ერთი სიტყვით, ვაჟკაცურად.

—:—

ერთ წელს, ორ წელს, მესამე წელ
ერთობოდენ არხეინად,
მეოთხემ კი იმ ბოროტმა
ნოეთ ზორბად აწყეინა.
მეოთხე წელს ნოეთ უთხრეს
რომ ლაშქარი მათი დნება,
რომ მუშებში და გლეხებში
სულ სხვა არის დღეს შეგნება.
მასპინძელმაც მიაძახა
სთქვა, მიდით სტუმრათ სახლში,
აქ დარჩენას ხომ არ ფიქრობთ
რას ჩაჰყურებთ ამ ჩემს დახლში.
სტუმრები ხართ, დილით ოქრო
შემდეგ ვერცხლად გადიქცევით,
შეაყოვნებთ, მეორე დღეს
სპილენძათაც კი იქცევით.
მაშ უშველეთ მიაწექით,
დაფუძნებულ იმ თქვენს საქმეს,
ჭკუითა და გამოცდითაც
ნოე ტყუილათ ხომ არ გაქვს?!
შენც გაიგე, ჩვენც გვაცნობე,
როგორ არის „თქვენი" ხალხი,
თქვენს წამოსვლას ხომ კვლავ გლოვობს,
ხომ აცვიათ თქვენზე თალხი,
აკლდება თუ ემატება,
იმ თქვენს ლაშქარს სახელოვანს
ელიან თუ არ ელიან,
აქ გარიყულ თქვენს კიდობანს.
უპასუხა ნოემ (ანმა):
დაწვრილებით გეტყვით ამბავს,
იქ კაცი მყავს საიმედო,
ჩემთან კავშირს ის გააბამს,
მივსწერ, მომწერს და გავიგებ
როგორ არის საქმე იქა.
მე არ ვიყო ნოე თუ არ
გავაცალო „მაგათ" ხიქა.
და მოსწერა „იმას" „აქა":
ჩემო ძმაო საიმედო
როგორაა საქმე მითხარ,
ტყუილი არ გამიბედო.

—:—

პასუხი არ დაუყოვნეს,
შიგ ეწერა სწორედ ასე:
სალამს გიძღვნი დიდო ნოე,
მე ერთგული ათანასე
რას კითხულობ, ცათა სწორო,
ჩვენი საქმე რა რიგია.
სჩანს ამ ქვეყნის გზა და კვალი
შენ ჯერაც არ გაგიგია.
სახელოვან ამ ჩვენს ლაშქარს
შეეცვალა უკვე სახე
(თუ არ გჯერა ჩამოდი და
შენი თვალით დაინახე)
მე, თუმც მაინც მაგრადა ვარ
ერთსულოვნად ვსწყვეტ საკითხებს,
მაგრამ თქვენი ყოფაქცევა
უნდა გითხრათ მეც მაფიქრებს.
მაშ რაები დაგმართიათ!
გაგჩენიათ ურჩთა წყება?!...
ჩვენ მოგვბაძეთ, კინკლაობას
ახლა უნდა დავიწყება.
ჩვენ აქ არ გვყავს ურჩი ხალხი
მთლიანი ვართ, ვდგევართ კეტად.
(რა უყოთ, რომ ამ ბოლო დროს,
პარტიაში მე ვარ კენტად)
ვმართავთ კრებებს წესიერად,
მუდამ მე ვარ თავმჯდომარე.
მოხსენებას მე ვაკეთებ
მდივნობაც მე ჩავიბარე
დარბაზშიაც მე ვარ ერთად,
ვამბობ, ვისმენ და ვკამათობ,
განაჩენებს ვიღებ ერთხმად
თხუნჯობით „დარბაზს" ვართობ.
ერთი სიტყვით, მთლიანობა
ერთსულოვნად ყოფნა ასე
ჩვენს პარტიას არ მოსწრია
რაც შენ იგი დაარსე.

—:—

რა მიიღო ის პასუხი,
მოიწვია ნოემ კრება
ურჩებს უთხრა: „დააკვირდით
„სანდო" თუ რას იწერება.
იქ პარტია ერთსულოვნად,
თურმე, არის ერთად მტკიცედ,
სირცხვილია აქ ურჩობა,
ერთგულება შემომფიცეთ".
კრებიდან კი ვიღაც ურჩმა
მიაძახა ნოეს ასე:
„აქაც გნახავ იყო ერთხმად,
როგორც იქ გყავს ათანასე".

ხოზიკა.

ხელოვნება

„ჯაყოს ხიზნები და თეთრი საყელო"

მიხეილ ჯავახიშვილმა მოულოდნელი სიმძლავრით შეარყია ჩვენი მკითხველი საზოგადოება.

მან განსაკუთრებულის გულმოდგინებით მიაქცია ყველას ყურადღება და დღევანდელ მწერალთა შორის ის ყველაზე მკაფიოდ მოსჩანს ჩვენი საზოგადოების თვალში.

ჯავახიშვილის ნაწერებში არის ძლიერი ანდამატური ძალა, არის ისეთი ძარღვიანობა და სიმკვიდრე, რაც ყველას არსებაში ჰპოებს ძალა-უნებურ გამოძახილს.

თემები ჯავახიშვილის მოთხრობებისა ერთობ ფერადოვანია. აგრეთვე ფერადოვანია თვით მომქმედი გმირები, პირობები, ხასიათები და ფონიც, სადაც მხატვრული სიძლიერით იშლება მისი შემოქმედება. მას ბევრი ღირსეული მოთხრობა აქვს, მაგრამ მათგან მაინც მინდა გამოვარჩიო ორი რომანი.

„ჯაყოს ხიზნები" და „თეთრი საყელო".

„ჯაყოს ხიზნები" წიგნსაც თავისი ბედი აქვს. მიუხედავად ჯავახიშვილის საერთო სახელ-მოხვეჭისა, „ჯაყოს ხიზნებმა" მაინც საგანგებოდ შეაბოჭეს მთელი ყურადღება ჩვენი მკითხველი საზოგადოებისა.

ეს მოთხრობა ახლად წავიკითხე მეორედ გამოცემული. ნამდვილი და სრული შთაბეჭდილება კი პირველი წაკითხვიდან მომდინარეობს.

წიგნს რომ დაიწყებ და უეჭველად გინდა გაათავო, როცა კი გაათავებ—გენანება—რატომ კიდევ არ გრძელდებაო—ასეთი წიგნი უეჭველად ღირსეულია.

როდესაც წაკითხვის შემდეგ ნაწარმოების გმირები განაგრძობენ შენ სულში ფორიაქს, როდესაც წაკითხვით კი არ თავდება, არამედ მაშინ იწყება შინაარსის სრული შეგრძნობა—ასეთი ნაწარმოები სამკვიდროა და გამარჯვებულია.

როდესაც მკითხველი ხდება სულიერი მონაწილე ნაწარმოების და გადაექსოვება მის შინაარსს, მის სილამაზეს, მის იდუმალ ძლიერებასა და მომხიბვლელობას—ასეთი შემოქმედი ადვილად აღარ დაიძრახება დროებისაგან.

„ჯაყოს ხიზნები" თავიდანვე იპყრობს მკითხველის ყურადღებას და ბოლომდის ასე დამახვილებული გულმოდგინებით იკითხება იგი.

რაკი წიგნმა ძალიან დაგაინტერესა, სჩანს—ის უდაოდ კარგია. შემდეგ რა ნაკლს შეამჩნევ წვრილმანებში—ეს უკვე აღარ უშლის ხელს მის გამარჯვებას.

„ჯაყოს ხიზნებში" ბევრი მწვავე ტკივილებია აშლილი. მაგრამ ყველაზე დაუნდობრათ კი ეს ქართველი უარაქათო ინტელიგენცია გაშიშვლებული, რომელიც ასე დედიშობილათ წამსდგარა თავის და ქვეყნის სამსჯავროს წინაშე.

ამბობენ: თეიმურაზი გადაჭარბებული ტიპიო. საზომით მართლა გადაჭარბებულია. მაგრამ არსებითად განა თეიმურაზი ნამდვილი წარმომადგენელი არ არის ჩვენი „განათლებული" საზოგადოების უმრავლესობისა?

უნიადაგო, ლაჩარი, არაჭნია. თეორიებით და მსჯელობით ქვეყნის ბედ-იღბლის მატრიალებელი. ცხოვრებაში კი ყოვლად უსუსური და უნიადაგო.

ამას ზედ დაუმატეთ დაავადმყოფებული „აზნაურობა", რის გამოც თაკილობს გაჭირვების დროს ნამდვილ გარჯილობასა და შრომას. მაგრამ ადვილათ კი ურიგდება ყოვლად დამამცირებელ სხვის ხარჯზე ყოფნას და მუქთა-ხორობას

თეორიებით ყველა მკურნალი და ჰირისუფალი. ცხოვრებაში კი ყოვლად სნეული და უმწეო, როგორც ეკლიან გზაზე ფეხშიშველათ გაშვებული ბავშვი.

რომ ასეთი მდაბალი ფერებით არ იყვეს მოცული თეიმურაზი, ის ვერც მიიქცევდა ასეთ ძლიერ ყურადღებას.

ეგები „ჯაყოს ხიზნებმა" იმიტომაც ჰპოვეს, ასეთი გამოხმაურება, რომ ბევრმა, ძალიან ბევრმა იცნო თავის თავი თეიმურაზში?

მხოლოდ ერთ რამეში ვერ დავეთანხმებით პატივცემულ ავტორს:

თუ თეიმურაზი საერთოდ გამომსახველია ქართველი „მოაზნაურე" ინტელიგენციისა, ერთ საბუთში მაინც არა ბუნებრივია და ვერც გამოდგება ტიპათ.

ეს არის—მისი ცოლთან დამოკიდებულება, როცა ის მოწიწებით ურიგდება მარგოს ქცევას და ჯაყოს ფარდაგს მის თავმოყვარეობაზე.

მაგრამ ავტორი ყველა თავის მოთხრობებში იღებს რაიმე ცენტრალურ აზრს. შემდეგ ამ აზრის გასამართლებლად ის დაუნდობრად სწირავს ყველაფერს და გასაკვირი არ არის, თუ ზოგჯერ გადაჭარბებაში და ცალმხრიობაშიც ჩაიფლობა ხოლმე.

ჩვენმა ქალებმაც უეჭველად იგრძნეს ნათესაობა მარგოში.

იცნეს თავიანთი თავი და ეთაკილათ ასეთი სიგონჯე.

ყოველ შემთხვევაში ეს თავის თავის ცნობა ერთი უმთავრესი საბაბთაგანი უნდა იყვეს „ჯაყოს ხიზნების" ახმაურებაში. მით უკეთესი!

სჩანს, მწერლის მიერ დაკვირვებით გასროლილი ისარი გულდაგულ მოხვდა მიზანში მკითხველს.

თვითონ ჯაყო—ეს ხომ დიდებული მონოლიტური ტიპია, რომელიც დიდხანს დარჩება თითით საჩვენებლად მწერლობაშიც და ცხოვრებაშიაც.

სპეციალად აღსანიშნავია „ჯაყოს ხიზნების" საერთო იდეური მხარეც: თეიმურაზი—ეს თეორიებში გამოხრული, უნიადაგო და თავისი „ნასწავლობით" გამოტრაბახებული ადამიანი დიდხანს „იბრძოდა" თავის სილაჩრისა და უსუსურობის შესანარჩუნებლად. მაგრამ ბოლოს მაინც მოსდრიკა თანამედროვე ცხოვრების სინამდვილემ, სისადემ და მსჯელობით დიდ რამეების მოდავე—ბოლოს ჩაება მცირე-ნაყოფიერ პრაქტიკულ მუშაობაში.

დაავადებულ, უსიცოცხლო კაბინეტურ მსჯელობასა და თეორიებს აშკარათ ვადასძლია ნამდვილმა პრაქტიკულმა მუშაობამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი მცირეზედ მცირედია იმასთან შედარებით, რაზეც დავას აცხადებდა თეიმურაზი.

„ჯაყოს ხიზნებს" აგრეთვე უდიდესი დამსახურება მიუძღვის ჩვენი ბელეტრისტიკის განახლების ისტორიაში.

მან ახლად გამოაფხიზლა მკითხველი და გაუღვიძა ინტერესი საფუძვლიანი ნაწარმოებისადმი. მან თვით მწერლობაშიც აამუშავა ახალი ძალა—უფრო მკვიდრი, ბარაქიანი და ღირსეული შემოქმედებისთვის.

ასეთი გამარჯვების შემდეგ „ჯაყოს ხიზნები" ადვილათ გაუძლებს უსასტიკეს კრიტიკასაც კი.

„ჯაყოს ხიზნები"—ეს ნამდვილი მედროშე წიგნია ქართული რომანების მოსალოდნელ ლაშქრობისა. თუ ცოტაოდენად მოიბორძიკებს რომელიმე ფეხზე, ეს სრულიადაც ვერ ანელებს მის წინსვლას.

ეს არის სრული გამარჯვება წიგნისა და ავტორისა.

„თეთრი საყელო". მართალია ჯავახიშვილს კარგათ ეხერხება ახალ-ახალი თემების გამოძებნა და მათი ღირსეულად დამუშავება. მაგრამ „თეთრი საყელო" მაინც სრულიად თავისებურ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს ყველა მის ნაწერებში.

მიუხედავად იმისა, რომ მას არ უნახავს მთების ცხოვრება, ის მაინც დაგეშილი არწივივით გადაფრინდა იქ, შორს ხევსურეთში და გრძნეული კლანჭებით მაგრად ჩასბღუჯა იქაური კარჩაკეტილი, თავისებური და პირველ-ყოფილური ყოფა-ცხოვრება.

დავიწყებთ კითხვას. ჩაგვითრევს. გვინდა—ჩქარა გათავდეს. გვინდა—არც გათავდეს. გვინდა ჩქარა გავიგოთ და განვიცადოთ ეს მთებიდან გადმომსკდარი თავისებური სილამაზე. თანაც გვინდა დაუმთავრებელი იყვეს ეს მომჯადოებელი საგანი შემოქმედებისა, რომ ვიკითხოთ, დიდხანს ვიკითხოთ...

წიგნით ასეთი გრძნობის გამოწვევა—ეს უდიდესი გამარჯვებაა მკითხველზე.

„თეთრი საყელო" —ეს მონუმენტალური სურათია ჩვენ მთებში ჩაკეტილ ცხოვრებისა.

ჯავახიშვილს გასაოცარის სისწორითა და სიმკვიდრით შეუგრძნია მთის განყენებული ცხოვრების მიამიტი სიდიადე.

ხევსურული ცხოვრების თავისებური კოლორიტი გასოცარი სილამაზითა და სისწორით არის მოცემული.

ამ საუცხოვო ლიტერატურულ ნაწარმოებში ძლიერი აზრიც არის ღრმა ნაღარივით გატარებული.

მიუხედავად იმისა, რომ მთების განდგომილი ცხოვრება რომანტიულია, დიადი ლანდებით გარშემორტყმული—თანამედროვე ცხოვრებასთან ის მაინც სუსტია. და სიმბოლიური იდეიური დაბოლოებაცა აქვს:

ქალაქის თეთრი საყელო მაინც ამარცხებს მთების ჩანჩქან-მუზარადს.

ცხოვრების, მომავალს კანონად და თანამედროვე ადამიანის ბუნებით—საბოლოოდ თეთრი საყელო უფრო ძლიერი და მიმზიდავი გამოდგა, ვიდრე საუკუნოებით ნახმარი ჯაჭვის პერანგი.

ლელი.

ხელოვნების ქრონიკა

„საჯაოხური ხუმრობა"

დაიბეჭდა და გამოვიდა ამხ. ხ. მეგრელიშვილის იუმორისტული ნაწერების პირველი წიგნი „საჯაოხური ხუმრობა".

აჭარისტანი

—**ბაღ „არტო"-ში** დღეს გაიმართება იუმორისტის ანდრო სპარის საღამო.

— **პროლეტარული სახვითი ხელოვნების** ასოციაცია ახლო ხანში გაემგზავრება პროვინციებში მხატვრულ გამოფენების მოსაწყობად.

— **„ზღვის მბრძანებლობაში".** ამჟამად კინო „მინიონში" მიდის სურათი „ზღვის მბრძანებლობაში".

— **„ეთერში"** ორშაბათიდან დაიწყება ჩვენება ტურგენევის რომანიდან გადაღებულ სურათის „გამარჯვებული სიყვარულის სიმღერა".

ფეხბურთი

მეორე ნაკრები—„არსრაიონი"

დღეს, საღამოს 5 საათზე, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება თბილისის მეორე ნაკრები გუნდის და „არსრაიონის" ამხანაგური შეჯიბრი; ეს უკანასკნელი გუნდი გამოდის თავისი ძირითადი შემადგენლობით.

სასპორტო ოლიმპიადა

დღეს, ლენინის სახელობის სტადიონზე იწყება ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის ჯარის ნაწილების მე-2 სამხედრო-სასპორტო ოლიმპიადა.

პირველი დღის პროგრამაში შეტანილია შემდეგი: მონაწილეთა აღლუმი, საესტაფეტო რბენა, ხტომა სიმაღლეზე, ყუმბარის სროლა, ხტომა სიგრძეზე, ფეხბურთი—ერთი მატჩი და ბასკეტბოლი.

ოლიმპიადა გაგრძელდება 14 ივლისამდე; 18 ივლისიდან კი 25 ივლისამდე თბილისში ჩატარდება კავკასიის წითელ დროშოვან არმიის მეხუთე საიუბილეო სამხედრ -სასპორტო ოლიმპიადა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო მოკავშირენი.

პროფკავშირები

ვაჯანსაღებთ საკავშირო მუშაობას

ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის ც. გამგეობამ თავისი ძირითადი პროფუჯრედების (ადგილკომების) გამოკვლევას შეუდგა თბილისში მიმდინარე წლის მარტის პირველ რიცხვებში გამოკვლევა დამთავრდა მაისის დამლევს. გამოკვლევა ხდებოდა წინასწარ შემუშავებული კალენდარული განწესრიგების მიხედვით. თვითეულ გამოკვლეულ ადგილკომის სხდომაზე გამომკვლევი აკეთებდა მოხსენებას გამოკვლევის შედეგებზე, უთითებდა აღმოჩენილ დეფექტებზე, აძლევდა საჭირო ახსნა-განმარტებას და მიუთითებდა იმ საშუალებებზე, რომლის შემწეობითაც მომავალში შესაძლებელია გამოსწორდეს გამოკვლევის დროს აღმოჩენილი ესა თუ ის ნაკლი. ამის შემდეგ, როგორც თვით გამომკვლევი ისე ადგილკომების მუშაკები აკეთებენ მოხსენებას ც.-გ. პრეზიდიუმის სხდომაზე.—პრეზიდიუმი თავის მხრივ აძლევდა მომავალი მუშაობისათვის საჭირო დირექტივებს. შემდეგ იწვეოდა საერთო კრება, მოხსენებით გამოდიოდა ადგილკომი, თანამომხსენებლად კი გამომკვლევი. ასეთი წესით მოხდა ყველა ადგილკომების გამოკვლევა; მათი გადარჩევა კი დამთავრდება მიმდინარე თვის უკანასკნელ რიცხვებში.

გამოკვლევამ შეეხო აგრეთვე სამაზრო განყოფილებებს და სამაზრო ადგილკომებს, როგორიცაა მაგ., ფოთის, ბათომის, სოხუმის, სენაკის, ქუთაისის, შორაპნის და სხვა.

ყოველ ცალკე შემთხვევაში, თვითეულ მათგანს მიეცა წერილობითი ახსნა-განმარტება ამა თუ იმ დროს შემჩნეულ ნაკლის გამოსასწორებლად.

გამოკვლევამ აღმოაჩინა აგრეთვე სისხლის სამართლის დანაშაულის შემთხვევები: 1) საკავშირო ფულების გაფლანგვა 2) უმუშევარი მოქალაქის კავშირის წევრად მიღება; 3) ორ ადგილას ხელფასის აღება; 4) სარევიზიო კომისიის ოქმით მადლობის გამოცხადება და დაჯილდოება იმ დროს, როდესაც გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ „მადლობის ღირსს" მოქალაქეს ფულები ჰქონია გაფლანგული და სხვა. ც.-გ. მიერ მიღებულია სათანადო ზომები დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემათ.

ა) თბილისის საქონლის სადგურის ადგილკომი **მოქ. მ. სიხარულიძეს გაუფლანგავს 225 მან. და 25 კაპ.**

ბ) ა.-კ. წით. დროშ. არმიის შტატს გარეშე **ტრანსპორტში მოქ. ს. კარაპეტიანცს გაუფლანგავს 202 მან. და 75 კაპ.**

ვ) „ზაკტეპოს" გარაჟის ადგილკომში **მოქ. აკ. გარუჩავას 120 მან. და 75 კაპ.**

სულ 548 მან. 16 კაპ.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებზე შედგენილია სათანადო ოქმები და დამნაშავენი კავშირის წევრობიდან — გამორიცხვასთან ერთად პასუხისგებაში არიან მიცემულნი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოქ. გარუჩავას ფულების გაფლანგვასთან ერთად ყალბი საბუთების დამზადების საშუალებით ჩაურიცხავს კავშირის წევრებათ ორი მოქალაქე ერთი თვით თავის ძმა და მეორე სხვა.

ორ ადგილას ერთ და იმავე თვეში ხელფასის აღება, სარევიზიო კომისიის მიერ ყოვლად უვარგისი მუშაობის „მოწონება" ხელფასის, ხარჯთაღრიცხვის გარეშე, მომატებაზე საკითხის დასმა ადგილკომებში და სხ.—იმას ნიშნავს, რომ სარევიზიო კომისიები ადგილებზე ვერ გრძნობენ პასუხისმგებლობას, აღმაცერად და ზერელედ უყურებენ დავალებულ საქმეს და ამიტომ გამოყავთ დასკვნაც, რომ საქმე კარგათაა დაყენებულიო.

საჭიროთ მიგვაჩნია დაისვას საკითხი, იმის შესახებ, რომ თუ სარევიზიო კომისიის წევრები, იმის შემდეგ, რაც რომ მათ გასინჯეს ადგილკომის ანგარიშები და თავის ოქმში აღნიშნეს, რომ ყველაფერი რიგზეა, და ბოლოს აღმოჩნდება ფულის გაფლანგვის შემთხვევა, დაისაჯონ—ბოროტმოქმედების ჩამდენთან თანაბრად.

ა. ფრუიძე.

პროფმუშაობის ქრონიკა

ბათომის მეზღვაურთა კავშირში
კოლექტიური ხელშეკრულების დასადებად

მეზღვაურთა კავშირის ცენტრ. გამგეობამ წინადადება მისცა ფოთის ნავთსადგურის კომიტეტს შეეკრას კოლექტიური ხელშეკრულებით საქართველოს წყლის მეურნეობის ადმინისტრაციას. კოლექტიური ხელშეკრულების პროექტი წინასწარ უნდა იქნეს განხილული წყლის მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე.

მკერავთა კავშირში

— **სატარიფო შეთანხმების დადება.** კავშირის ცენტრ. გამგეობამ მოისმინა ამხ. კაჟარაშვილის მოხსენება კოლექტივ. „დახმარება"-სთან სატარიფო შეთანხმების დადებაზე. ცენტრ. გამგეობამ საჭიროდ სცნო დასდოს ხელშეკრულება.

სახელმწიფო სესხი

თბილისში მიღებულია ცნობა, რომ საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა სახელმწიფო სესხის ტირაჟების ცხრილი 1926 წლისა და 1927 წლის იანვრისათვის.

მეორე მომგებიანი სესხის მეექვსე ტირაჟი და სამეურნეო აღდგენის სესხის განაღდების პირველი ტირაჟი გაიმართება მოსკოვში მიმდინარე წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში.

მეორე საგლეხო სესხის მეოთხე ტირაჟი გაიმართება პირველიდან 10 ოქტომბრამდე ნოვოსიმბირსკში.

პირველი მომგებიანი სესხის მეცხრე ტირაჟი გაიმართება 1927 წლის 2-დან 6 იანვრამდე ბაქოში; ამავე დროს გათამაშებული იქნება მეორე მომგებიანი სესხის ბილეთები.

მეორე საგლეხო სესხის მეხუთე ტირაჟი გაიმართება 20—30 იანვარს მოსკოვის გუბერნიაში; რვა პროცენტიანი სესხის განაღდების მესამე ტირაჟი დანიშნულია ბაქოში 1927 წლის 7 იანვრისათვის.

მეტრიული სისტემა

მეტრიული სისტემის პოპულარიზაციის მიზნით, საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოსთან არსებულმა ცენტრალურმა მეტრიულმა კომისიამ გამოაცხადა კონკურსი სცენარის შესადგენად მეტრიული სისტემის დახასიათებაზე აგებულ კინო-სურათისათვის.

სურათი განზრახულია გაიგზავნოს საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა რესპუბლიკების სოფლებში; სურათმა თვალნათლივ უნდა დაუმტკიცოს გლეხობას ზომა-წონის ახალი იარაღების სარგებლიანობა, სურათმა უნდა ასწავლოს გლეხებს ამ იარაღების მოხმარება, სურათის სიუჟეტი აღებული უნდა იქნეს გლეხთა ყოფა-ცხოვრებიდან.

საუკეთესო სცენარისათვის ჯილდოთ დანიშნულია 250 მანეთი. სცენარების წარდგენის ვადაა—1 აგვისტო.

საქონლის ბირჟაში

9 ივლისს შესდგა სამრეწველო სექციის სხდომა. სხდომაზე განხილული იქნა საკითხი ამიერ-კავკასიაში ლითონის შემოზიდვის გეგმის შესახებ.

მოხსენებით ამ საკითხზე გამოვიდა სალითონო სინდიკატის თბილისის კანტორის უფროსი ამხ. ყიასაშვილი,რომელმაც დაახასიათა ის მძიმე პირობები, რომელსაც განიცდის ამჟამად ლითონის მრეწველობა. ამის გამო ამიერ-კავკასიაში ლითონის და მისი ნაწარმოებთა შემოზიდვა მცირეა.

სექციამ დადგინა სთხოვოს შინა-ვაჭრობის კომისარიატს, რათა მან მიიღოს ყოველგვარი ზომები, რათა ლითონი საჭირო რაოდენობით იქნას შემოტანილი.

გზები

მუშათა და გლეხთა ინსპექციის და შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატების მიერ მაზრებს და ავტონომიურ ერთეულებს მიეწერათ მოსახლეობის საგზაო აღმშენებლობაში ჩაბმის შესახებ.

განკარგულებასთან ერთად ადგილებს დაეგზავნათ აგრეთვე ანკეტა, სადაც აღნიშნული უნდა იქნეს, თუ რა გაკეთდა, ან რის გაკეთებაა განზრახული ამა თუ იმ რაიონში საგზაო აღმშენებლობის დარგში.

ალმასკომებს ამასთანავე წინადადება ეძლევათ საჩქაროთ შეუდგენ საგზაო ბეგარის შესახებ კამპანიის ჩატარებას და შეუდგენ გეგმის შედგენას იმის შესახებ, თუ უახლოეს ხანში რომელი გზა უნდა იქნეს გაყვანილი პირველ რიგში.

სამაზრო ალმასკომებს დავალებული აქვთ აგრეთვე შეისწავლონ ადგილობრივ საგზაო ბეგარის შესახებ გამოცემული მთავრობის დეკრეტის ზოგიერთი მხარეები და თავისი მოსაზრებანი წარადგინონ ცენტრში.

სას.-სამ. გამოფენა
მანქანების დემონსტრაცია

გამოფენის დახურვა გაზრახულია 20—26 ივლისამდე; სანამ გამოფენა დაიხურება, ყოველდღე მოხდება ტრაქტორების, ავტო-ფრო-ზების, სამკალი, სლეჯი და სარჩევი მანქანების მოსასხურებლების, ბეტონის, აგურის საკეთებელ მანქანების, ქვის სტეხი, გზის სატკეპნი და ხის სახერხი მანქანების. სხვადასხვა ძალიან ელექტრო-სადგურების, დაზგების, საქაჩავების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების დემონსტრაცია.

დემონსტრაცია უქმე დღეებში დაიწყება დილის პირველი საათიდან, საქმიან დღეებში კი —საღამოს 5 საათიდან.

უქმე დღეებში იწარმოებს პურის გალეწვა მარცვლის გარჩენდა, თივის და გზის ტკეპნა, ნამგლით მკა და სხვა.

„ალფა-ლავალ"-ის პავილიონში ყოველდღე ხდება კარაქის დამამზადებელ მანქანების დემონსტრაცია.

გამოფენაზე ჩამოტანილია მრავალი ახალი ექსპონატები: გაზიანი წყლის ქარხნის მოწყობილობა, ორთქლიანი სატკეპნები, საძეხვო ქარხნები, აბრეშუმის სახვევი მანქანები და სხვა.

გამოფენაზე მოწყობილია კინო-თეატრი, სადაც სურათების ჩვენება იწყება საღამოს 9 საათიდან.

გამოფენის ქრონიკა

გამოფენის დახურვა
„სელმაშ"-ის პავილიონი

სინდიკატ „სელმაშ"-ის პავილიონში დღეს მოხდება იარაღ-მანქანების დიდი დემონსტრაცია.

ტრაქტორების გამოცდა

დამთავრდა ტრაქტორების გამოცდა; ამჟამად საექსპერტო კომისია ამუშავებს გამოცდის მასალებს. შედეგი გამოქვეყნდება ამ დღეებში.

ტრაქტორების გადარჩენა

ტრაქტორების გადარჩენა დანიშნულია 12 ივლისისათვის; გადარჩენაში მონაწილეობას მიიღებენ ყველა ტრაქტორები.

სპეციალისტების ჩამოსვლა

მანქანების გამოცდაზე დასასწრებლად რუსეთიდან და აზერბეიჯანიდან ჩამოვიდენ ცნობილი სპეციალისტები.

რა დროვდი მუშაობს გამოფენა

გამოფენა ღიაა დილის 9 საათიდან საღამოს 10 საათამდე; დღეს გამოფენაზე თავისუფლების მოედნიდან ივლის ავტობუსები.

მუსიკა

სიმფონიური კონცერტების სეზონი გამოფენაზე დამთავრდა; საღამოობით 5 საათიდან 10 საათამდე უკრავს სამხედრო ორკესტრი.

შესასვლელი ფასი

გამოფენაზე შესასვლელ ფასად დაწესებულია: საქმიან დღეებში — პროფკავშირთა წევრთათვის—20 კაპ., სხვა მოქალაქეებისათვის— 30 კაპ.; უქმე დღეებში პროფკავშირთა წევრები იხდიან—40 კაპ., სხვა მოქალაქეები—60 კაპ.

ტრაქტორების გამოცდა

9 ივლისს დამთავრდა ა. კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ჩამოტანილ ტრაქტორების გამოცდა.

გამოცდას ახდენდა ცალკე კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა სახელმწ. უნივერსიტეტის პროფესორი კ. ამირაჯიბი; კომისიაში შედიოდენ აგრეთვე როსტოვის-დონზე გამომცდელი სადგურის გამგე პროფესორი კრასნოვი, ინჟინერი—ზნამენსკი და ა. კიზირია.

გამოცდა სწარმოებდა ალმასკომის კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე ხუდადოვისეულ ტყის მახლობლად. თვითეულ ტრაქტორს აქ უნდა მოეხნა დესეტინა ნახევარი მიწის ნაკვეთი, რაც საერთოდ დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

გუშინ დილით დაიწყო ტრაქტორების ე. წ. დინემომეტრიული გამოცდა. აღნიშნული გამოცდაზე შემოწმებულ იქნა შემდეგი ფირმების ტრაქტორები: „დიდი ინტერნაციონალი" „პატარა ინტერნაციონალი". „ხოლტი", „ალი", „ფორდზონ" და სხ.

გამოცდების საბოლოო შედეგი და იმ მანქანების არჩევა, რომლებიც უფრო შესაფერისი იქნება ამიერ-კავკასიისა და საქართველოს პირობებისათვის, გამოირკვევა სამშაბათისათვის.

გამოცდებს ესწრებიან მთავრობის წევრები, მიწათმოქმედების კომისარიატის წარმომადგენელნი, საგარეო ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებული, გამოფენის ადმინისტრაცია, ფირმის წარმომადგენლები და სხ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 45

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს ს. ს. რ. მიწის კოდექსის 103 მუხ. შეცვლის შესახებ

თანახმად ს. ს. რ. კ-ის ც. ა. კ-ტის და ს. კ. ს. მიერ „ტრანსპორტისათვის მიცემული მიწების დებულების სამოქმედო შემოღების“ შესახებ 1925 წლის აგვისტოს 28-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-4 მუხლისა (გაზ. „იზვესტია“-ს 230 №-რი (2363) 1925 წლ.), სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მიწის კოდექსის 103 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

103. „სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონების შედგენილობაში არ შედის: ტყიანი მიწები, სამთო-სამრეწველო ადგილები, ციხე-სიმაგრეებით და სხვა სამხედრო ნაგებობის დაჭერილი ადგილები, ის მიწები, რაც მიეცა რკინის გზებს, წყლის (ზღვის და მდინარის) ტრანსპორტს და აგრეთვე საერთო-საკავშირო და სტრატეგიული მნიშვნელობის გზატკეცილებს და შარა გზებს, და სხვ. ყველა ასეთი მიწა სათანადო უწყების გამგებლობასა, სარგებლობასა და განკარგულებაშია საამისოდ გამოცემული განსაკუთრებული წესების საფუძველზე. ხოლო ეს მიწები, როცა საჭირო აღარ იქნება სპეციალური მიზნისათვის, ჩაირიცხება სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონებათა შედგენილობაში“.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1926 წლ. ივლისის 5.
თბილისი—სასახლე.

დადგენილება № 48

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს ს. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სახელმწიფო გამომცემლობის შესახებ.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—**ს. ჰ. ჯუღელი.**

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი—**ალ. სალარიძე.**

1926 წ. ივლისის 10.
თბილისი—სასახლე.

დებულება

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სახელმწიფო გამომცემლობის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი.

1. თანახმად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ სახალხო განათლების კომისარიატის შესახებ 1925 წლის იანვრის 12-ს დამტკიცებული დებულებისა, ამავე კომისარიატთან დაარსდება საგამომცემლო ორგანო, რომელსაც ეწოდება „საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა“, ხოლო შემოკლებით „სახელგამი“, რომლის მიზანია მეცნიერებისა, პოლიტიკისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის ყოველგვარი ორიგინალური და თარგმნილი ნაწარმოების, სასწავლო წიგნებისა და სახელმძღვანელოების გამოცემა და გავრცელება.

2. პირველ მუხლში აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად სახელგამს უფლება აქვს:

ა) გამოსცეს და გაავრცელოს ყოველგვარი პერიოდული და არაპერიოდული ლიტერატურა მეცნიერებისა, პოლიტიკისა და ხელოვნების დარგში, როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი.

შენიშვნა: კერძოდ, სამოსწავლო წიგნებისა და სახელმძღვანელოების გამოცემა-გავრცელების დარგში სახელგამს ეძლევა მონოპოლიური უფლება.

ბ) შეიძინოს, გაყიდოს, მიიღოს გასაყიდათ საკომისიო საფუძველზე ბეჭდვითი სიტყვის ყოველგვარი ნაწარმოები;

გ) გახსნას ყველგან, ს. ს. რ. კ. ფარგლებში განყოფილება, სააგენტო, საბითუმო და ცალობითი ვაჭრობის მაღაზია, საწყობი და სხვ.;

დ) იქონიოს თავისი სტამბა, ლიტოგრაფია, ასაკინძი სახელოსნო და სხვა, საგამომცემლო მუშაობასთან დაკავშირებული, ყოველგვარი საწარმო;

ე) მიიღოს ყოველგვარი შეკვეთა, რაც სახელგამის მიზნებს შეეფერება, ისარგებლოს კრედიტით, დასდოს ყოველგვარი ხელშეკრულება, ისარჩელოს და პასუხი აგოს სასამართლოში და საერთოდ ისარგებლოს იურიდიული პირის ყველა უფლებით.

3. სახელგამი იმყოფება ქ. თბილისში. სახელგამს აქვს ბეჭედი საქართველოს ს. ს. რ. რესპუბლიკის სახელმწიფო ღერბით და საკუთარი სავაჭრო ნიშნით.

II. სახელგამის ქონება და პასუხისმგებლობის წესი.

4. სახელგამის საწესდებო კაპიტალს შეადგენს: ა) ძირითადი და ბ) საბრუნავი კაპიტალი. ძირითად კაპიტალს შეადგენს ყველა საწარმო, რაც სახელგამს გადაეცემა, ან მის მიერ იქნება შეძენილი. საბრუნავ კაპიტალს შეადგენს ფული, ფასიანი ქაღალდები, პროდუქცია, ტექნიკური მასალა და აგრეთვე ყველა საგანი, რომელიც წარმოების პროცესში ერთხელ გამოიყენება.

5. სახელმწიფო გამომცემლობა არის სამეურნეო ანგარიშზე აგებული ორგანიზაცია და სახელმწიფო ხაზინა სახელგამის ვალისათვის პასუხს არ აგებს.

III. სახელგამის გამგებლობა და მისი უფლება-მოვალეობანი

6. სახელმწიფო გამომცემლობის სათავეში სდგას გამგე, რომელსაც დანიშნავს განათლების სახალხო კომისარი და რომელიც პასუხისმგებელია სახელგამის მთელი მოქმედებისათვის. გამგის მოვალეობას შეადგენს სახელგამის საგამომცემლო და სავაჭრო საქმეების უშუალო ხელმძღვანელობა განათლების სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებულ საგამომცემლო და ფინანსიურ გეგმათა ფარგლებში. გამგეს უფლება აქვს იმოქმედოს სახელმწიფო გამომცემლობის სახელით და გამომცემლობის საქმეების გამო ურთიერთი მიმართვა იქონიოს ყველა სახელმწიფო, თუ კერძო ორგანიზაციასთან და პირთან, გარდა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, სახალხო კომისართა საბჭოსი, და უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი, რომელთანაც ურთიერთ მიმართვას იქონიებს სახალხო განათლების კომისარიატის მეშვეობით.

7. გამგეს ჰყავს მოადგილე, რომელსაც დანიშნავს განათლების სახალხო კომისარი და რომელიც გამგის არყოფნის დროს ასრულებს უკანასკნელის მოვალეობას.

8. სახელგამის საოპერაციო წელიწადი ითვლება ოქტომბრის პირველიდან შემდეგი წლის სექტემბრის 30-მდე. საოპერაციო წლის დასრულების შემდეგ, არა უგვიანეს სამი თვისა, გამგე ვალდებულია წარუდგინოს განათლების სახალხო კომისარიატს დასამტკიცებლად გასული წლის ოპერაციების დაწვრილებითი ანგარიში, ბალანსი და მომავალი საოპერაციო წლის სავაჭრო გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა.

9. სახელგამის მთელი მიწერ-მოწერა, ყველა თამასუქი, მინდობილობა, ხელშეკრულება და სხვა იურიდიული მნიშვნელობის აქტი ხელმოწერილ უნდა იქნეს სახელგამის გამგის მიერ, ან, გამგის არყოფნის დროს, მისი მოადგილის მიერ. მიმდინარე ანგარიშის ჩეკს ხელს მოაწერენ სახელგამის გამგე და ბუხჰალტერი, ხოლო გამგის არყოფნის დროს მისი მოადგილე. საფოსტო ამანათისა, ყოველგვარი კორესპონდენციისა, ფულისა და საბუთის მისაღებად საკმარისია გამგის, ან მისი მოადგილის ხელის მოწერა სახელგამის ბეჭდის დასმით.

10. სახელმწიფო გამომცემლობასთან არსებობს: ა) სარედაქციო კოლეგია; ბ) სავაჭრო განყოფილება; გ) საგამომცემლო განყოფილება და დ) ბუხჰალტერია და კანცელარია.

სარედაქციო კოლეგია შესდგება 9 წევრისაგან, რომელთაც დანიშნავს განათლების სახალხო კომისარი. კოლეგიის მოვალეობას შეადგენს განიხილოს და დაამტკიცოს სახელგამის საკვარტალო და წლიური საგამომცემლო გეგმა, გაუკეთოს რედაქცია ისეთ ნაწარმოებს, რომელიც სახელგამის მიერ წარდგენილი საგამომცემლო გეგმის თანახმად, მიღებული იქნება გამოსაცემად და აგრეთვე განიხილოს გეგმის გარეშე გამოსაცემი ნაწარმოები და მისცეს სახელგამს თავისი დასკვნა ამ ნაწარმოების შესახებ.

საგამომცემლო და სავაჭრო განყოფილებანი, ბუხჰალტერია და კანცელარია მოქმედებენ განსაკუთრებული ინსტრუქციის თანახმად, რომელსაც შეიმუშავებს სახელგამის გამგე და დაამტკიცებს განათლების სახალხო კომისარიატი.

სახელგამის ლიკვიდაცია

11. სახელმწიფო გამომცემლობის ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს მხოლოდ საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით. ლიკვიდაციის წესი შემუშავდება განათლების სახალხო კომისარიატის მიერ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან შეთანხმებით და გადაეცემა შესასრულებლად სალიკვიდაციო კომისიას, რომელსაც დანიშნავს განათლების სახალხო კომისარიატი.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე—**ს. ჰ. ჯუღელი.**

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1926 წ. ივლისის 10.
თბილისი—სასახლე.

იურიდიული რჩევა-დახმარება

კანონიერია, თუ არა დამზღვევი სალაროს მოქმედება

კითხვა

მე ვმსახურობდი მასწავლებლად ზესტაფონის 9—წლედში. ვღებულობდი ჯამაგირს მე-12 თანრიგით 51 მან. 33 კ. ვმსახურობდი 1917 წლიდან 1925 წლის 1 ოქტომბრამდე. განათლება მაქვს უმაღლესი. მას შემდეგ, რაც დაიხურა ის ჯგუფები, რომლებსაც მე ვასწავლიდი, მე დავრჩი უადგილოდ. ვერსად ვერ ვიშოვნე სამსახური, თუმცა სხვადასხვა დაწესებულებებში მქონდა ნათხოვარი ადგილი. მივმართე განათლების მუშაკთა კავშირს დახმარებისათვის, მაგრამ მან ვერ აღმომიჩინა ვერავითარი ნივთიერი დახმარება შემდეგ მივმართე დამზღვევ სალაროს ზიათურაში და აუხსენი ჩემი მდგომარეობა. დამზღვევმა სალარომ მოითხოვა მოწმობა ჩემი ოჯახური მდგომარეობის და აგრეთვე ჩემი ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. მე მაქვს მიწა 2½ ქცევა, რომლის შემოსავალი მე ვერ მაკმაყოფილებს. ოჯახი ჩემი შესდგება 4 სულისაგან და ჩემი ოჯახისათვის ჩემს გარდა არავინ არ არის, რომ დამეხმაროს. ვცხოვრობ ძლიერ ღარიბათ. დამზღვევმა სალარომ უარი მითხრა დახმარებაზედ იმ მოსაზრებით, რომ მე მაქვს ცოტა მიწა. არც დამზღვევა და არც ფულით მომცა დახმარება, როგორც უმუშევარ კავშირის წევრს.

ამიტომ გთხოვთ ახსნა-განმარტებას კანონიერია თუ არა დამზღვევი სალაროს მოქმედება და მე დახმარება მერგება თუ არა დამზღვევ სალაროდან. აგრეთვე გთხოვთ მიპასუხოთ ვალდებული იყო თუ არა კავშირი ეზრუნა ჩემზის, რომ მე მიმეღო დამზღვევ სალაროდან დახმარება.

მასწავლებელი ამბაკო გაფრინდაშვილი.

პასუხი

თანახმად ამ.-კავ. შრომის სახკომატის დადგენილება № 139-ის მუხ. 1-ის 1924 წ. 22 ნოემბრიდან, უმუშევრობის დროს დახმარების მიღების უფლებით სარგებლობენ მხოლოდ ისეთი უმუშევრები, (მიუხედავად მათი სწავლა-განათლებისა) რომელნიც არიან კავშირის წევრები, დაზღვეულები და შრომის სახკომატის საშუამავლო ორგანოების ან და პროფკავშირის მიერ არიან აღრიცხვაზეც აყვანილი, და რომელთაც არ გააჩნიათ არსებობის არავითარი წყარო რაიმე შემოსავლის სახით. მასთან საშუამავლო ორგანოებში ან და სათანადო პროფკავშირში უმუშევარი უნდა იყოს აღრიცხული არა უგვიანეს სამი თვის დღიდან მისი სამუშაოს შეწყვეტისა.

თქვენ კი, ამხანაგო როგორც თქვენი განცხადებიდან სჩანს, გაქვთ მიწა, რომლიდანაც რაიმე შემოსავალს მაინც იღებთ, რომლითაც ირჩენთ თავსა და ცოლშვილს (თუმცა ღარიბად). მასთან თქვენ უნდა იცოდეთ, რომ მუშა-მოსამსახურის დაზღვევა ევალება დამქირავებელს და არა დამზღვევ სალაროს, როგორც თქვენ ამბობთ.

პროფკავშირების მოვალეობაა თვისთ წევრებს გაუწიონ ყოველგვარი დახმარება მხოლოდ კანონიერ ფარგლებში. კავშირის წევრზე უკანონო ზრუნვას ვერ იკისრებს პროფკავშირიც.

ნათქვამიდან ცხადია, რომ დამზღვევი სალაროს მოქმედება თქვენ მიმართ სრულიად კანონიერია და არც კავშირს ეკუთვნის ხაყვედური.

ვრცელდება თუ არა ჩემზე სოციალური დაზღვევა

კითხვა

მე ვარ მოხუცი-ინვალიდი, რომელსაც 45 წელი მიმსახურია სხვადასხვა დაწესებულებაში. მათ შორის 3 წელი საბჭოთა ხელისუფლების დროს, როდესაც ვიყავი დაზღვეული.

ადგილობრივ სოციალური დაზღვევის სალარომ, არ ვიცი რა მოსაზრებით, მომხსნა კმაყოფიდან—სრულიად უსაფუძვლოთ. მე მაქვს ერთი ნორმა მესამე კატეგორიის მიწა „ეწერი“, რომლის შემოსავალი ოდნავ თუ ფარავს ხარჯებს; მიდგია უბრალო მიწური სახლი. სხვა რამე შემოსავალი არა მაქვს. საბუთები—სიღარიბის, მიწის რაოდენობის, სამსახურის ხანგრძლივობის და საექიმო-საკონტროლო კომისიის დასტური წარდგენილი მაქვს. მართალია, მყავს ვაჟი-შვილი, მაგრამ ის დიდი ხანია, ცალკე სცხოვრობს და ძლივს უვლის თავის მრავალრიცხოვან ცოლ-შვილს. სამი—ოთხი თვეა, რაც მიწერ-მოწერა სწარმოებს ჩემი განცხადებების შესახებ—ცენტრალური სამმართველო და ზუგდიდის სალაროს შორის და გადაჭრილ პასუხს ვერ ვღებულობ.

გთხოვთ მიგვითითოთ ვრცელდება თუ არა ჩემზე დაზღვევა, და ის პატარა ქონება, რომელიც მე ზემოთ დავასახელე, მართმევს თუ არა უფლებას სოც. დახმარების მიღებისთვის.

ნესტორ უტას ძე ხვიტია.

პასუხი

თანახმად საკავშ. საქ. რესპ. შრომის სახკომატთან არსებულ სოცდაზღვევის საბჭოს დადგენილება № 114/906-სა 1925 წ. 4 აპრილიდან, ის გარემოება, რომ შრომის ინვალიდებს აქვთ არსებობის რაიმე წყარო, საერთო წესით მათ არ ართმევს სოციალურ დახმარების უფლებას. მაგრამ მას (ზემოაღნიშნ. გარემოებას) შეუძლია გამოიწვიოს სოცდახმარების გაცემის შეჩერება, თუ კი არსებობის წყარო (როგორც მაგალითად —სასოფლო მეურნეობიდან, ბაღ-ბოსტნიდან, ცხვალი ინვენტარიდან, შრომის ხელოსანიდან და სხვა ამ გვარის შემოსავლები) მინიმალურად მაინც აკმაყოფილებს, სოცდაზღვევის სათანადო ორგანოების შეხედულებით, შრომის ინვალიდების მოთხოვნილებებს. სრულწლოვან შვილი ყოლა, რომელიც ცხოვრობს ცალკე და უვლის თავის ცოლშვილს, არ იქონიებს არავითარ გავლენას თქვენთვის სოცდახმარების გაცემაზე. (იხ. იქავე მუხ. 1, 2, 3, 4).

ამგვარად, თქვენზედაც, ცხადია, გავრცელდება სოცდაზღვევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი თქვენი ეკონომიური მდგომარეობა (რაც უნდა გაიოარკვიოს ადგილობრივად სოცდაზღვევი სათანადო ორგანომ) სავსებით აკმაყოფილებს ზემოხსენებული დადგენილების პირობებს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კ. პ. თბილისის კომიტეტის საადრესო-გამანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს სამი დღის ვადაში გამოცხადდენ სააღრიცხვო ქვე-განყოფილებაში ამხ. ზუბალაშვილთან.

კალიაკინი პეტრე, პოპოვი ლუკა, ციროტკინი ალექსანდრე, ზოგლიძე სერგო, ტალაძე ლადო, აგაკოვი სოფრო, ფელკინი ლევ, გოგიბერიძე ლავრენტი, სიხარულიძე მარია, ქორიძე სოფიო, გადელიანიშვილი კოტე, კლოვრელი გიორგი, კოწოლაძე ვასილ, ვატლოვსკი ნიკოლოზ, ფედოროვი ვასილი, საფაროვი სტეფანე, ვართანოვი სეკაეფლნი, ჩანკაშვილი სიკო, ტკვიბიშაძე, მიქელაძე გიორგი, ავეტისოვი გაიკი, კოპალიანი შიო, ჯიკაევი მიხეილ, მხიტარიანი ანდრეისი, იზატოვი გალიბი, ლალიაშვილი დავითი, არეშიძე ნიკოლოზ, ცერელოვი ნიკოლოზ, ჯავახიძე კოწია.

სამშაბათს, 13 ივლისს, ქალაქის აღმასკომის შენობაში, საღამოს 6 საათზე შესდგება საქართველოს კ. პ. თბილისის კომიტეტის ქალაქის რაიკომის გაფართოებული პლენუმი, უჯრედების ბიუროების და ქალაქის რაიონის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ფრაქციების მდივნების თანდასწრებით.

ა. ლ. კ. კ. ცეკა იტყობინება, რომ ორშაბათს 12 ივლისს, დილის 9 საათზე, შესდგება ცეკას ეკონომ-კომისიის სხდომა; კომისიის ყველა წევრებისათვის და კავშირის წარმომადგენლებისათვის დასწრება სავალდებულოა.

ორშაბათს, 12 ივლისს, დილის 8 საათზე, შესდგება საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებულ მიმღებ კომისიის სხდომა; დასწრება შემდეგი ამხ. სავალდებულოა: ინაური, უუკოვი, კირვალიძე და ენუქიძე.

კვირას, 11 ივლისს, დღის 12 ნახ. საათ. ვერის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფასი ამხანაგის

დათიკო ლომთაძის

გარდაცვალებიდან წლის თავის აღსანიშნავად. რასაც, აუწყებენ საზოგადოებას განსვენებულის მახლობელი მეგობრები.
ქ. 3096 2—2

მეუღლე ოლღა ჯაფარიძისა და შვილები მაღლენა, საშა, სერიოჟა და ირაკლი აუწყებენ ნათესავ და მეგობართ, რომ კვირას, 11 ივლისს, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი გარდაცვალებიდან ორმოცი დღის აღსანიშნავათ მათთვის დაუვიწყარ პირველისათვის ქმრის და დანარჩენებისთვის მამის

გიორგი პავლე ჯაფარიძის

პანაშვიდი გადახდილი იქნება კუკიის სასაფლაოზე დღის 12 საათზე.
ქ. 3095 2—2

მეუღლე სონა, შვილები: შალვა, დათიკო, თამრო, თინა და ქეთო, დები: ანა, და ლიდა, სიძე სავლე, რძლები ნინა, და ანტონინა და პაწია შვილისშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მათი დაუვიწყარი და მუდამ საყვარელი

ტრიფონ თაბუკაშვილის

გარდაცვალების ნახევარი წლის თავს, კვირას, 11 ივლისს, ნაშუადღევის 1 საათზე, ნიკოლოზის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი.
ბ. 1536 2—2

ხვალ ორშაბათს, 12 ივლისიდან კინო-თეატრებში ეთერი და მინიონი ერთდროულად

„გამარჯვებული სიყვარულის სიმღერა“

ბ. 1548

ნაჩვენები იქნება პირველად თბილისში სეზონის საუკეთესო სურათი კოვანკოს, კოლინის და ანჯელოს მონაწილ.

მხატვრული დრამა 7 ნაწილად ტურგენევის რომანიდან

საზაფხულო **აპოლო** (ბაღი „არტო“, პლეხ. № 105).

საზაფხულო **ეთერი** (სახელმწ. ოპერის ბაღში)

ზოლე

ბ. 1446 0—9

უკანასკნელი დღე **ნიბელუნგები** 3 და 4 სერია

ანონსი: ხვალ, ორშაბათიდან დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით საუკეთესო სურათი „რობინ გუდ“

უკანასკნელი დღეები **„ქალი ნიღაბში“**

მთავარ როლებში: კოვანკო, რიმსკი, კოლინი.

ანონსი: მალე „გამარჯვებული სიყვარულის სიმღერა“

უკანასკნელი 5 და 6 სერია ერთად **„ამერიკელი ქალის თავგადასავალი“**

ანონსი: ორშაბათიდან პრემიერა „ზღვისა და კლდის პირას“

„СЕКАРОВСКАЯ ЖИДКОСТЬ“
ПРИГОТОВЛЕННАЯ ПО СПОСОБУ
ПРОФЕССОРА Д-РА БЮХНЕРА

დიდის წარმატებით იყენებს მედიცინა

ხერხემლის გახმობის, ყველა სახის ნევრასტენიის, ათაშანგის, მშობიარობის, ოპერაციის, გულის ავადმყოფობის, სიგამხდრის (худосочие), დაღლილობის, სიბერისაგან დაავადების, პოდაგრის რევმატიზმის, სისხლნაკლებობის, არტერიოსკლეროზის, სიბერისაგან დაავადების, პოუძლლობის, სქესობრივ უძლურების, მადის დაკარგვის და გულის მუშაობის ქრონიკულ სისუსტისა და გრეთვე სხეულის სისუსტის დროს, ინ-ფლუენციის, ათაშანგის, მშობიარობის, ოპერაციის დროს სისხლის დაკარგვის და სხვა ავადმყოფობის დროს.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ნებართვა № 8.262.

სეკარის სითხე იყიდება

საბჭოთა კავშირის სანიტარიის და ჰიგიენის ყველა აფთიაქებში და მაღაზიებში

ფლაკონის ფასი 2 მ. 50 კაპ. გადაგზავნის გარეშე. ფოსტით იგზავნება არა ნაკლები 4 ფლაკონისა, თუ მიღებული იქნება ბე 25 პროც. რაოდენობით. 8 და მეტი ფლაკონის დაკვეთის დროს შეხვევა და გადაგზავნა უფასოა. კოოპერატივ „გალენ მოსკვა“-ს წარმომადგენლობა საბჭოთა საქართველოში დასომხეთში: თბილისი, თავისუფლების მოედანი, № 2 მეორე სართული, ყოფილი თამამშევის პასაჟი.

ЗАКАЗЫ ПИСЬМА И ДЕНЬГИ АДРЕСОВАТЬ ТОРГ. ОТД. КООПЕРАТИВА „ГАЛЕН-МОСКВА“ МОСКВА ул. ГЕРЦЕНА № 5 кв. 3 ПОЧТ. ЯЩ. № 1025

8—2 ბ. 1470

ა.-კავ. რკინის გზათა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 1926 წ. 20 ივლისს დილის 10 საათიდან სალიკვიდაციო საწყობში

(თბილისი, გორის ქუჩა № 3 რკინის გზის ხაზის განაპირად)

აუქციონით გაიყიდება

ა.-კ. რკ. გზის სხვადასხვა სადგურებზე მოუკითხავი ტვირთები და ბარგები

პირველ საჯარო ვაჭრობის შემდეგ დარჩენილ ტვირთებზე მეორე ხელ საჯარო ვაჭრობის დაწყების და გათავების ვადას გამოაცხადებს კომისია, რომელიც საჯარო ვაჭრობას აწარმოებს.

ქვემოდ ჩამოთვლილია ქვითარების ნომრები, ტვირთის დასახელება, ადგილების რაოდენობა და წონა. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სალიკვიდაციო საწყობში თბილისში სამუშაო დღეებში, ხოლო საჯარო ვაჭრობის დღეს ასეთის დაწყებამდე.

დაწვრილებითი განცხადება გამოკრულია სალიკვიდაციო საწყობთან თბილისში

მოუკითხავი ტვირთები

№ 330467—ქაღალდი ყდისათვის 3 ად. 204 კგ., № 599—„კოლენჩატ. ვალი“, 1 ად. 59 კილოგ. № 538382—სხვადასხვა საქონელი—95 ად. 2062 კილოგ., №8494—ცალიერი სკივრი—1 ად. 20 კილოგ., № 3886—ავტორისორები 3 ად. 108 კილოგ., № 328719—კარების და ფანჯრების საკეტავები 2 ად. 228½ კილოგ., № 220151—ქაღალდი ყდისათვის 1 ად. 82 კილოგ., № 443045—ქაღალდი 80 ად. 1987 კილოგ., №1388—სახურავი ტილო 25 ად. 975 კილოგ., № 339010—ქაღალდი ყდისათვის—2 ად. 77 კილოგ., № 766—სიმყავე 4 ად. 220 კილოგ., № 606—სააფთიაქო საქონელი 1 ად. 30 კილოგ., № 24851 1918—რკინის საურველი 14 ად. 1541 კილოგ., № 15038—რკინა 25 ად. 1189 კილოგ., № 77400—საოჯახო ნივთები 1 ად. 54 კილოგ., № 84587—სპილენძის მანქანები 2 ად. 151 კილოგ., № 115482 181—რკინის საწოლი 1 ად. 21 კილოგ., № 988—მამოძრავებელი ღვედები 1 ად. 35 კილოგ., №16905—ტაშტები 8 ად. 233 კილოგ., და მაწრები 20 ად. 928 კილოგ., №26699—წვეტებიანი მავთული 12 ად. 2000 კილოგ., №44238—საპონი თეთრეულისათვის 2 ად. 98 კილოგ., № 34103—კოსმეტ. საქონელი 1 ად. 65 კილოგ., № 187668—სახვევი ქაღალდი 3 ად. 245 კილოგ. № 183351—შუშის წყალის საზომი 1 ად. 10 კილოგ., № 24999 1893—პრობკები „პუგაჩ“ 6 ად. 225 კილოგ., № 4709—სალებავი 5 ად. 108 კილოგ., № 39038—შემკერავი 1 ად. 50 კილოგ. № 438152—ქაღალდი ბიუვარ. 5 ად. 530 კილოგ. № 713 3272—მარმარილოს პირის საბანი 2 ად. 126 კილოგ., № 1987—საკანცელარიო ნივთები 46 ად. 4605 კილოგ., № 23859—მავთულის ბაწარი 1 ად. 189 კილოგ.

მოუკითხავი ბარგი

№ 22641—საქონელი ბარგი 1 ად. 20 კილოგ., № 154057—საქ. ბარგი 2 ად. 57 კილოგ., № 135687—საქ. ბარგი 1 ად. 14 კილოგ., № 30460—წიგნები 1 ად. 6 კილოგ., №30725—წიგნი 1 ად. 5 კილოგ., № 21837—ტახტი 1 ად. 28 კილ., № 356146—საქ. ბარგი 1 ად. 33 კილოგ., № 104571—საქ. ბარგი 3 ად. 56 კილოგ., № 89771—საქ. ბარგი 1 ად. 18 კილოგ., № 12517—ბარგი 1 ად. 14 კილოგ.

უსაბუთო ტვირთი

№ 57236—უსაბუთო საქონელი 20 ად. 19 კილოგრ., №4945—უსაბუთო ნივთები 1 ად. 6 კილოგრ., № 3—საოჯახო ნივთები 1 ად. 9 კილოგრ., № 2—საოჯახო ნივთები 1 ად. 1½ კილოგ., № 1207—მკაფის ნაწილები 1 ად. 19 კილოგრ., № 1736—ფხვნილი შაქარი 11 ად. 1018 კილოგრ., № 6—საოჯახო ნივთები 1 ად. 5 კილოგრ., № 8—საოჯახო ნივთები 1 ად. 5 კილოგრ., № 7—მაზარა 1 ად. 3 კილოგრ. და № 5—უსაბუთო საქონელი 1 ად. 6 კილოგრ.

ბ. 1541—1—1

საბჭოთა სავაჭრო მოსამსახურ. კლუბი
(ყორღანის ქუჩა № 3)
დღეს, 11 ივნისს
სატირის, სიცილის და ცეკვის
საღამო
ხმ. ლავროვების მონაწილეობით
დასაწყისი საღამოს 9 საათზე
ბ. 1545

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო საწოლებით მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20
50—3

თბილისის კომუნალური წყალსადენის განცხადება

მაისში შეღავათიანების აღრიცხვის და აბონენტებთან ადგილობრივი წყლის ანგარიშების შედგენის ახალ სისტემაზე გადასვლით, გამოირკვა, რომ ზოგიერთი სახლის პატრონები და მმართველობები სათანადო ყურადღებით არ მიეკნენ აღმასკომის პრეზიდიუმის ა. წ. 5|5 № 101 სავალდებულო დადგენილებას. რის გამო წყალსადენის აგენტებს სვლიგეზის წესით ადგილობრივ მისვლისას, უხდებათ სახლის წარმომადგენლების სახლის წყლის წიგნების, საბუთების, აგრეთვე საანგარიშო რვეულების ძებნა, და დიდი დროის დაკარგვის შემდეგ შეღავათის მიუნიშნებლად ადგენენ ანგარიშებს. ეს გარემოება მცხოვრებთა მხრივ დიდ უკმაყოფილებას და შეღავათის უფლების აღდგენისათვის შუამდგომლობაში დიდი დროის კარგვას იწვევს.

შეღავათიანების აღრიცხვის და ანგარიშთ შედგენის საქმის მოსაწესრიგებლად წყალსადენის სამმართველო სთხოვს თავის აბონენტებს, რათა იმ დღეებში, როცა რაიკონტროლიორები სვლიგეზის წესით ჩამოივლიან, ადგილობრივ იქონიონ მზათ № 101 სავალდებულო დადგენილების მე-2 პარაგრაფში მოხსენებული წიგნ-საბუთები და რომ რაიკონტროლიორებს მათი ძებნა არ დასჭირდეს ალაყაფის კარებებში შესავალთან გამოაკრან წარწერა იმ მდგმურების ბინის ნომრის და გვარის აღნიშვნით, რომელთანაც ინახება საჭირო საბუთები.

სვლიგეზის ჩამოვლის წესით კონტროლიორის მათთან მისვლის დღე, აბონენტს შეუძლიან გამოარკვიოს მუდამ თვე 1 რიცხვიდან, იმდენი სამუშაო დღის გადათვლით, რამდენ რიცხვსაც გამოხატავს საანგარიშო რვეულის სვლიგეზის (მარშრუტი) ნომერი აქ უნდა გათვალისწინებულ იქნეს ის, რომ რაიკონტროლიორი შეიძლება მივიდეს ერთი დღით ადრე ან გვიან.

მაგალითი: გავიგოთ ივლისის რომელ რიცხვს შეხვდება მე-12 სვლა გეზის დღე. დღე მე-12 სვლა გეზის საქმე შესრულდებოდა 12 ივლისს, მაგრამ რადგან 4 და 11 ივლისს დასასვენებელი დღეებია, ამიტომ მე-12 სვლა გეზის დღე დადგება ორი დღით გვიან, ე. ი. 14 ივლისს. ამრიგათ იმ აბონენტთან, რომელსაც საანგარიშო რვეულით 12 სვლიგეზი აქვს აღნიშნული, კონტროლიორი მივა 14 ივლისს, მაგრამ შეიძლება მივიდეს 13 ან 15 ივლისსაც.

კომუნალური წყალსადენი აცხადებს რა ზემოაღნიშნულს წინასწარ აფრთხილებს თავის აბონენტებს, რომ აქამდე საბუთების წარუდგენლობის წყალობით, დაკარგულ შეღავათის უფლებების აღდგენას და ანგარიშების გასწორებას ზოგი ერთ შემთხვევებში უშვებდა წყალსადენი, მაგრამ ამ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ კი სავალდებულო დადგენილების დამრღვევის სახლებისთვის არავითარი დათმობები აღარ იქნება დაშვებული და გადასახადები მოეთხოვება, თანახმად შედგენილი ანგარიშისა.
ბ. 1547

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34
0—1

გაზ. „კომუნისტი“-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს, ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითარის №-რი). რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

მთავარი კანტორა

გაზეთ „კომუნისტის“, „მუშა“-ს და „ახალი სოფლის“ რწმუნებულად ქ. ხაშურში და ბორჯომ-ბაკურიანის რაიონში ინიშნება

მათე გოგუაძე

რომელთანაც შეიძლება ზემოაღნიშნულ გაზეთებზე ხელის მოწერის მიღება.

გაზ. „კომუნისტი“ „მუშა“ და „ახალი სოფლის“ მთავარი კანტორები

ქ. თბილისის 2-ე უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ ის 17 ივლისს 1926 წ. შუა დღის 2 საათ. სახლში № 1 კეცხოველის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის არტაშეს კალატოზოვის მოძრავ ქონებას: სხვადასხვა ფირმის საწერ მანქანებს შეფასებულს 580 მანეთად, სრულიად საკავშირო სინდიკატის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოსაგან 16 იანვრის 1926 წ. თარიღის, № 20473 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა
ბ. 1543

ქ. თბილისის 2-ე რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ნესტორ იზორია

ამით აცხადებს, რომ ის 15 ივლისს, 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 16 დიდი ვანკის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ნიკოლოზ ბაჟეიანცის მოძრავ ქონებას: ერთი ბუფეტის შკაფს, ერთი ტანსაცმელის შკაფს, ერთი სასადილო მაგიდას და სხვ. შეფასებულს 210 მანეთად. ევგენია არეშევას ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. ტპილისის მე 2-ე უბნის სახალხო სასამართლოსაგან 8 ივლისს, 1926 წ. თარიღით, № 2192 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა, ქ. 3097

იოსებ იმედაშვილი
მზეთა მზე
ახალი პოემა
5 სურათი.
ფასი 25 კაპ.
ბ. 1544 5—1

ИЩУ покупателя или издателя моих сочинений
Судебная, 48; комн. 35
от 9–11 ч. у. и. 3–8 в. веч.
ბ. 1524 2—2

ყველასათვის ხელმისაწვდომი!

მხატვრული გადიდებული სურათები!

საუკეთესო საჩუქარი
დღეობისთვის, უქმეებზე და სხვა საჭირო შემთხვევებში

საუკეთესო მოგონება
დაახლოებულ პირებზე და ახლო ნათესავებზე. საბჭოთა კავშირში უდიდესი ატელიე სურათების გასადიდებლათ

დ. ი. მისტროვი

ლენინგრადი, 25 ოქტომბრის გამზ. № 81, ტელ. 497—18 ამზადებს ფოტოგრაფიულ სურათის მიხედვით შემდეგ პორტრეტებს მელნით ჩარჩოში, სიდიდე 10X12 ვერშ. მანეთად ასეთივე აყვარელით—15 მან., 12X15 ვერშ.—15 მ. ასეთივე აყვარელით—20 მან გადაგზავნა ფასდადებით.

შესრულების ვადა 15 დღე.

სახელმწიფო დაწესებულებებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს—შეღავათი 10 პროცენტი.

ამოსაჭრით სამახსოვროთ

საჭიროა ყველა ქალაქებში ენერგიული აგენტები პორტრეტების რიცხვის გასადიდებლათ ხელსაყრელ პირობებში.

პრეისკურანტი პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება უფასოდ.
ბ. 1484 4—1

თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლევან არღუთინსკი

აცხადებს, რომ 15 ივლისს, ნაშუადღევის 2 საათზე გაიყიდება საჯარო ვაჭრობით უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის შამაილ შამაის ოღლის და იმყოფება ქ. თბილისის მე 4-ე უბ. ჩიხლაძის ქუჩა (ყოფილი ბარისოვსკი შესახვევი) № 5, და შესდგება ერთი ორ სართულიან სახლიდან და ერთი ორ სართულიან ფლიგელიდან, სულ 16 ოთახი, ოთხი სამზარეულო და 1 სამრეცხაო, შეფასებულია 2.000 მანეთად, რა შეფასებიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ვაჭრობა დანიშნულია მეორეთ, ამის გამო შეიძლება დაიწყოს შემოძლეული ფასიდანაც. ქონება აწერილია ქ. მოსკოვის საბჭოთა მოსამსახურეების კავშირის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად მოსკოვის შრომის სახალხო სასამართლოს მიერ 1-ლ სექტემბრის 1925 წ. თარიღით № 11666 გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა, და სააქციონერო სატრანსპორტო საზ-ბა „ტრანსპორტის“-ა საჯარო ვაჭრობა მოხდება ადგილობრივ ზემო-ნაჩვენებ მისამართზე, სადაც შეუძლიანთ მყიდველებს მამულის დათვალიერება ვაჭრობის დროს. ვინც ისურვებს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას უნდა წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელ სამ. საპრ. კოდ. 311 და 312 მუხ. გათვალისწინებული ცნობები და 200 მან. საწინდარი.
ბ. 1540

სურამი
ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
იღებს ავადმყოფებს შინაგან (ბავშვებს და დიდებს) და ქალთა სნეულებით.
ყოველდღე: დილით 2 საათამდის საღამოზედ 5 საათიდამ—7 საათამდის
მისამარ.: აგარაკი მეიერისა.

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.
25—1

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ელექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან აგარაკ მანგლისში.
25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.
25—2

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ. საღამოს 5-დან—9 საათამდე. ქალები 12—2 საათ. დღის.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—1

სათვალეების მორგება უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63.
25—1

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები. მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ. № 89
25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ა. ფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ექიმი ნ. ტურიაშვილი
ქალის სნეულებანი და მეანობა
მიღება 2—5 ს. საბჭოს ქუჩა (ყოფილი ჩერქეზოვის) № 22. 25—13

კბილის სნეულებათა კლინიკაში
(პლეხანოვის პროსპ. № 126)
დაიწყო მუშაობა
რენტგენის კაბინეტმა
შეიძლება კბილების და პირისახის ძვლების გაშუქება და მათი სურათის გადაღება. 2799. 25—1

პროფ. გ. მ. მუხაძე
ზაფხულში მიიღებს ქირურგიულ და უროლოგიურ ავადმყოფებს საღამოობით 6—7 საათამდე გარდა შაბათისა და კვირა დღისა. მისამართი: პლეხანოვის პროსპ. № 38. ტელ. 5—77
25—1

დაბრუნდა
ექიმი ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონის კაბინეტი
მიღება საღამოს 7—8 საათ. (ლენინის და ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82.
5—1 ქვ. 23562

ქუთაისში დაბრუნდა ექიმი
დ. ა. ჩეჩელაშვილი
და განაახლა შინაგან ავადმყოფების მიღება. სპეციალ.-ფილტვების სნეულებანი მიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 4—7 საათ. ქუქავაძის ქ. № 9.

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად).
25—0